არჩილ ჯორჯაძის

გარდაცვალების

100

წლისთავისადმი მიძღვნილი

სტუდენტური

სამეცნიერო კონფერენცია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

არჩილ ჯორჯაძის
გარდაცვალების
100
წლისთავისადმი მიძღვნილი
სტუდენტური
სამეცნიერო კონფერენცია

თბილისი 2013

უნივერსიტეტის
გამომცემლობა

რედაქტორი პროფესორი **რევაზ ჯორბენაძე**

© ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2015

ISBN 978-9941-13-409-8

შინაარსი

ბარბარე გეთია, მარიამ ღრეული
ავტორიტეტის გავლენა სამუშაოს შესრულებაზე
(ფსიქოლოგიის მიმართულება, ბაკალავრიატის მე-5 სემესტრი, ხელმძღვანელი: ეკატერინე ფირცხალავა – ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი) 7

ნინო თვალოქროშვილი
დაწყებითი საფეხურის მასწავლებლების მოლოდინები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეების აკადემიური და სოციალური მიღწევებისადმი
(ფსიქოლოგიის მიმართულება, ბაკალავრიატის მე-5 სემესტრი, ხელმძღვანელი: მზია წერეთელი – ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი) 17

ირაკლი ირემაძე
არჩილ ჯორჯაძე - როგორც „სოციალ-ფედერალისტური პარტიის“ დამფუძნებელი და იდეოლოგი
(პოლიტიკის მეცნიერების მიმართულება, ბაკალავრიატის მე-7 სემესტრი, ხელმძღვანელი: დიმიტრი შველიძე – ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი) 30

ლევან ლორთქიფანიძე
ჩარტისტული მოძრაობა, როგორც სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი
(პოლიტიკის მეცნიერების მიმართულება, ბაკალავრიატის მე-7 სემესტრი, ხელმძღვანელი: ვალერიან დოლიძე – ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის

სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი) 42

გიორგი მელიქიძე
პოლიტიკური კონსულტირება საქართველოში
(პოლიტიკის მეცნიერების მიმართულება, დოქტორანტურის
მე-5 სემესტრი, ხელმძღვანელი: მალხაზ მაცაბერიძე
– ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი) 56

ანა მესხი
არჩილ ჯორჯაძე – ავტონომიის პრობლემის შესახებ
(პოლიტიკის მეცნიერების მიმართულება, ბაკალავრიატის
მე-3 სემესტრი, ხელმძღვანელი: ლია თეთრაძე
– ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეული პროფესორი) 70

თამარ ქარაია
საბჭოთა წარსულის გააზრება და მეხსიერების
პოლიტიკის ტენდენციები საქართველოში
ვარდების რევოლუციის შემდეგ
(პოლიტიკის მეცნიერების მიმართულება, დოქტორანტურის
მე-6 სემესტრი, ხელმძღვანელი: მალხაზ მაცაბერიძე
– ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი) 79

ნინო წულაია
ვალდებულება და კონსისტენტურობა
როგორც გავლენის იარაღი
(ფსიქოლოგიის მიმართულება, ბაკალავრიატის
მე-5 სემესტრი, ხელმძღვანელი: ეკატერინე ფირცხალავა
– ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი) 92

ბარბარე გეთია
მარიამ ღრეული

ავტორიტეტის გავლენა სამუშაოს შესრულებაზე

ჩვენ ყოველდღიურად ვავლენთ ავტორიტეტისადმი მორჩილებას: ვემორჩილებით ჩვენს უფროსს, ლექტორს, პოლიციელს, თანამშრომელს და ა.შ. ავტორიტეტისადმი დამორჩილება საზოგადოებას ანარქიისგან იცავს. ნებისმიერი ფორმალური ჯგუფი, ორგანიზაცია, საერთოდ საზოგადოება, ემორჩილება ბრძანებებისა და განკარგულებების სისტემას, რომელიც მომდინარეობს კანონიერი ავტორიტეტისაგან. მორჩილება ბრძანებებისადმი ემყარება რწმენას, რომ ავტორიტეტს აქვს მოთხოვნის უფლება. ამიტომ ადამიანები, უმრავლეს შემთხვევაში, ნებით ეთანხმებიან და ემორჩილებიან წესრიგს და არა მარტო ისეთ სტრუქტურებსა და ორგანიზაციებში, სადაც დაქვემდებარების სისტემა აშკარად ჩანს, არამედ ისეთ ადგილებშიც, სადაც ეს აშკარად არ ჩანს, მაგ., ადამიანები ემორჩილებიან მედიცინის მუშაკების მითითებებს ბავშვების ვაქცინაციაზე და ა.შ. ბავშვობიდანვე ვსწავლობთ, რომ მორჩილება სწორია, დაუმორჩილებლობა კი – არასწორი, ეს ვლინდება მშობლების დარიგებებში, ლექსებსა თუ ზღაპრებში, ასევე იურიდიულ, სამხედრო და პოლიტიკურ სისტემებში. რელიგიაც ამყარებს ავტორიტეტისადმი მორჩილების აუცილებლობას. ბიბლიის მიხედვით, დაუმორჩილებლობამ განაპირობა ადამისთვის, ევასთვის და, ზოგადად, კაცობრიობისთვის სამოთხის დაკარგვა. ზოგადად, ყველა ქმედება, რომელიც ავტორიტეტის ბრძანებით სრულდება, როგორი უსამართლო და უაზროც არ უნდა იყოს, სწორადაა მიჩნეული. ავტორიტეტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის აღქმა და ქმედება ხდება ავტომატურად, ყოველგვარი ცნობიერი პროცესების ჩართვის გარეშე.

რა ხდება მაშინ, როდესაც ავტორიტეტის მოთხოვნები წინააღმდეგობაშია ინდივიდის ღირებულებებთან? გასაოცარია, მაგ-

რამ ფაქტია, რომ ინდივიდები, რომლებსაც არა აქვთ ძალაუფლების სხვადასხვა ფორმა, მაინც ახერხებენ გამოიწვიონ დამორჩილების მაღალი დონე. აღმოჩნდა, რომ მთელ რიგ შემთხვევებში ძალაუფლების არმქონე ინდივიდებსაც კი შეუძლიათ აიძულონ სხვები, განახორციელონ აქტივობა, რომელსაც ჩვეულებრივ არ გააკეთებდნენ. ამის ბრწყინვალე დადასტურებას წარმოადგენს სტენლი მილგრემის ექსპერიმენტი.

1960-იან წლებში მილგრემმა განახორციელა ექსპერიმენტთა სერია, რომელიც ეხებოდა ავტორიტეტისადმი დამორჩილების ბუნების გარკვევას. მან გაზეთში გამოაქვეყნა განცხადება, სადაც სთხოვდა ადამიანებს, მონაწილეობა მიეღოთ ფსიქოლოგიურ ექსპერიმენტებში. ამ განცხადების შედეგად ნებაყოფლობით შერჩეული ხალხი დარწმუნებული იყო, რომ მონაწილეობდა დასწავლაზე დასჯის ზემოქმედების კვლევაში. ცდისპირები არასწორი პასუხებისთვის ელექტროშოკით სჯიდნენ ცრუ ცდისპირებს. ექსპერიმენტში მონაწილეობდა 40 განსხვავებული პროფესიის 20-დან 50 წლამდე ასაკის ადამიანი. შედეგები საგანგაშო აღმოჩნდა – სასიკვდილო ელექტროშოკი გამოიყენა 65%-მა.

როგორ შეიძლება აიხსნას ცდისპირთა სისასტიკე? ამ საკითხთან დაკავშირებით რამდენიმე მოსაზრება გამოითქვა: ყველა ცდისპირი იყო მამაკაცი, რომელსაც მიდრეკილება ჰქონდა აგრესიისკენ; ცდისპირებს არ ესმოდათ, რამდენად ძლიერი იყო ტკივილი; ცდისპირები მორალურად მონსტრები იყვნენ და სიამოვნებდათ სხვების ტანჯვა. თუმცა, დამატებით ჩატარებულმა ექსპერიმენტებმა ეს მოსაზრებები გააქარწყლა.

რა გვაიძულებს განვახორციელოთ მსგავსი ქცევა? მილგრემი დარწმუნებულია, რომ ამ კითხვაზე პასუხი იცის. ჩვენს ცნობიერებაში ღრმად ფესვგადგმულია ავტორიტეტისადმი მორჩილების აუცილებლობა, რაც ხშირად დესტრუქციულ ქცევას იწვევს. ნორმალურ, ზრდასრულ ადამიანებს მკვეთრად გამოხატული მზაობა აქვთ, იმოქმედონ ავტორიტეტის ბრძანებების შესაბამისად. ავტორიტეტი სერიოზულ გავლენას ახდენს და აკონტროლებს ჩვენს ქცევებს. რა განსაზღვრავს ადამიანის სურვილს, მიიღოს რეალუ-

რი ან წარმოსახვითი ავტორიტეტის წყაროდან გავლენა? აღმოჩნდა, რომ ასეთ სიტუაციაში მრავალი ფაქტორი მოქმედებს, განვიხილოთ რამდენიმე მათგანი: ავტორიტეტი ხშირად, პასუხისმგებლობის თავის თავზე აღებით, უმსუბუქებს სიტუაციას იმას, ვინც ემორჩილება. ადამიანები, რომლებიც ემორჩილებიან მკაცრ და სასტიკ განკარგულებას, თავს იმართლებენ იმით, რომ მხოლოდ ბრძანებას ასრულებდნენ. სასიცოცხლო სიტუაციებში პასუხისმგებლობის მსგავსად გადატანა ხშირად იმპლიციტურად ხორციელდება. ამის მაგალითი იყო სწორედ მილგრემის ექსპერიმენტი – ცდისპირს თავიდანვე ეუბნებოდნენ, რომ ექსპერიმენტატორი, თეთრხალათიანი ავტორიტეტული ფიგურა, პასუხისმგებელი იყო მსხვერპლის კეთილდღეობაზე.

ასევე, ავტორიტეტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია სოციალური სტატუსი. ტიტულები გავლენის სხვა იარაღებთან შედარებით რთულად მოსაპოვებელი, მაგრამ, ამასთან ერთად, ადვილად გასაყალბებელი ინსტრუმენტია გავლენის მოსახდენად. ხშირად ადამიანები, სხვებზე გავლენის მოხდენის მიზნით, ითვისებენ ისეთ ტიტულებს, რომლებიც მათ რეალურად არ ეკუთვნით. ასეთ ხერხს მიმართავენ იმიტომ, რომ შემთხვევათა უმეტესობაში ავტორიტეტის ერთი სიმბოლოც კი საკმარისია, რომ ჩვენი ქცევის შეცვლა გამოიწვიოს.

ავტორიტეტულ ინდივიდს ხშირად აქვს თავისი სტატუსის გამომხატველი ემბლემა ან ნიშანი, რომელიც ასევე მოგვიწოდებს ავტომატური მორჩილებისკენ. ეს შეიძება იყოს სპეციალური უნიფორმა, ნიშნები, ტიტულები და მასთან დაკავშირებული ფაქტორები. ასეთი აშკარა მანიშნებლის წინაშე ადამიანებს უჭირთ წინააღმდეგობის გაწევა.

ასევე, ატრიბუტები გავლენას ახდენს ავტორიტეტისადმი მორჩილებაზე. მაგ., ძვირფასი ავტომობილი ავტორიტეტული სიმბოლოების ერთ-ერთი ატრიბუტია. კვლევებით დასტურდება, რომ მძღოლები უფრო მოთმინებით ეკიდებიან და ერიდებიან ხმოვან სიგნალს, როდესაც მათ წინ ძვირფასი ავტომობილია. ფაქტია, რომ ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება ძვირფას ნივთებს, რაც

მექანიკურად იწვევს ადამიანთა მორჩილებას. როგორც ჩანს, ადამიანები მოწყვლადნი არიან როგორც რეალურად ავტორიტეტების წინაშე, ასევე ავტორიტეტული სიმბოლოების წინაშეც კი. ადამიანები მექანიკურად ემორჩილებიან ისეთ სიმბოლოებს, რომლებიც ავტორიტეტს უბრალოდ მიეწერება და არც კი ფიქრობენ, რამდენად რეალურია ის.

ასევე, განვიხილოთ სიგნალების აღმოჩენის პრინციპი და რა გავლენას ახდენს ავტორიტეტის მითითება მასზე. მიჩნეულია რომ რეალობის აღმოჩენა და ინტერპრეტაცია განპირობებულია, როგორც სიგნალების თავისებურებით, ასევე იმ ცოდნითა და გამოცდილებით, რომელიც ადამიანს აქვს აღქმის მომენტამდე. თუმცა, კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ მასზე ავტორიტეტის ფენომენიც ახდენს ზეგავლენას, თან არცთუ ისე უმნიშვნელოდ.

ზემოთ განხილული ფენომენების საილუსტრაციოდ დავგეგმეთ ექსპერიმენტი, რომელიც იკვლევდა ავტორიტეტის მითითების გავლენას სტიმულების აღმოჩენაზე იქ, სადაც რეალურად სტიმული არ იყო. ჩვენი ჰიპთეზა მდგომარეობდა შემდეგში: ავტორიტეტის მითითება ახდენს ზეგავლენას სტიმულების აღმოჩენაზე. შევადგინეთ ინგლისური წინადადებები (სულ 5), გამოვიყენეთ ისეთი სიტყვები, რომლებიც ხშირად მეორდება ყოველდღიურ სიტუაციებში, გვხვდება რეკლამებში, სოციალურ ქსელებში, ბილბორდებზე, მობილური ტელეფონის მენიუში, სხვადასხვა პლაკატებზე და სხვა. ექსპერტებთან ერთად დავადგინეთ, წინადადებების სირთულის დონე და, შესაბამისად, გავაკეთეთ შერჩევა – პირველკურსელი სტუდენტები, რომლებმაც საშუალო დონეზე იციან ინგლისური. ექსპერიმენტში მონაწილეობდა 40 სტუდენტი. აქედან 20 ექსპეტიმენტულ და 20 საკონტროლო ჯგუფში. გადავწყვიტეთ ტესტირება ჩაგვეტარებინა ერთ-ერთ ლექციაზე ლექტორთან შეთანხმებით. სტუდენტებმა იცოდნენ, რომ ვამოწმებდით ინგლისური ენის ცოდნის დონეს. სტუდენტების ექსპერიმენტულ ჯგუფს მივაწოდეთ მითითება, რომელშიც რამდენიმეჯერ იყო ხაზგასმული თითო შეცდომის არსებობა თითო წინადადებაში, მათ ევალებოდათ აღმოეჩინათ და გაესწორებინათ ისინი. ხოლო

საკონტროლო ჯგუფს არ ჰქონდა მსგავსი მითითება. მათ უნდა შეემოწმებინათ ტექსტი და თუ ნახავდნენ შეცდომას, შეესწორებინათ. შეცდომა არ არსებობდა არც ერთ წინადადებაში, თუმცა ავტორიტეტის მიერ მიწოდებული ინსტრუქციის მიხედვით მათ ექმნებოდათ ილუზია, რომ წინადადებებში იყო რაიმე სახის უზუსტობა.

იმისათვის, რომ გაგვემყარებინა ექსპერიმენტატორის ავტორიტეტი, ყოველი წინადადების ბოლოს და ტესტის ბოლოს დავურთეთ მიღებული ქულის გრაფა. ეს საშუალებას გვაძლევდა სტუდენტებზე მოგვეხდინა გავლენა, შეესრულებინათ ჩვენ მიერ მიწოდებული დავალება. იმავდროულად, შეცდომების არსებობას უფრო დამაჯერებელს ხდიდა.

საკონტროლო ცდაში მონაწილე სტუდენტებს ასევე სტუდენტი ავსებინებდა იმავე ტესტს, მხოლოდ პირობა იყო შეცვლილი.

ქვემოთ მოცემულია დავალებები, რომელიც მივეცით ექსპერიმენტულ ჯგუფს და საკონტროლო ჯგუფს.

ა) ექსპერიმენტული ჯგუფის დავალება

სახელი, გვარი . . . . . .

- ქვემოთ მოცემულ წინადადებებში დაშვებულია შეცდომები (თითოეულში 1 შეცდომა), იპოვეთ და გაასწორეთ.

შეცდომის პოვნა ფასდება 0.5 ქულით, მისი გასწორება – 0.5 ქულით. მაქსიმალური ქულა – 5.

1. My psychologist likes butterflies. ___/ 1
2. I bought a refrigerator yesterday. ___/ 1
3. Bring your luggage bag at the airport. ___/ 1
4. You should write a story for the competition. ___/ 1
5. I got the invitation for tomorrow's party. ___/ 1

Total: ____/ 5

ბ) საკონტროლო ჯგუფის დავალება

სახელი, გვარი . . . . . .

- წაიკითხეთ ქვემოთ მოცემული წინადადებები, თუ რომელიმეში დაშვებულია შეცდომა, გაასწორეთ.

6. My psychologist likes butterflies.
7. I bought a refrigerator yesterday.
8. Bring your luggage bag at the airport.
9. You should write a story for the competition.
10. I got the invitation for tomorrow's party.

როგორც ვხედავთ, მივაწოდეთ საკმაოდ მარტივი წინადადებები. ჩვენ მიერ შერჩეული ჯგუფები ინგლისური ენის B2 დონის შესაბამის კურსს გადიან. ამ დონის დახასიათება შემდეგია: საშუალოს ზედა დონე – ინგლისური ენის ათვისება იმ დონეზე, რომ ენის შემსწავლელმა შეძლოს სწორად და თავისუფლად ნებისმიერი ტექსტის აღქმა-გაგება, საყოფაცხოვრებო, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ, ენათმეცნიერულ, ლიტერატურათმცოდნეობით და ნებისმიერ სხვა თემებზე სწორად და თავისუფლად მეტყველება. ზემოთ მოცემული წინადადებების სიმარტივე ცდისპირებისთვის კიდევ უფრო შესამჩნევი იქნება, თუ გავითვალისწინებთ, რომ ეს წინადადებები შეესაბამება ინგლისური ენის B 1/1 საშუალოს წინა დონეს. საპილოტე კვლევის ჩატარებამდე ვეჭვობდით, რომ ჯგუფის რომელიმე წევრი მაინც შენიშნავდა შეცდომების არარსებობას და ამას გაახმოვანებდა. ეს კი ექსპერიმენტის ჩაშლამდე მიგვიყვანდა. თუმცა, თავად დავრწმუნდით, რომ მსგავსი რამ ვერავინ შენიშნა. ექსპერიმენტში მონაწილე სტუდენტები უყოყმანოდ პოულობდნენ და ასწორებდნენ არარსებულ შეცდომებს.

ცდისპირებს დავალების შესრულებისთვის არ ჰქონდათ დროითი შეზღუდვა. შეცდომების საპოვნელად და შესასწორებლად დაფიქსირდა მაქსიმუმ 15, ხოლო მინიმუმ 5 წუთი.

ქვემოთ მოცემულია ექსპერიმენტული ჯგუფისა და საკონ-ტროლო ჯგუფის ქულები:

ექსპერიმენტული ჯგუფის შედეგები:		საკონტროლო ჯგუფის შედეგები:	
№	ქულა	№	ქულა
1	5	1	0
2	4,5	2	0
3	4	3	2
4	5	4	0,5
5	3	5	0
6	3	6	1
7	5	7	1
8	5	8	2
9	5	9	2
10	5	10	2
11	3	11	4
12	1,5	12	2
13	5	13	4
14	5	14	4
15	5	15	1
16	5	16	0
17	5	17	4
18	5	18	1
19	5	19	1
20	4	20	1
საშუალო	4.4	საშუალო	1.6

ნაკლები ქულა მეტყველებს შეცდომების შედარებით მცირე რაოდენობის აღმოჩენაზე. როგორც ვხედავთ, საკმაოდ დიდი სხვაობა მივიღეთ ექსპერიმენტული და საკონტროლო ჯგუფების საშუალო ქულებს შორის. ავტორიტეტის გავლენა შეცდომების აღმოჩენის პროცენტულ მაჩვენებელს (ავტორიტეტის არარსებობის შემთხვევაში) 32%-დან 88%-მდე ზრდიდა, მონაწილეები კი 56%-ით მეტ შეცდომას აღმოაჩენდნენ.

შესაბამისად, ჩვენი ჰიპოთეზა გამართლდა – ავტორიტეტის მითითება ახდენს ზეგავლენას სტიმულების აღმოჩენაზე. ცდის პირები მეტ შეცდომას პოულობენ სრულიად სწორ ტესტში, როდესაც ავტორიტეტი უთითებს მათ არსებობაზე, ვიდრე მაშინ, როდესაც ტექსტში შეცდომების პოვნას სტუდენტი სთხოვს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შეცდომების პოვნა არანაირ კავშირში არ იყო ინგლისურის ცოდნის დონესთან. მაშინ რამ განაპირობა ასეთი შედეგები?

განწყობის თეორიას თუ მოვიშველიებთ, შემდეგი სიტუაცია იქნება: სტუდენტებს ავტორიტეტის მიერ შეცდომების პოვნის მითითების მიღებით გაუჩნდათ მისდამი დამორჩილების ანუ წინადადებების შესწორების მოთხოვნილება. ამ მოთხოვნილებამ დაარღვია მათი შინაგანი წონასწორობა. ცდის პირებს ჰქონდათ შესაფერისი გარემო, რომ განეხორციელებინათ მიზანშეწონილი ქცევა მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. შეცდომების პოვნით ცდისპირებმა აღიდგინეს დარღვეული წონასწორობა. შეცდომების პოვნის მითითება და ტესტების მიწოდება საკმარისი აღმოჩნდა, რომ შექმნილიყო განწყობა. მისი სტრუქტურა გამოსახულია სქემაზე:



ექსპერიმენტული ჯგუფის მონაწილეებთან შემდგომი გასაუბრებით თუ ვიმსჯელებთ, საქმე გვაქვს განწყობის პირველ დონესთან. მათ არც კი უფიქრიათ, რომ შეიძლებოდა ავტორიტეტის დავალებაში უზუსტობა დაფიქსირებულიყო – რომელიმე წინადადება სწორი ყოფილიყო. მათაც, ვინც ყველა „შეცდომა“ ვერ იპოვა,

არ შეპარვიათ ეჭვი მითითების მცდარობაში და გაუცნობიერებლად დაემორჩილნენ ექსპერიმენტატორს.

შედეგების ახსნას შევეცადეთ სიგნალების აღმოჩენის თეორიის ჭრილშიც. მიჩნეულია, რომ რეალობის აღმოჩენა და ინტერპრეტაცია განპირობებულია როგორც სიგნალების (სტიმულების) თავისებურებებით, ასევე იმ ცოდნითა და გამოცდილებით, რომელიც ადამიანს აქვს აღქმის მომენტამდე. ცნობილია, რომ ადამიანის გადაწყვეტილება სიგნალის არსებობის ან არარსებობის შესახებ დამოკიდებულია არა მხოლოდ სიგნალის ინტენსივობაზე, არამედ კონტექსტზე, გადასაწყვეტი ამოცანის შინაარსსა და ამოცანის შედეგების ცოდნაზეც. კვლევებით დადგენილია, სიგნალების აღმოჩენის ალბათობა მართვადია ამ ფაქტორების საფუძველზე. ჩვენს შემთხვევაში იმის ცოდნამ, რომ შეცდომების აღმოჩენის შემდეგ შესრულებული იქნებოდა ავტორიტეტის მიერ მიცემული დავალება, გაზარდა სტიმულების აღმოჩენის ალბათობა მიუხედავად იმისა, რომ ისინი რეალურად არ იყო მოცემული.

ჩვენმა ექსპერიმენტმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ნორმალურ, ზრდასრულ ადამიანებს აქვთ მზაობა, იმოქმედონ ავტორიტეტის ბრძანებების შესაბამისად. ავტორიტეტი გავლენას ახდენს, აკონტროლებს ჩვენს ქცევებს.

რობერტ ჩალდინი გვთავაზობს რამდენიმე ტექნიკას ავტორიტეტის გავლენის თავიდან ასაცილებლად. უნდა დავსვათ კითხვა: „არის თუ არა ეს ავტორიტეტი ნამდვილად ექსპერტი მოცემულ სიტუაციაში? ავტორიტეტის არარსებობის შემთხვევაში როგორ მოვიქცეოდით იმავე სიტუაციაში?.

ავტორიტეტის გავლენის მექანიზმის ცოდნა დაგვეხმარება წინააღმდეგობა გავუწიოთ მას და თავიდან ავიცილოთ მისი ნეგატიური შედეგები.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. დიმიტრი უზნაძე, განწყობის თეორიის ძირითადი დებულებები, საქართველოს მაცნე, 2009.
2. Robert B., Cialdini PH.D., Influence, Harper Collins e-books, 2009.
3. Sternberg J. Robert, Cognitive Psychology, fifth edition, WADSWORDS CENGAGE Learning, 2009.

ნინო თვალოქროშვილი

დაწყებითი საფეხურის მასწავლებლების მოლოდინები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეების აკადემიური და სოციალური მიღწევებისადმი

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეები საკმაოდ დიდი ხნის მანძილზე განათლებას იღებდნენ სპეციალურ სკოლებში, თუმცა დღესდღეობით, საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ საშუალებას აძლევს ყველა პირს, განათლება მიიღოს საჯარო სკოლაში, მათ შორის სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეებსაც. ინკლუზიური განათლება გულისხმობს ყველა ტიპის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეების ჩართვას ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო პროცესში თანატოლებთან ერთად. ინკლუზიური განათლება ასევე გულისხმობს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეების ინდივიდუალური და მოდიფიცირებული სასწავლო გეგმებით სწავლებას.

საქართველოში ინკლუზიური განათლება ახალი დანერგილია და მიმდინარეობს ინტენსიური მუშაობა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეებისთვის შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნასა და მათთვის ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფისთვის. საზოგადოებაში არსებობს განსხვავებული დამოკიდებულებები შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების მიმართ: მათ ხშირად უგულებელყოფენ, რიყავენ საზოგადოებისგან, ზოგს მათი ეშინია, ზოგს ებრალება, ზოგი კი მხარდაჭერას უცხადებს მათ და საზოგადოების სრულფასოვან წევრებად მიიჩნევს. ასევე განსხვავებულია დამოკიდებულება მათი ზოგადსაგანმანათლებლო საჯარო სკოლებში სწავლებისადმი. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კი უშუალოდ მასწავლებელის დამოკი-

დებულებები და მოლოდინებია, რადგან, ინკლუზიური განათლების პრინციპების გათვალისწინებით, სწორედ მასწავლებელი არის პასუხისმგებელი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეების აკადემიური და სოციალური უნარების განვითარებაზე.

ფსიქოლოგები დიდი ხანია საუბრობენ მოლოდინებზე და მათ მნიშვნელობაზე ადამიანის ყოველდღიურ ცხოვრებაში. როგორც წესი, ჩვენი მოლოდინი მნიშვნელოვნად განსაზღვრავს იმას, თუ რას მივიღებთ, მოკლედ რომ ვთქვათ, „ვიღებთ იმას, რასაც ველით". მეცნიერები ამას თვითეფექტურობას უწოდებენ. იმისთვის, რომ ეს კონცეპტი აღვწეროთ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ თუ ველით რაღაც კონკრეტულის მოხდენას, მოლოდინი მიგვმართავს იმისკენ, რომ ზუსტად ასე მოხდეს ანუ ჩვენი მოლოდინი გამართლდეს. მეცნიერები ამ მოვლენას განიხილავენ როგორც ყოველდღიურ ვარაუდებს, თუმცა ფსიქოლოგიურმა კვლევებმა აჩვენა, რომ ეს ყველაფერი, გარკვეულ შემთხვევაში, რეალობაა.

პირველად თვითეფექტურობის იდეა სამეცნიერო კვლევის საგანი მაშინ გახდა, როდესაც 1911 წელს გერმანიაში ფსიქოლოგები დაინტერესდნენ ცხენის, „ჭკვიანი ჰანსის" შემთხვევით. „ჭკვიანი ჰანსი" განთქმული იყო წერა-კითხვისა და მათემატიკური ამოცანების ამოხსნის უნარით. პასუხების გასაცემად ის იყენებდა წინა ჩლიქებს. ფსიქოლოგმა, ო. პფუნგსტმა, ჩაატარა ექსპერიმენტების სერია, რომლებმაც აჩვენა, რომ ჰანსი ამოცანებზე იმპულსურად იღებდა პასუხებს თავად შეკითხვის ავტორისგან. მაგალითად, როდესაც ცხენი ჩლიქების ბაკუნის დროს უახლოვდებოდა სწორ პასუხს, შეკითხვის ავტორი, გაუცნობიერებლად, თითქმის შეუმჩნევლად სწევდა მაღლა თვალებს ან თავს იმის მოლოდინში, რომ ცხენს „პასუხი გაეცა". ცხენი ამ გაუცნობიერებელ მოძრაობას აღიქვამდა როგორც ნიშანს, რომ შეეწყვიტა ფეხების ბაკუნი.

საინტერესო იქნება, გავიგოთ, თუ როგორ შეიძლება უკავშირდებოდეს ცხენი ფსიქოლოგიური კვლევის საგანს – აღნიშნული ექსპერიმენტების შედეგებმა გვაჩვენა, რომ არსებობს შესაძლებლობა, დამკვირვებელმა, თავისი მოლოდინის გამო, გაუცნო-

ბიერებლად მისცეს მინიშნება დაკვირვების ობიექტს. ეს მინიშნებები კი, შესაბამისად, იწვევს დაკვირვების ობიექტის მხრიდან დამკვირვებლის მოლოდინის შესაბამის რეაგირებას. ეს ფენომენი, ფსიქოლოგიაში „ექსპერიმენტატორის მოლოდინის ეფექტის“ სახელით არის ცნობილი.

აღნიშნულმა საკითხმა დიდი ინტერესი გამოიწვია ამერიკელ ფსიქოლოგში, რობერტ როზენტალში და დაიწყო მისი შესწავლა ლაბორატორიული ექსპერიმენტით (აშშ), რომლის მონაწილეებიც თავად ფსიქოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტები იყვნენ. როზენტალის კვლევის არსი შემდეგში მდგომარეობდა – ზოგიერთ სტუდენტს უთხრეს, რომ მათ მოუწევდათ მუშაობა მაღალი ინტელექტის მქონე ვირთხებთან, რომლებსაც ჰქონდათ ლაბირინთების სწრაფად დასწავლის უნარი. დანარჩენ სტუდენტებს უთხრეს, რომ ისინი იმუშავებდნენ ვირთხებთან, რომლებსაც არ შეეძლოთ ლაბირინთების სწრაფად დასწავლა. ამის შემდეგ სტუდენტები შეეცადნენ გამოემუშავებინათ თავიანთი ვირთხებისთვის გარკვეული უნარები, მათ შორის ლაბირინთის გზის დასწავლა. შედეგად, იმ სტუდენტებმა, რომლებსაც უთხრეს, რომ მოუწევდათ მაღალი ინტელექტის მქონე ვირთხებთან მუშაობა, უფრო სწრაფად დაასწავლეს ვირთხებს ლაბირინთის გზები, ვიდრე იმ სტუდენტებმა, რომლებსაც უთხრეს, რომ დაბალი ინტელექტის მქონე ვირთხებთან მოუწევდათ მუშაობა. სინამდვილეში კი ორივე ჯგუფში იყვნენ შემთხვევითი მეთოდით შერჩეული ლაბორატორიის სტანდარტული ვირთხები. როზენტალმა ეს შემთხვევა დაუკავშირა სტუდენტების მოლოდინს და დაასკვნა, რომ სწორედ მოლოდინებმა მოახდინა გავლენა იმაზე, თუ რამდენად სწრაფად ისწავლიდნენ ვირთხები ლაბირინთის გზას. გავლენა, რომელიც სტუდენტებმა მოახდინეს მღრღნელებზე იყო აბსოლუტურად შემთხვევითი და გაუცნობიერებელი.

ამ კვლევის შემდეგ როზენტალი დაინტერესდა, თუ როგორ ვლინდება მოლოდინების ეფექტი ლაბორატორიის გარეთ, ყოველდღიურ ცხოვრებაში, უფრო კონკრეტულად, სკოლაში. როზენტალის აზრით, საჯარო სკოლის მასწავლებლებს არ აქვთ გაცნობიე-

რებული საკუთარი მოლოდინების გავლენა მოსწავლის აკადემიურ და სოციალურ მიღწევებზე და, შესაბამისად, არ იციან რამხელა საფრთხე შეიძლება შეუქმნას ამ მოლოდინებმა მათი სწავლის პოტენციალს.

როზენტალმა მოლოდინის ეფექტს, რომელსაც ადგილი აქვს ლაბორატორიის გარეთ, ბუნებრივ, ინტერპერსონალურ ურთიერთობებში, პიგმალიონის ეფექტი უწოდა (პიგმალიონი ბერძნული მითოლოგიის მიხედვით იყო მოქანდაკე, რომელსაც თავის მიერ შექმნილი ქალის ქანდაკება შეუყვარდა). როზენტალი ეჭვობდა, რომ როდესაც მასწავლებელი იღებს ისეთ ინფორმაციას, როგორიც არის, მაგალითად, მოსწავლის IQ-ს მაჩვენებელი, მას ექმნება გარკვეული მოლოდინი ამ მოსწავლის პოტენციალზე. შექმნილი მოლოდინის გამო, მასწავლებელი გაუცნობიერებლად წაახალისებს იმ ბავშვებს, რომლებისგანაც ელის წარმატებას. ეს ფაქტი, თავის მხრივ, ხელს უწყობს თვითეფექტურობის ჩამოყალიბებას იმ ბავშვებში, ვის მიმართაც მასწავლებელს მაღალი მოლოდინები აქვს. იმისთვის, რომ შეემოწმებინათ ეს მიდგომა, როზენტალმა და ჯეიკობსონმა კვლევა ჩაატარეს ერთ-ერთი ქალაქის საშუალო ფენის დაწყებით სკოლაში (აშშ).

სკოლის ადმინისტრაციასთან თანამშომლობით, აკადემიური წლის დასაწყისში, ყველა მოსწავლეს ჩაუტარდა IQ ტესტი (Tests of General Ability, or TOGA). ეს ტესტი შეარჩიეს იმიტომ, რომ იყო არავერბალური და არ იყო დამოკიდებული სკოლაში შეძენილ უნარებზე – წერა, კითხვა და არითმეტიკა. ეს ტესტი მასწავლებლებისთვის არ იყო ნაცნობი; მათ უთხრეს, რომ მოსწავლეებს ჩაუტარდათ ჰარვარდის ტესტი (Test of Inflected Acquisition). ეს იყო კვლევის ერთგვარი ხრიკი, რომელიც მკვლევრებმა იმისთვის გამოიყენეს, რომ მასწავლებლებს მოსწავლეების მიმართ მოლოდინები ამ ტესტის მიხედვით შექმნოდათ. გარდა ამისა, მასწავლებლებს აუხსნეს, რომ „ჰარვარდ ტესტი“ შეიქმნა, როგორც აკადემიური წარმატების საზომი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მასწავლებლებმა დაიჯერეს, რომ თუ მოსწავლე მაღალ მაჩვენებელს მი-

იღებდა, იგი მზად იყო, მომავალ წელს გაძლიერებულ სასწავლო პროგრამაზე გადასულიყო. თუმცა, ეს სიმართლეს არ შეესაბამებოდა.

ამის შემდეგ მასწავლებლებს მისცეს იმ მოსწავლეების სია, რომლებმაც, თითქოს, ჰარვარდის ტესტში 20%-იანი ბარიერი გადალახეს და, შესაბამისად, სახელდებოდნენ მომდევნო აკადემიური წლის პოტენციურ წარჩინებულ მოსწავლეებად. მაგრამ, სინამდვილეში, ამ სიების მოწინავე ათეულებში იყვნენ შემთხვევითად შერჩეული მოსწავლეები. ერთადერთი განსხვავება საკონტროლო და ექსპერიმენტული ჯგუფის ბავშვებს შორის ის იყო, რომ ექსპერიმენტული ჯგუფის მოსწავლეები მასწავლებლებს წარუდგინეს, როგორც არაჩვეულებრივი ინტელექტუალური შესაძლებლობის ბავშვები.

სასწავლო წლის დასასრულს, კვლევის ყველა მონაწილე მოსწავლეს განმეორებით ჩაუტარდა იგივე ტესტი (TOGA) და კვლავ გამოითვალეს თითოეული ბავშვის IQ მაჩვენებლი.

შედეგებმა აჩვენა, რომ ექსპერიმენტული ჯგუფის მოსწავლეების (რომლებზეც მასწავლებლებს შეუქმნეს მაღალი მოლოდინი) აკადემიური უნარები გაცილებით გაუმჯობესებული იყო, ვიდრე საკონტროლო ჯგუფის.

ამ კვლევაზე დაყრდნობით, როზენტალმა და ჯეიკობსონმა დაადგინეს, რომ:

- მოლოდინის ეფექტი ნამდვილად არსებობს არალაბორატორიულ პირობებშიც – ყოველდღიურ ცხოვრებაში.
- ეფექტი საკმაოდ ძლიერია დაბალი კლასის მოსწავლეებში და ნაკლებად მნიშვნელოვნად ვლინდება შედარებით მაღალ კლასებში.

როგორც როზენტალი ვარაუდობდა, მასწავლებლების მოლოდინებმა ხელი შეუწყო მოსწავლეების თვითეფექტურობის გაზრდას.

ადრეული ასაკის მოსწავლეები მოიაზრებიან უფრო მოწყვლადებად. კვლევისას ასეთმა ბავშვებმა უფრო მნიშვნელოვანი ცვლი-

ლება განიცადეს, ვიდრე შედარებით მაღალი კლასის ბავშვებმა. გარდა ამისა, არსებობს შესაძლებლობა, რომ ეს ბავშვები რეალურად არ იყვნენ მოწყვლადები, მაგრამ მასწავლებლები მიიჩნევდნენ მათ ასეთებად, რაც გამოიწვევდა მასწავლებლების განსხვავებულ დამოკიდებულებას, რის გამოც გამოვლინდა ზემოთ აღნიშნული შედეგი.

გარდა ამისა, მასწავლებლები ადრეული ასაკის მოსწავლეებთან კომუნიკაციაში თავიანთ მოლოდინებს გაუცნობიერებლად ავლენენ, ეს გამოიხატება, თუ როგორ ელაპარაკებიან, როგორ უყურებენ ან ეხებიან მათ. შესაძლოა, მაღალი კლასის მასწავლებლები კი არ ავლენდნენ თავიანთ მოლოდინებს კომუნიკაციის ასეთი მეთოდებით.

როზენტალისა და ჯეიკობსონის აღმოჩენების მნიშვნელოვნება მდგომარეობს იმაში, რომ ის უკავშირდება მასწავლებლის მოლოდინის ხანგრძლივ ეფექტს მოსწავლეზე მთელი სასკოლო პერიოდის განმავლობაში.

როზენტალისა და ჯეიკობსონის შემდეგ კვლევა ჩაატარეს ჩეიკენმა, სიგლერმა და დერლეგამ (Chaiken, Sigler, and Derlega, 1974, აშშ). ისინი აკვირდებოდნენ მასწავლებლების ქცევას კლასში და აღმოჩნდა, რომ მასწავლებლები უფრო მეტად ამყარებდნენ კომუნიკაციას იმ ბავშვებთან, რომელთა მიმართაც წინასწარ ჩამოუყალიბეს მაღალი მოლოდინი. მათი ვარაუდით, მასწავლებლის მოლოდინი, ზოგადად დიდ გავლენას ახდენს არა მარტო მოსწავლის განვითარებაზე, არამედ მისი IQ-ს მაჩვენებლის გაზრდაზე.

აღსანიშნავია, რომ IQ მაჩვენებლის გარდა, მასწავლებლის მოლოდინი შეიძლება განსაზღვროს სქესმა, რასამ, ეროვნებამ, სოციალურმა სტატუსმა.

ამრიგად, მასწავლებლის მოლოდინებს დიდი მნიშვნელობა აქვს მოსწავლეების აკადემიური წარმატებისთვის, განსაკუთრებით კი დაწყებით საფეხურზე. ისინი გაუცნობიერებლად გადასცემენ მოსწავლეებს თავიანთ მოლოდინებს, რაც, თავის მხრივ, განსაზღვრავს მოსწავლის ქცევას და მოტივაციას.

როდესაც მასწავლებლის მოლოდინები კონკრეტული მოსწავლის მიმართ მაღალია, ეს ხელს უწყობს მოსწავლეში მაღალი თვითეფექტურობის ჩამოყალიბებას, ხოლო როდესაც მასწავლებლის მოლოდინები დაბალია, შესაბამისად, განსაზღვრავს მოსწავლეში დაბალ თვითეფექტურობას.

როდესაც მოსწავლის თვითეფექტურობა დაბალია, შეიძლება მასში შეძენილი უმწეობა განვითარდეს, რაც გულისხმობს დავალების შესრულებისადმი სრული უკონტროლობის შეგრძნებას. მოსწავლეს ასეთ შემთხვევაში, ნებისმიერი მცდელობის მიუხედავად, წარმატება მიუღწევლად მიაჩნია.

გარდა ამისა, შეძენილი უმწეობა არა მარტო სასკოლო აქტივობებზე ახდენს გავლენას, არამედ პიროვნებას უყალიბებს პრობლემებთან გამკლავების სპეციფიკურ გზებსაც. ისინი პრობლემის წყაროს საკუთარ თავში ხედავენ, ცხოვრების სხვადასხვა ასპექტზე ახდენენ მის გენერალიზებას და პრობლემებს მიიჩნევენ მუდმივად და დაუძლევლად. უფრო მაღალი თვითეფექტურობის ინდივიდები კი მეტად ოპტიმისტურად არიან განწყობილნი და პრობლემის წყაროს გარეთ ხედავენ, ამასთან მას მიაკუთვნებენ კონკრეულ სიტუაციას ან აქტივობას და მიაჩნიათ, რომ ეს არის დროებითი, ან დროში შეზღუდული მოვლენა. ამ ორ აღქმას შორის არსებულ განსხვავებებთან მიმართებაში მნიშვნელოვანია, თუ როგორ ჰგავს ოპტიმისტური ხედვა მაღალ თვითეფექტურობას და როგორ ეწინააღმდეგება ან განსხვავდება მისგან შეძენილი უმწეობა.

ელიფ პინარის და მისი კოლეგების მიერ თურქეთში ჩატარებული კვლევის – „თურქი მასწავლებლების მოლოდინები წარმატებისადმი ინკლუზიურ კლასებში“ – მიზანი იყო დაედგინათ მასწავლებლების დამოკიდებულებები სკოლაში წარმატების მისაღწევად არსებული სოციალური უნარებისადმი როგორც სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეებისთვის, ასევე დანარჩენი მოსწავლეებისთვის. კვლევაში მონაწილეობა მიიღო ბოლუს საჯარო სკოლის 172 მასწავლებელმა. აქედან, 70%-ს არ ჰქონდა გავლილი სსსმ მოსწავლეებთან მუშაობისთვის მოსამზა-

დებელი არანაირი სპეციალური კურსი; 30%-ს გავლილი ჰქონდა მოკლევადიანი ორკვირიანი კურსი, რომლის შედეგადაც მათ მიეწოდათ ზოგადი ინფორმაცია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეების შესახებ. მასწავლებლებს მიეწოდათ კითხვარის ორი ფორმა: ერთი განკუთვნილი იყო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეებისთვის წარმატების მისაღწევად საჭირო სოციალური უნარების შესაფასებლად, ხოლო მეორე დანარჩენი მოსწავლეებისთვის წარმატების მისაღწევად საჭირო სოციალური უნარების შესაფასებლად. გამოყენებულ იქნა რიგის სკალა, სოციალური უნარების შეფასება ხდებოდა – „არ არის მნიშვნელოვანი“, „მნიშვნელოვანია“, „ძალიან მნიშვნელოვანია/გადამწყვეტია“ – წარმატების კატეგორიების მიხედვით.

შედეგების მიხედვით, არც ერთი სოციალური უნარი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეებისთვის წარმატების მისაღწევად არ შეფასდა მნიშვნელოვნად მაშინ, როდესაც სოციალური უნარების უმრავლესობა ძალიან მნიშვნელოვანია წარმატების მისაღწევად დანარჩენი მოსწავლეებისთვის. ეს შედეგები მიუთითებს მასწავლებლის დაბალ მოლოდინებზე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეების მიმართ. ის ფაქტი, რომ, მათი აზრით, არც ერთი სოციალური უნარი არ არის მნიშვნელოვანი წარმატების მისაღწევად, მეტყველებს იმაზე, რომ მასწავლებელს არ სჯერა, რომ სსსმ მოსწავლე წარმატებას მიაღწევს.

ის ფაქტი, რომ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეები ხშირად შეუფერებლად იქცევიან, აქვთ დაბალი აკადემიური მიღწევები, უარყოფითად მოქმედებს მასწავლებლის მოლოდინის ჩამოყალიბებაზე. ავტორების აზრით, ეს შედეგები მასწავლებლების ინფორმაციის და გამოცდილების ნაკლებობის შედეგია. მათი აზრით, საჭიროა სპეციალური პროგრამების და ტრენინგების ჩატარება ამ მიმართულებით, რათა მასწავლებლებს მიეწოდოთ საჭირო ინფორმაცია სსსმ მოსწავლეების შესა-

ხებ, რაც, საბოლოოდ, მათი მოლოდინების შეცვლას გამოიწვევს და დადებითად აისახება სსსმ მოსწავლეების მიღწევებზე.

ია ლომინაშვილის მიერ საქართველოში ჩატარდა კვლევა – „დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მოლოდინები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეების აკადემიურ და სოციალურ მიღწევებზე“. კვლევაში მონაწილეობა მიიღო თბილისის 12 ზოგადსაგანმანათლებლო საჯარო სკოლის 50-მა მასწავლებელმა, რომლებიც ასწავლიან 1-ლიდან მე-5 კლასის ჩათვლით. კვლევის მიზანი იყო იმის გარკვევა, როგორი მოლოდინები აქვთ მასწავლებლებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეების აკადემიური და სოციალური მიღწევების მიმართ, არის თუ არა კავშირში მათი მოლოდინები ისეთ ფაქტორებთან, როგორიცაა მასწავლებლის სსსმ მოსწავლეებთან მუშაობის გამოცდილება, დამატებითი რესურსების არსებობა სკოლაში, მოსწავლის დიაგნოზი. ასევე, როგორია სსსმ მოსწავლეების აკადემიური და სოციალური უნარების განვითარება მასწავლებლის მაღალი და დაბალი მოლოდინების შემთხვევაში და განსხვავდება თუ არა სხვადასხვა საგნის მასწავლებლის მოლოდინი ერთი და იმავე სსსმ მოსწავლის მიმართ.

შედეგების მიხედვით:

1. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლის აკადემიური და სოციალური მიღწევების მიმართ მასწავლებლის მაღალ და დაბალ მოლოდინებს შორის სხვაობა სტატისტიკურად უმნიშვნელო აღმოჩნდა. მასწავლებელთა დამოკიდებულებები თითქმის შუაზე გაიყო – მაღალი და დაბალი მოლოდინების სასარგებლოდ.

2. გამოცდილება უარყოფით გავლენას ახდენს მასწავლებლის მოლოდინებზე, უფრო გამოცდილ მასწავლებლებს უფრო დაბალი მოლოდინები აქვთ, ვიდრე ნაკლებად გამოცდილ მასწავლებლებს. მიღებული შედეგი, ერთი შეხედვით, პარადოქსულად ჟღერს და ეწინააღმდეგება საერთაშორისო კვლევის შედეგებს, რომელთა მიხედვითაც მასწავლებლებს, რომელთაც სსსმ მოსწავლეების

სწავლების უფრო ხანგრძლივი გამოცდილება აქვთ და ფლობენ სსსმ მოსწავლეთა სწავლის სტრატეგიებს, როგორც წესი, უფრო მაღალი მოლოდინები უყალიბდებათ სსსმ მოსწავლეების სოციალური და აკადემიური მიღწევების მიმართ. თუმცა, აღნიშნული კვლევის შედეგი შეიძლება მიუთითებდეს მასწავლებლების სსსმ მოსწავლეებთან მუშაობის უარყოფით გამოცდილებაზე, როდესაც არ ხდება წლებთან ერთად მასწავლებლის კომპეტენციის ზრდა, რაც გავლენას მის მოლოდინებზე ახდენს. მასწავლებელთა 72%-ს არ შეუძლია საკუთარი სსსმ მოსწავლის საგანმანათლებლო საჭიროებების იდენტიფიკაცია და აღწერა.

3. დამატებითი რესურსი არ ცვლის მასწავლებლის მოლოდინს მოსწავლის აკადემიური და სოციალური მიღწევების მიმართ მიუხედავად იმისა, რომ მასწავლებლების 100% აღიარებს სკოლაში დამატებითი რესურსის არსებობის აუცილებლობას. ყველა მასწავლებელი აღნიშნავს, რომ მათთვის გაცილებით მარტივი იქნებოდა სსსმ ბავშვებთან მუშაობა დამატებითი რესურსის არსებობის შემთხვევაში. კვლევები ცხადყოფენ, რომ სკოლაში დამატებითი რესურსის და ისეთი სერვისების, როგორიცაა ფსიქოლოგის, სპეციალური მასწავლებლის ან ლოგოპედის მომსახურების, არსებობა, როგორც წესი, პოზიტიურ გავლენას ახდენს სსსმ მოსწავლეთა სოციალურ და აკადემიურ მიღწევებზე. აღნიშნული კვლევის შედეგად სავარაუდოა, რომ მასწავლებლებისთვის დამატებით რესურსი აღიქმება როგორც სსსმ მოსწავლის განვითარებაზე პასუხისმგებელი და არა როგორც უშუალოდ მისი და სსსმ მოსწავლის დამხმარე სსსმ მოსწავლის სწავლების პროცესში. ამ ვარაუდს აძლიერებს ის ფაქტი, რომ მასწავლებლებს გაუჭირდათ სსსმ მოსწავლისთვის საგნის სწავლებაზე პასუხისმგებელი პირის დასახელება.

4. აღმოჩნდა, რომ მოლოდინების მიუხედავად, მასწავლებლები ერთნაირად აღნიშნავენ, რომ სსსმ მოსწავლეების უმრავლესობა ვერცერთ საგანში ვერ აღწევს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მოთხოვნებს, მხოლოდ ზოგიერთ მათგანს აქვს მცირედი პროგრესი ინდივიდუალური გეგმით სწავლებისას, რაც

აკადემიური და სოციალური უნარების უმნიშვნელო პროგრესში ვლინდება. რადგან სსსმ მოსწავლეთა მიღწევები ერთნაირად ფასდება იმ მასწავლებლების მიერ, რომელთაც აქვთ მაღალი და დაბალი მოლოდინები, შესაძლებელია, მათი მოლოდინი განპირობებული იყოს არა სსსმ მოსწავლის შესაძლებლობებით, სწავლის პოტენციალით, საგანმანათლებლო საჭიროებებით ან აკადემიური და სოციალური უნარების პროგრესით, არამედ სხვა პიროვნული ან სუბიექტური ფაქტორებით, რომელიც კვლევის საგანი არ ყოფილა.

5. მასწავლებლების მიერ სსსმ მოსწავლეთა საგანმანათლებლო საჭიროებების შეფასების შესწავლამ აჩვენა, რომ მასწავლებლების 72%-მა, მიუხედავად მათი მოლოდინებისა, არ იცის სსსმ მოსწავლის ძლიერი და სუსტი მხარეები და არ შეუძლია მისი საგანმანათლებლო საჭიროებების იდენტიფიკაცია და აღწერა მაშინ, როდესაც სსსმ მოსწავლეების სწავლების და განათლების ამოსავალ წერტილს მათი სპეციალური საჭიროებები წარმოადგენს. მხოლოდ მოსწავლის ძლიერი და სუსტი მხარეების გაანალიზების, ინდივიდუალურად შერჩეული სასწავლო გარემოს, და სწავლების სტრატეგიების გამოყენებით არის შესაძლებელი სსსმ მოსწავლეთა ეფექტიანი განათლების მიღწევა.

ამრიგად, მოლოდინს დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანის ყოველდღიურ ცხოვრებაში. როგორც წესი, ჩვენი მოლოდინი მნიშვნელოვნად განსაზღვრავს იმას, თუ რას მივიღებთ. მოკლედ რომ ვთქვათ – „ვიღებთ იმას, რასაც ველით“. მასწავლებლის მოლოდინების შესწავლას შედარებით დიდი ისტორია აქვს ამერიკის შეერთებულ შტატებსა და გერმანიაში; გაცნობიერებულია ამ მოლოდინების შედეგები მეცნიერების მიერ და ჩატარებულია კვლევები მათ დასადასტურებლად. რაც შეეხება თურქეთსა და საქართველოს, ამ სფეროს შესწავლა ნელ-ნელა იწყება, ინკლუზიური განათლებაც ახალი დანერგილია, რითაც შეიძლება ავხსნათ ამ ქვეყნებში ჩატარებული კვლევის შედეგები. საჯარო სკოლის მასწავლებლებს არ აქვთ გაცნობიერებული საკუთარი მოლოდინების გავლენა მოსწავლის აკადემიურ და სოციალურ მიღწევებზე, შესა-

ბამისად, არ იციან, რამხელა საფრთხე შეიძლება შეუქმნას ამ მოლოდინებმა მათი სწავლის პოტენციალს. განხილული კვლევების მიხედვით, მოლოდინი დიდ გავლენას ახდენს მოსწავლის მიღწევებზე, მის თვითეფექტურობის ჩამოყალიბებაზე. ეს საკითხი, კიდევ უფრო აშკარა გავლენას ახდენს სსსმ მოსწავლეების სწავლებაზე. ერთ-ერთი მთავარი პრობლემა კი მასწავლებლების მოუმზადებლობაა ამ პროცესში ჩასართავად. აუცილებელია მოხდეს მასწავლებლების გადამზადება, მათი ინფორმირებულობა სსსმ მოსწავლეების საჭიროებების მხრივ, მოხდეს საჭიროებების შესაბამისად სწავლის სტრატეგიების დანერგვა, დამატებითი რესურსების ამოქმედება ყველა ინკლუზიურ სკოლაში, რაც, საბოლოოდ, სსსმ მოსწავლეების პროგრესამდე მიგვიყვანს აკადმიურ თუ სოციალურ სფეროში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. „ინკლუზიური განათლება. გზამკვლევი მასწავლებლებისთვის“, საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტრო, 2009.
2. ლომინაშვილი ია, დაწყებითი საფეხურის მასწავლებლების მოლოდინები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეების აკადემიური და სოციალური მიღწევებისადმი (სამაგისტრო ნაშრომი).
3. საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ.
4. Cooper H. & Good T. (1983) – Pygmalion grows up: Studies in the expectation communication process. New York: Longman.
5. Jussim L. & Eccles J.S (1992). Teacher Expectations II: Construction and reflection of students achievement. Journal of Personality and Social Psychology, 63 (6), 947-961.
6. Pinar E.S., Sucuoglu B. – Turkish Teachers' Expectancies for Success in Inclusive Classrooms. (2011) Academic journal article from kuram ve Uygulamada Egitim Bilimeri, Vol. 11, No.1.

7. Rosenthal R., SL Jackobson L. (1966) – Teachers' Expectancies: Determinates of pupils' IQ gains.
8. Rosenthal & Fode – Teachers' Expectancies, "what you expect is what you get" (1963).
9. Rosenthal R., SL Jackobson L. (1968) – Teachers' Expectancies p. 85.
10. Zohar A., Degani A.,Vaaknin E., (2001) – Teachers' beliefs about low-achieving students and higher order thinking. Teaching and Teacher Education, 17, 469-485.

ირაკლი ირემაძე

არჩილ ჯორჯაძე - როგორც „სოციალ-ფედერალისტური პარტიის“ დამფუძნებელი და იდეოლოგი

XIX-XX საუკუნის მიჯნა ეს ის პერიოდია, როცა ევროპაში აქტუალურია სოციალური თუ ეროვნული აფეთქებები, პერიოდი როცა ეს ორი ფაქტორი განსაზღვრავდა ყველა იმ პატარა ერის ყოველდღიურობას, რომელიც მაშინდელი დიდი იმპერიების ფარგლებში იყო მოქცეული. ამ თვალსაზრისით არც საქართველო წარმოადგენდა გამონაკლისს, რომელიც მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი იმპერიის ნაწილი იყო. 60-70-იანელი თერგდალეულების შემდეგ წამოსული ახალი ტალღა, ე.წ მეორედასელები, გარდა ეროვნული საკითხისა, ყურადღებას სოციალურ საკითხებზე ამახვილებდნენ. უკვე 90-იანელთა თაობაში კი სოციალური საკითხის განხილვა სჭარბობდა, ამის დასამტკიცებლად მესამედასელთა გავლენაც კმარა.

90-იანელთა თაობაში ძირითადად მარქსიზმის იდეები დომინირებს, ამასთანავე მარქსისტების პარალელურად, ყალიბდება სხვადასხვა ჯგუფი ძირითადად რუსეთის იმპერიის სხვადასხვა ქალაქის უნივერსიტეტებში სტუდენტთა ქართულ სათვისტომოებში. სწორედ ერთ-ერთ ასეთ სტუდენტთა გაერთიანებაში, კერძოდ პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტთა სათვისტომოში ხდება ერთგვარი დებიუტი არჩილ ჯორჯაძისა, როცა ის უახლოვდება იმჟამად იქ მყოფ ქართველ სტუდენტებს, ლუარსაბ ანდრონიკაშილსა და ზურაბ ავალიშვილს, რომლებიც არჩ.ჯორჯაძეს აკავშირებენ **„სევერნი ვესტნიკის“** რედაქციასთან, სადაც არჩ. ჯორჯაძის პირველი წერილები დაიბეჭდა.[1]

---

[1] დ. შველიძე, ფედერალისტები, თბილისი, „არისი“,1993, გვ. 56.

არჩ. ჯორჯაძე პეტერბურგის უნივერსიტეტში სწავლისას, 1892 წელს, რამდენიმე თვით გადავიდა ვარშავის უნივერისტეტში, სადაც ძალზე აქტიური იყო ქართველი სტუდენტობა. აქ მან, შემდგომში, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთ ლიდერ გიორგი გვაზავასთან და სხვებთან ერთად დააარსა **„საქართველოს განთავისუფლების ლიგა“**.[1]

სტუდენტობის წლების შემდეგ, 1901 წელს ბრუნდება საქართველოში და უერთდება ე.წ **„ცნობის ფურცლის“** ჯგუფს. ამ ჯგუფში გაერთიანებული არიან ყოფილი „ახალგაზრდა ივერიელები“ და „მოამბისტები“. „ცნობის ფურცლის“ ჯგუფი იმავე წელს ქმნის შემდგომში პარტიის შექმნის მოსამზადებელ საორგანიზაციო კომიტეტს, რომელშიც არჩილ ჯორჯაძე, **გიორგი გლასხიშვილთან, გიორგი და ანდრეა დეკანოზიშვილებთან, გიორგი ზდანოვიჩთან** და სხვებთან ერთად შედის. ეს ჯგუფი, ფაქტობრივად, აერთიანებდა იმ ადამიანებს, რომლებიც, თერგდალეულთა თაობისგან განსხვავებით, ფიქრობდნენ, რომ საქართველოს ავტონომიის აღდგენისათვის აუცილებელია არა მხოლოდ პუბლიცისტური საქმიანობა და ამ კუთხით ბრძოლა იმპერიასთან, არამედ მძლავრი პოლიტიკური ინსტიტუტის – პარტიის შექმნაც. არჩილ ჯორჯაძე და გიორგი ზდანოვიჩი ამის გამო ღიად აკრიტიკებდნენ თერგდალეულებს. პარტიის შექმნამდე კი საორგანიზაციო ჯგუფს საჭიროდ მიაჩნდა არალეგალური გაზეთის გამოცემა, რომელიც ერთდროულად გათვლილი იქნებოდა როგორც ქვეყნის შიგნით მკითხველისათვის, ასევე საერთაშორისო საზოგადოებისათვის. ამ მიზნით, 1902 წელს, საორგანიზაციო კომიტეტმა საზღვარგარეთ მიავლინა არჩ. ჯორჯაძე და გ. დეკანოზიშვილი. მათი აქტიური მუშაობის შედეგად 1903 წელის 1 მაისს გამოვიდა გაზ. **„საქართველო“** და მისი ფრანგული დანამატი **„ლა ჟეორჟი“** . ეს წინ გადადგმული ნაბიჯი იყო საორგანიზაციო ჯგუფისათვის, რადგანაც ამით მათ არა

---

[1] ს.ტ. ჯონსი, სოციალიზმი ქართულ ფერებში, „ლიგამუსი“, თბილისი, 2007, გვ. 77.

მხოლოდ საკუთრივ საქართველოში დააყენეს აქტუალურ საკითხ-ად ავტონომიის მოთხოვნა, არამედ საერთაშორისო ასპარეზზეც.

ჯორჯაძემ და „ცნობის ფურცლის“ ჯგუფმა 1904 წ-ს შექმნეს პირველი „ქართული“ ბლოკისტური პოლიტიკური გაერთიანება **„სოციალისტ-ფედერალისტური სარევოლუციო პარტია“**. 1904 წლის 1 აპრილს ჟენევაში გაიხსნა **„ქართველ რევოლუციონერთა I კონფერენცია“**, რომელიც „ცნობის ფურცლის“ ჯგუფის ორგანიზე-ბული იყო. მასში მოწვეული იყვნენ იმ დროის საქართველოს პო-ლიტიკური ძალები, მათ შორის „ცნობის ფურცლის“ ჯგუფიდან: **გიორგი დეკანოზიშვილი, არჩილ ჯორჯაძე,** ანარქისტებიდან: **კო-მანდო გოგელია, ვარლამ ჩერქეზიშვილი და მიხაკო წერეთელი,** ასევე ესერები, ეროვნულ-დემოკრატთა ჯგუფი და სოციალ-დე-მოკრატები: **ნოე ჟორდანია** და მისი რამდენიმე თანაპარტიელი (რომლებმაც მალევე დატოვეს შეხვედრა, რადგან სოციალ-დემოკ-რატები კონფერენციაზე განსახილველ საკითხებს არ თვლიდნენ აქტუალურად). ფაქტობრივად, ამავე კონფერენციაზე შეჯერდა აზრი ბლოკისტური პოლიტიკური გაერთიანების – **„სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის“** – შექმნის შესახებ და დაისახა გეგმა, რომლის მიზანი საქართველოს ავტონომია იყო.[1]

გამომდინარე იქიდან, რომ ბლოკისტური **„სოციალისტ-ფედე-რალისტური სარევოლუციო პარტია“** გამოირჩეოდა სიჭრელითა და იდეოლოგიური განსხვავებულობით, სრულიად ლოგიკურად 1907 წელს დაიშალა, 1906 წელს მას ეროვნულ-დემოკრატთა ჯგუ-ფი გამოეყო, ხოლო 1907 წელს ანარქისტთა ჯგუფი. ამის შემდეგ უფრო მკაფიოდ წარმოჩინდა დამოუკიდებელი **„სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის“** იდეოლოგიური ხედვები და მიმართუ-ლებები. ამ პარტიის იდეოლოგიური პლატფორმა დაეფუძნა არ-ჩილ ჯორჯაძის პოლიტიკურ ნააზრევს, კერძოდ, 1901 წელს გა-ზეთ „ცნობის ფურცელში“ გამოქვეყნებულ სტატიას **„საერთო**

---

[1] საქართველოს მეოცე საუკუნის ისტორია. რედ. ვ. გურული. არტანუჯი, თბილისი, 2003, გვ. 12.

მოქმედების ნიადაგი“ და 1903-07 წლებში რუსეთის რევოლუციის დროს გამოქვეყნებულ სტატიებს.[1]

არჩილ ჯორჯაძის 1901 წლის გაზ. „ცნობის ფურცლის“ გვერდებზე გამოქვეყნებული სტატია „საერთო მოქმედების ნიადაგი“, როგორც აღვნიშნე, არის ის ტრაქტატი, რომელსაც გარკვეული დროის განმავლობაში დაეფუძნა სოციალ-ფედერალისტური პარტია. სტატია გარკვეულწილად თანხვედრაშია ილია ჭავჭავაძის „ნაციონალური კონსოლიდაციის თეორიასთან“, თუმცა, ილიასგან განსხვავებით, არჩილ ჯორჯაძე საკმაო ყურადღებას ამახვილებს სოციალურ საკითხებზეც, რომლებიც ამ პერიოდში ყველაზე აქტუალურია და ხშირად ჩრდილავდა ხოლმე ეროვნულ საკითხსაც კი. არჩ. ჯორჯაძის ეს ყველაზე ცნობილი სტატია სათაურით „საერთო მოქმედების ნიადაგი“ 1901 წლის 21 მარტისა და 5 აპრილის ნომრებში დაიბეჭდა. სტატიის პათოსით, საქართველოს ყველა დასი თუ პოლიტიკური ჯგუფი უნდა გაერთიანებულიყო „საერთო სამოქმედო ნიადაგის“ გარშემო, რომელიც ჯორჯაძისეულ კონცეფციაში, თავდაპირველად, სამ პუნქტს მოიცავდა:[2]

1) ქართული ენის დაცვა;

2) ქართული ვაჭრობა-მრეწველობის შექმნა;

3) ქართული მეურნეობის ქართველთა ხელში შერჩენა;

წერილის მეორე ნაწილი 1901 წლის 5 აპრილის ნომერში დაიბეჭდა, სადაც კიდევ ორი პუნქტი იყო დამატებული. კერძოდ, მეოთხე და მეხუთე:

4) სახალხო კულტურული საქმიანობა;

5) თვითმმართველობაში ჩარევა და გააქტიურება.

არჩილ ჯორჯაძე სათითაოდ განიხილავდა „საერთო მოქმედების ნიადაგის პუნქტებს და არგუმენტირებულად ასაბუთებდა მათ აქტუალობას მეოცე საუკუნის ქართულ რეალობაში.

---

[1] საქრთველოს მეოცე საუკუნის ისტორია, რედ. ვ გურული, არტანუჯი, თბილისი, 2003, გვ. 20.

[2] არჩ.ჯორჯაძე, საერთო მოქმედების ნიადაგი, გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1901, 21.03.

არჩილ ჯორჯაძე თავისი კონცეფციის პირველ პუნქტად ქართული ენის დაცვას ასახელებს. აღნიშნავს, რომ, ფაქტობრივად, მთელი მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში ქართული ენა კარგავდა თავის მნიშვნელობას, ვინაიდან სკოლებში სწავლა-განათლება რუსულ ენაზე მიმდინარეობდა, ასევე რუსულ ენაზე იყო საქმეთწარმოება ორივე გუბერნიაში. ამრიგად, ქართულმა ენამ ჩრდილში გადაინაცვლა. შეუძლებელი გახდა ქართულ ენაზე სწავლა-განათლების მიღება. იმდროინდელი ქართული საზოგადოების ასეთ მძიმე სოციალურ მდგომარეობას, გარდა ეკონომიკური სიდუხჭირისა, განათლების უქონლობით განმარტავს. იგი აქვე აღნიშნავს, რომ მიუხედავად რუსეთის გამიზნული ქმედებებისა ამ კუთხით, ბრალი ქართულ თავადაზნაურობასაც ედება, რომელიც გატაცებულია რუსულის შესწავლითა და მშობლიური ენის გვერდზე გადადებით. ამ ფაქტს ჯორჯაძე „მავნე სენად“ მოიხსენიებს და აქვე დასძენს, რომ „კულტურის აყვავება უენოდ შეუძლებელიაო“.[1]

ჯორჯაძისეულ „საერთო ნიადაგის თეორიაში“ მეორე პუნქტად ეროვნული მრეწველობის შექმნაა. ეს მოიცავს იმ მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებს, რომლის წინაშეც მაშინდელი საქართველო იყო. ჯორჯაძე ღიად საუბრობს იმ კლასობრივ დაპირისპირებაზე, რომელსაც გაურბოდნენ პირველდასელები, ის აღიარებს ამ დაპირისპირებას, თუმცა, მესამედასელებისგან განსხვავებით, გამოსავალს რევოლუციაში არ ხედავს. მისი ხედვა მოიცავს გარკვეულ გარდაქმნებს, რომელიც მიმართული იქნება კლასობრივი განსხვავებულობის შესამცირებლად, მაგრამ აქვე აღნიშნავს, რომ ამის საბოლოოდ აღმოფხვრა შეუძლებელია. კლასობრივ ანტაგონიზმს უპირისპირებს პატრიოტიზმსა და სახელმწიფოებრიობის შეგნებას.[2] ჯორჯაძის აზრით, მაშინ მიაღწევს ქვეყანა ეკონომიკურ წარმატებას და განვითარებას, თუ უბრალო, ყველა-

---

[1] არჩ. ჯორჯაძე, მავნე სენი, თხუზულებანი, წიგნი მეორე, ტფილისი, 1911.

[2] დ. შველიძე, ფედერალისტები, „არისი“,1993, გვ. 62.

ზე დაბალი თანრიგის მუშა თავის საქმეში ჩააქსოვს პატრიოტიზმს.

ჯორჯაძე ასევე საუბრობს მიწების გადანაწილებასთან დაკავშირებით. სოფლად სოციალური უთანასწორობის აღმოფხვრის გზად მემამულეთა მხრიდან მიწების გლეხებზე შეღავათიან ფასად გადანაწილებას მოიაზრებს. გარკვეულწილად, ეს მესამე პუნქტსაც უკავშირდება, რადგანაც მიწების გლეხებზე გადანაწილება, ერთი მხრივ, აწესრიგებს სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებს, ხოლო, მეორე მხრივ, გარკვეულ გარანტიას წარმოადგენს მესამე პუნქტის გამყარებისთვის. კერძოდ, ქართველ გლეხებზე მიწების გადანაწილება გულისხმობს იმას, რომ ეს მიწები და, შესაბამისად, პროდუქცია ინტეგრირებულ იქნეს ეროვნულ მრეწველობაში და მრეწველობის სიმძლავრეები ქართველთა ხელში მოექცეს.

გარდა ქართული მეურნეობის შექმნისა, არჩ. ჯორჯაძე მნიშვნელოვნად მიიჩნევდა ამ მეურნეობის ქართველთა ხელში დარჩენის საკითხს, რადგანაც ხშირი იყო შემთხვევები, როცა მეცხრამეტე საუკუნეში ქართველები მიწას და სხვა ეკონომიკურ სიმძლავრეს კარგავდნენ ვალების, გაკოტრების გზით, ხოლო ამით ძირითადად სომხური და რუსული ბურჟუაზია სარგებლობდა.

მეოთხე საკითხად კულტურული საქმიანობა გამოყო, სადაც წარმმართველი როლის სტატუსს ქართულ ინტელიგენციას ანიჭებდა. აღიარებდა იმდროინდელი ინტელიგენციის სისუსტეებს და მიაჩნდა, რომ ქვეყნის კულტურულ-საზოგადოებრივი აღორძინებისთვის აუცილებელი იყო „ნამდვილი ინტელიგენცია“,[1] რომელიც დაემყარებოდა არა კერძო ინტერესებს, არამედ საერთო საზოგადოებრივ ინტერესებს. ჯორჯაძეს აქ ევროპული მაგალითებიც მოჰყავს, სადაც ინტელიგენცია სოციალურ-ეკონომიკურმა მოძრაობებმა ორ ნაწილად გაყო, სადაც მათი საქმიანობა საერთო-საზოგადოებრივ ინტერესებს ექვემდებარებოდა და არა გან-

[1] „ცნობის ფურცელი“, 1901.13.05.

კერძოებულად ვიწრო ჯგუფისას. ეს ინტელიგენცია ძირითადად ქართული თავადაზნაურობით იყო წარმოდგენილი. ჯორჯაძე აღნიშნავს, რომ გარკვეულწილად მისი ნაწილი კერძო ინტერესებს ემსახურება და არა საერთო-ეროვნულს. ჯორჯაძე საუბრობდა ქართული ლიტერატურის ნაკლებობაზეც, რომელიც არ იყო საკმარისი განათლების მისაღებად; ამ კუთხით აუცილებელი იყო ევროპული ქვეყნების გამოცდილების გაზიარება, ასევე კარგად უნდა გაეაზრებინათ ევროპული გამოცდილება და მათთვის მიებაძათ.

ბოლო პუნქტს წარმოადგენდა თვითმმართველობაში ჩართულობა, საკითხი, რომელიც ძალზე მწვავად იდგა იმ დროის საქართველოში, განსაკუთრებით აღმოსავლეთ საქართველოში. თბილისში მთელი ათეული წლების განმავლობაში (ქალაქის თავებად და თვითმმართველობაშიც) ქართველები ნაკლებად იყვნენ წარმოდგენილი. ჯორჯაძე მოუწოდებდა ამ კუთხით გააქტიურებისაკენ. აუცილებლად მიაჩნდა დეცენტრალიზაციის და თვითმმართველობის გააქტიურება.

არჩილ ჯორჯაძე თავის „საერთო მოქმედების ნიადაგს“ აფუძნებდა ევროპულ გამოცდილებზე. „არ შეიძლება არ ვისარგებლოთ ევროპული ცხოვრების გამოცდილებით და ჩვენდა სასარგებლოდ არ გამოვიყენოთ ეს გამოცდილება“.[1] ამ გამოცდილებას ის იყენებდა სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გასააზრებლად და თავის მოდელში წარმოადგენდა. ამასთანავე, როცა ის საუბრობს „საერთო სამოქმედო ნიადგაზე“, მოჰყავს ირლანდიის მაგალითი, სადაც, მიუხედავად იდეოლოგიური განსხვავებებისა, ირლანდიურმა პარტიებმა და პოლიტიკურმა ჯგუფებმა მოახერხეს გაერთიანება „საერთო ნიადაგზე“. ჯორჯაძეს განსაკუთრებულად მოსწონს ირლანდიელი პოლიტიკური მოღვაწე ოკკონელი, რომელიც მუდმივად მოუწოდებდა საზოგადოებას საერთო ინტერესებისა

---

[1] „ცნობის ფურცელი“, 1901. 28.07.

გარშემო გაერთიანებასა და ბრძოლას დამოუკიდებლობისათვის.[1] არჩ.ჯორჯაძე თავის „საერთო მოქმედების ნიადაგში“ სწორედ ამ „საერთო ინტერესთა“ გამოკვეთას ცდილობდა, თუმცა მას ძალზე ბევრი კრიტიკოსი გამოუჩნდა. კერძოდ, მარჯვნიდან ეროვნულ დემოკრატებმა მკაცრად გააკრიტიკეს **„ივერიის“** ფურცლებიდან, ხოლო მარცხნიდან **„კვალის“** ფურცლებზე გააკრიტიკა ნოე ჟორდანიამ. ჟორდანიამ ნაწილობრივ აღიარა ის თეზა, რასაც ჯორჯაძე მიჰყვებოდა, კერძოდ „ერი ვერასოდეს დანაწილდება ისე, რომ ამ ნაწილთა შორის რაიმე საერთო ინტერესი არ იყოს“, – წერდა ჟორდანია. აგრეთვე აღიარებდა, რომ „ენა, ლიტერატურა, ისტორია, საზოგადოთ-კულტურა ის დედაბოძია, რომელზედაც დაყრდნობილია ყველანაირი პარტია“.[2]

ნოე ჟორდანია 1901 წელსვე გაზ. „კვალში“ განიხილავს „საერთო მოქმედების ნაიდაგის“ პუნქტებს. როგორც ზემოთ ვნახეთ, მესამედასელთათვის მისაღები იყო გარკვეული პუნქტები – ენასთან, კულტურასთან, საზოგადოებასთან და თვითმმართველობასთან დაკავშირებით. თუმცა, მათ, ცალსახად, უარყოფითი დამოკდებულება გააჩნდათ მეორე და მესამე პუნქტებთან დაკავშირებით. კერძოდ, ჟორდანია წერს: „საერთო ნიადაგის ავტორს, ქართული ბურჟუაზიის გამძლავრება სურს როგორც ქალაქში, ისე სოფელში, ქართველი შრომელი ხალხის ალაგმვა როგორც მრეწველობაში, ისე მეურნეობაში. აი, საითკენ იწოდებს ის საქართველოს“.[3] ჟორდანია ჯორჯაძეს ეპითეტებითაც ამკობს – „ქართული ბურჟუაზიის ნამდვილი ბაირახტარი“, სწორედ ასე მოიხსენიებს ჯორჯაძეს „კვალის“ ფურცლებზე. ჯორჯაძეს კრიტიკა არც სხვა სოციალ-დემოკრატება დააკლეს. საბოლოოდ კი „საერთო მოქმედების“ სრული დისკრედიტაცია მოახდინეს. განსაკუთრებით აქტიურობდა სოციალ-დემოკრატი ალექსანდრე წულუკიძე (შემ-

---

[1] არჩ. ჯორჯაძე, ირლანდია ღია XIX საუკუნეში, თხზულებანი, წიგნი მეოთხე. ტფილისი, გვ. 291.

[2] დ. შველიძე, ფედერალისტები, არისი, 1993, გვ. 76.

[3] „კვალი“, 1901.

დგომში ბოლშევიკი), რომელმაც ჯორჯაძის იდეების საწინააღმდეგოდ წიგნიც კი გამოსცა „ოცნება და სინამდვილე“,[1] სადაც მკაცრად აკრიტიკებდა ჯორჯაძის იდეებს და ბურჟუაზიული იდეოლოგიის დამცველად მოიხსენიებდა. თავად არჩილ ჯორჯაძე კი 1909 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში „შერიგების იმედი“ ფიქრობს, რომ ამ იდეების გარშემო გაერთიანება კვლავ შესაძლებელია. იგი იმედს იტოვებს შერიგებისას, მიუხედავად ამდენი კრიტიკისა, რომელიც მომდინარეობდა როგორც მარცხნიდან, ისე მარჯვნიდან, კონსენსუსი შესაძლებელია, ხოლო „საერთო მოქმედების ნიადაგი“ კვლავ რჩება იმ მთავარ პლატფორმად, რომლის გარშემოც ყველა უნდა გაერთიანდეს.

„საერთო მოქმედების ნიადაგის“ შესახებ ქართულ პოლიტიკურ სპექტრში არსებულმა კრიტიკულმა დამოკიდებულებებმა, ფაქტობრივად (ჩანასახის დონეზე), მის გარშემო გართიანების ყველანაირი შანსი მოსპო. შესაბამისად, ამ იდეების მთავარ განმახორციელებლად 1904 წელს შექმნილი „სოციალ-ფედერალისტური სარევოლუციო პარტია“ უნდა ყოფილიყო. თუმცა, თავისი ბლოკისტურობიდან გამომდინარე, ძალზე ძნელი იყო ამის განხორციელება, ამასთანავე, აღსანიშნავია ის რეალობა, რომელიც ამ პერიოდში შეიქმნა რუსეთის იმპერიაში, კერძოდ 1905 წლის რევოლუცია, რომელმაც წინა პლანზე უალტერნატივოდ სოციალური საკითხები დააყენა. 1907 წლის შემდეგ, როცა „სოციალ-ფედერალისტები“ დამოუკიდებელ პარტიად ჩამოყალიბდა, ამ კონცეფციის გახორციელება ვერ მოხერხდა.

1911 წელს უკვე არჩილ ჯორჯაძემ აღიარა, რომ მისმა საერთო ნიადაგის თეორიამ მარცხი განიცადა, თუმცა ეს სულაც არ გულისხმობდა საბოლოო მარცხს. „ნამდვილი კონსტიტუციური რეჟიმის დამყარებასთან, როდესაც პოლიტიკური ცხოვრების ზრდა-განვითარების ხელისშემშლელი პირობები მოისპობა, ჩვენს საზოგადოებრივი ჯგუფების წინაშე ხელმეორედ წარმოდგება და

[1] დ. შველიძე. ფედერალისტები, „არისი“.1993, გვ. 77.

იშვება საერთო მოქმედების ნიადაგის გამონახვის საჭიროება. ამ ნიადაგს ახალი შინაარსი ექნებოდა, ხოლო პრინციპები ჩემი შეგნებით, იქნება ის, რომლითაც ვხელმძღვანელობდი, „ცნობის ფურცლის“ წერილებში“.[1]

საბოლოოდ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ „ცნობის ფურცლის“ ჯგუფის ფურცლებზე გამოქვეყნებული არჩილ ჯორჯაძის წერილები – „საერთო მოქმედების ნიადაგი“ – იყო ერთ-ერთი ის მთავარი პოლიტიკური კონცეფცია, რომლის გარშემოც მიმდინარეობდა დავა-კამათი 1900-იანი წლების ქართულ პოლიტიკურ სპექტრს შორის. ეს კონცეფცია ფაქტობრივად ახალი სიტყვა იყო ქართულ რეალობაში. კერძოდ, „საერთო მოქმედების ნიადაგი“ იყო ის ბაზისი, რომელიც აერთიანებდა ორ ძირითად პოსპულატს იმდროინდელი ქართული საზოგადოებისა: „სოციალური საკითხი“ და „ნაციონალური საკითხი“. არჩ. ჯორჯაძე ცდილობდა ამ ორი პოსტულატის დაახლოებას, საერთო ინტერესთა გამოკვეთას და „ერთ ნიადაგზე“ მოქცევას. საბოლოოდ ეს ვერ მოხერხდა პოლიტიკურ სპექტრთა რადიკალურად დაპირისპირების შედეგად, ეს ვერ მოხერხდა ერთი პარტიის ფარგლებშიც, განსაკუთრებით რევოლუციის შემდეგ, როცა ამ ორ მიმართულებას შორის სასწორის პინა აშკარად სოციალური საკითხის სასარგებლოდ გადაიხარა.

საინტერესოა ისიც, რომ არჩილ ჯორჯაძის შეხედულებებიც, რევოლუციის პერიოდში, მნიშვნელოვნად გადაიხარა მარცხვნივ. ამას თვითონაც აღიარებდა, თუმცა რევოლუციის განელების შემდეგ კვლავ დაუბრუნდა ადრინდელ მიმართულებას. ზოგადად კი „სოციალ-ფედერალისტური პარტიის“ იდეოლოგია დაეფუძნა ასევე არჩილ ჯორჯაძის რევოლუციის პერიოდში (1903-07 წლებში) გამოქვეყნებულ სტატიებს, სადაც აქცენტი ავტონომიასა და უკვე აფეთქების პიკზე მყოფ სოციალ-ეკონომიკურ საკითხებზე კეთდებოდა. ისტორიკოსები ამ პერიოდის სტატიებზე დაყრდნობით საუბრობენ საქართველოში სოციალიზმის იდეოლოგიის ახალი მი-

[1] არჩ. ჯორჯაძე, თხზულებანი, მეოთხე წიგნი, თბილისი, გვ. 111.

მართულების, კერძოდ „სოციალისტური-ფედერალიზმის“ დამკვიდრების შესახებ.[1] „სოციალ-ფედერალისტური პარტია“ ამ პერიოდში გავლენით მეორე პოლიტიკურ ძალას წარმოადგენდა, ძირითად დასაყრდენს კი ქალაქის საშუალო კლასის ინტელიგენცია შეადგენდა. პარტია სწორედ „სოციალისტური-ფედერალიზმის“ იდეოლოგიაზე დაფუძნებული პროგრამით წარსდგა რუსეთის დუმის მეორე და მესამე არჩევნებზე, სადაც მეორე ადგილი დაიკავა და ორივეჯერ „დუმაში“ თითო-თითო დეპუტატი გაიყვანა, კერძოდ, მეორე დუმაში იოსებ ბარათაშვილი, ხოლო მესამე დუმაში ვარლამ გელოვანი.

სოციალ-ფედერალისტური პარტიის პლატფორმა, როგორც აღინიშნა, დაემყარა ე.წ „სოციალისტური-ფედერალიზმის“ იდეოლოგიურ მიმართულებას, რომელიც თავის თავში აერთიანებდა სოციალიზმის ელემენტებს და, მესამედასელთა ინტერნაციონალური პლატფორმისგან განსხვავებით, წინა პლანზე აყენებდა ავტონომიის საკითხს, რომელსაც ფედერალიზმის კუთხით განიხილავდნენ. ამავე პერიოდში ჩამოყალიბდა ერთგვარი კონცეფცია: **რუსეთის კონფედერაცია→ ამიერკავკასიის ფედერაცია→ საქართველოს ავტონომია.**

მიუხედავად იმისა, რომ არჩილ ჯორჯაძე და, ზოგადად, „სოციალ-ფედერალისტური პარტია“ მუდმივად ეძებდნენ საზოგადოების ფართო მასებისათვის მისაღებ კომპრომისს ნაციონალური და სოციალური საკითხების შეთანაწყობის პროცესში (და ნაწილობრივ აღწევდნენ კიდეც ამას), მაინც ვერ მოხერხდა ამ იდეალების გარშემო ფართო მასების თავმოყრა. როგორც ისტორიკოსთა ნაწილი აღნიშნავს, „სოციალ-ფედერალისტთა პარტიას“ ელექტორატი გამოაცალა როგორც მემარცხენე პარტიებმა (სოციალ-დემოკრატებმა და ესერებმა), ასევე ნაციონალისტური მიმართულების პარტიამ (ეროვნულ-დემოკრატებმა). პარტიის ძირითადი

---

[1] საქართველოს XX საუკუნის ისტორია, რედ. ვ. გურული, თბილისი, „არტანუჯი“, 2003, გვ. 20.

მხარდამჭერები კი საშუალო და წვრილი ინტელიგენცია, უნივერსიტეტის სტუდენტები და პროფესორები აღმოჩნდნენ. თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ვერც რევოლუციებს შორის პერიოდში და ვერც დამოუკიდებელი საქართველოს არსებობის პერიოდში სოციალ-ფედერალისტურმა პარტიამ ვერ შეძლო თავისი იდეების გარშემო საზოგადოების ფართო მასების თავმოყრა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. დ. შველიძე, ფედერალისტები, „არისი“, თბილისი, 1993.
2. ს.ტ. ჯონსი, სოციალიზმი ქართულ ფერებში, „ლიგამუსი“. თბილისი, 2007.
3. არჩ. ჯორჯაძე, „საერთო მოქმედების ნიადაგი“, გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1901.
4. ვ. გურული, მ. ვაჩნაძე, ნ. კირთაძე, დიმ. შველიძე, ავ. წოწკოლაური, პ. ფირანიშვილი, საქართველოს მეოცე საუკუნის ისტორია, რედ. ვ გურული, „არტანუჯი“, თბილისი, 2003.
5. არჩ. ჯორჯაძე, „მავნე სენი“, თხზულებანი, მეორე წიგნი, ტფილისი, 1911.
6. არჩ. ჯორჯაძე, ირლანდია ღია XIX საუკუნეში, თხზულებანი, წიგნი მეოთხე, ტფილისი, 1911.
7. გაზ. „კვალი“, 1901.
8. გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1901.
9. არჩ. ჯორჯაძე, სამშობლო და მამულისშვილობა (რედაქტორ-შემდგენელი ე. კოდუა), 1990.

ლევან ლორთქიფანიძე

ჩარტისტული მოძრაობა, როგორც სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი

შესავალი

მეოცე საუკუნის მეორე ნახევრიდან მთელ მსოფლიოში პოლიტიკურ ასპარეზზე მრავალი ახალი საპროტესტო მოძრაობა გამოვიდა. ამგვარმა პოლიტიკურმა ფაქტორებმა არაერთ შემთხვევაში სახელმწიფოთა განვითარების შემდგომი ბედი განსაზღვრეს (1). აქედან გამიმდინარე, პოლიტიკის მეცნიერების სუბდისციპლინათა შორის, 1970-80-იან წლებში, გამოიკვეთა ახალი მიმდინარეობა. პოლიტიკის მკვლევართათვის აქტუალური გახდა სოციალურ მოძრაობათა შესწავლა. დარგის სპეციალისტები თავიდანვე ორ ძირითად მიმართულებად დაჯგუფდნენ. მეცნიერთა ერთი ნაწილი თანამედროვე საპროტესტო ტალღებითა და სახალხო კამპანიებით დაინტერესდა, მეორე ერთობამ კი აქცენტი სამრეწველო რევოლუციის ეპოქის დასაწყისში წარმოქმნილ მოძრაობებზე გააკეთა.

სოციალურ მოძრაობათა შესწავლა დღემდე რჩება პოლიტოლოგიის ერთ-ერთ განსაკუთრებულ მნიშვნელოვან ქვედარგად (2). შესაბამისად, საინტერესოდ შეგვიძლია მივიჩნიოთ ევროპის ფაქტობრივად ყველაზე ძველი სახალხო-საპროტესტო კამპანიის – ჩარტისტული მოძრაობის ძირითადი მახასიათებლებისა და პოლიტიკიური მნიშვნელობის განსაზღვრა.

ფართომასშატაბიანი საზოგადოებრივი მოძრაობა, XIX საუკუნის პირველ ნახევარში, დიდ ბრიტანეთში ჩამოყალიბდა. „ჩარტისტთა“ გაერთიანება წარმოადგენდა პოლიტიკურ რეაქციას კუნძულის მასობრივი ინდუსტრიალიზაციის პროცესსა და მისგან გამომდინარე შედეგებზე. მრავალწლიანი აქტიური და ინტენსიური მოქმედებების შემდეგ, მოძრაობის წევრთა რაოდენობამ რამ-

დენიმე ათეულ ათასს მიაღწია (3). აქედან გამომდინარე, „ჩარტისტები“ მაშინდელი ინგლისური პოლიტიკის გავლენიან მოთამაშეებად და დღის წესრიგის განმაპირობებელ სოციალურ ძალად ჩამოყალიბდნენ.

მოცემულ რეფერატში შევეცდებით გამოვყოთ ჩარტისტული მოძრაობის განვითარების მთავარი ეტაპები, მისი სტრუქტურის განსაკუთრებული ნიშნები, მოქმედების მეთოდები და განვსაზღვროთ მათი შესაბამისობა სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტთა ძირითად კრიტერიუმებთან. ამასთანავე, ყურადღებას გავამახვილებთ სამოქალაქო გაერთიანების პარტიული პოლიტიკის აქტორად გარდაქმნის ტენდენციაზე. ვიმსჯელებთ ლიდერთა რეკრუტირების საკითხებზე და მათ როლზე საპროტესტო კამპანიების წარმატებულ მუშაობაში.

საბოლოოდ, შევაფასებთ „ჩარტისტთა“ ბრძოლის მნიშვნელობას მეცხრამეტე საუკუნის შემდგომი ისტორიული მოვლენებისა და პოლიტიკურ ფენომენთა წარმოქმნის საქმეში. ვუპასუხებთ კითხვას: იყო თუ არა ვიქტორიანული ეპოქის პირველი საპროტესტო ტალღა სოციალისტური მოძრაობის დაწყების წინაპირობა.

სამოქალაქო საზოგადოების თანამედროვე გაგება

თავდაპირველად, მნიშვნელოვანია სამოქალაქო საზოგადოების კონცეფციის ძირითადი დებულებების ჩამოყალიბება, რომელთა მიმართებითაც შევეცდებით ჩარტისტული მოძრაობის დახასიათებას.

სამოქალაქო საზოგადოების ცნება და მისი უმთავრესი კომპონენტების გამოყოფა გასული ორი საუკუნის განმავლობაში მწვავე სამეცნიერო დებატების თემა გახლდათ. მსგავს სამეცნიერო დისკუსიებში ურთიერთგანსხვავებულ პოზიციებს აყალიბებდნენ სხვადასხვა დარგის გავლენიანი წარმომადგენლები (რუსო, ჰეგელი, ტოკვილი, ადამ სმიტი, ადამ ფერგიუსონი, ანტონიო გრამში და სხვ.)(4). მიუხედავად ამისა, მეოცე საუკუნის მეორე ნახევრამდე, თითქმის ყველა ავტორთან სამოქალაქო და პოლიტიკური სა-

ზოგადოებები მაინც ერთმანეთთან იყო გაიგივებული – სამოქალაქო საზოგადოების წევრად სახელმწიფოს იურისდიქციის ქვეშ აღმოჩენილი ნებისმიერი ადამიანი განიხილებოდა.

გასული საუკუნის სამოციან წლებში წარმოქმნილმა არაფორმალურმა სამოქალაქო ინსტიტუტებმა, პოსტკომუნისტურმა და პოსტსოციალისტურმა ტრანსფორმაციამ ცნებას ახალი შინაარსი შესძინა (5). მეცნიერებმა ერთმანეთისგან გამიჯნეს პოლიტიკური კლასი და სამოქალაქო საზოგადოება. ეს უკანასკნელი პოლიტიკური სისტემის კონტროლის საზოგადოებრივ ბერკეტად აღიქმებოდა. შესაბამისად, განისაზღვრა მისი უმთავრესი მახასიათებლებიც. პოლიტიკის მეცნიერების განვითარების მიმდინარე ეტაპზე სამოქალაქო საზოგადოების ნაწილად მიიჩნევა ნებისმიერი ტიპის ერთობა, რომელიც შემდეგ მოთხოვნებს აკმაყოფილებს:

1. სამოქალაქო ინიციატივის საფუძველზე მოქალაქეთა ნებაყოფლობითი გაერთიანება.
2. სახელმწიფოსგან ავტონომიურად მოქმედება.
3. საერთო ინტერესების არტიკულაცია კოლექტიური ძალისხმევის გზით.
4. სამართლის უზენაესობის პრინციპების დაცვა.
5. სამოქალაქო აქტივიზმის არაძალადობრივი მეთოდების გამოყენება.

მაშასადამე, სამოქალაქო საზოგადოება განსხვავებული ღირებულებებით მოტივირებული, სახელმწიფოსგან დამოუკიდებელი ადამიანების, თვითორგანიზებული საინიციატივო ჯგუფებისა და თავისუფალი ასოციაციების გაერთიანებაა. მათი უმთავრესი მიზანი პოლიტიკურ სივრცეში საკუთარი ინტერესების, იდეების დაცვა და წარმოდგენა გახლავთ. ის არ მოიცავს პირად, ოჯახურ ცხოვრებას და პოლიტიკური ძალაუფლების მოსაპოვებლად არ მონაწილეობს ქვეყნის პარტიულ ცხოვრებაში. თუმცა, მის ყველაზე მნიშვნელოვან მახასიათებელს მაინც მრავალფეროვნება და ყოვლისმომცველი პლურალიზმი წარმოადგენს. შესაბამისად, სამოქალაქო საზოგადოების რიგებში უამრავი ურთიერთსაპირისპირო შინაარსის ჯგუფი შეგვიძლია აღმოვაჩინოთ (6).

უპირველეს ყოვლისა, საზოგადოების ამ ნაწილის შემადგენლობაში პროფესიულ გაერთიანებებსა და საკუთარი წევრების (მაგ. პენსიონერების, ვეტერანების) მისწრაფებების დასაცავად შექმნილ კავშირებს მოიაზრებენ. მათთან ერთად, სამოქალაქო სივრცეში მოწინავე პოზიციების დაკავებას ეკონომიკური ორგანიზაციები (ბიზნესი) და კომერციული ასოციაციები ახერხებენ. „მესამე სექტორის" განუყოფელ ნაწილად რელიგიურ ინსტიტუტებს, ეთიკური ნიშნით ჩამოყალიბებულ მოძრაობებსა და ადგილობრივ სასოფლო თემებს აღიარებენ. სამოქალაქო საზოგადოებაზე საუბარი წარმოუდგენელია თავისუფალი მასმედიის, კულტურული თუ საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და სპეციფიკურ პრობლემატიკასთან (გენდერი, გარემოს დაცვა და ა.შ.) დაკავშირებული ჯგუფების გარეშე. არ უნდა გამოგვრჩეს ფართომასშტაბიანი საპროტესტო კამპანიებისა და დროის მოკლე მონაკვეთებში საყოველთაო გაფიცვების ორგანიზატორთა ჯგუფების ადგილი სამოქალაქო ველზე. ცხადია, დამატებით და ძალიან სერიოზულ სეგმენტს ქმნის ის არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც პოლიტიკური სისტემის რეფორმირებაზე, ადამიანის უფლებების, საარჩევნო პროცესების მონიტორინგსა და საჯარო დაწესებულებების გამჭვირვალობაზეა ორიენტირებული (7).

ვიქტორიანული ეპოქის დასაწყისი და მისი ძირითადი მახასიათებლები

XIX საუკუნის დასაწყისიდან, მთელი ევროპის მსგავსად, დიდ ბრიტანეთშიც დაიწყო ინდუსტრიალიზაციის აქტიური ეპოქა. მთელს კუნძულზე განვითარდა მოპოვებითი მრეწველობის ახალი კომპლექსები. ეკონომიკურ ურთიერთობებში ადგილი დაიმკვიდრა ახალმა მრავალრიცხოვანმა სოციალურმა ფენამ, რომლის წარმომადგენლები ძირითადად ინდუსტრიულ საწარმოებში დასაქმებული მოქალაქეები იყვნენ. ვიქტორიანული ხანის პირველ ეტაპზე ინგლისის ეკონომიკური ელიტა მთლიანად შერწყმული გახლდათ პოლიტიკურ ხელისუფლებასთან. შესაბამისად, არც ერთი სახელ-

მწიფო სტრუქტურა თუ პოლიტიკური ინსტიტუტი არ გამოხატავ-და მრეწველთა მიერ დაქირავებული მუშების პროტესტს მრავალ-საათიანი (10-12) სამუშაო დღის, ფაბრიკა-ქარხნებში უსაფრთხო-ების ნორმების არარსებობის, არაადეკვატური სახელფასო ანაზღ-აურებისა თუ დასაქმებულთა უმძიმესი სოციალური მდგომარეო-ბის შესახებ. არისტოკრატიით დაკომპლექტებული საკანონმდებ-ლო ორგანოსთვის მეორეხარისხოვანი თემა გახლდათ 1825 და 1836 წლების სამრეწველო კრიზისის შედეგად უმუშევრად დარჩე-ნილი მასების ინტერესი. 1834 წელს საზოგადოებში ფართოდ გავ-რცელებულ გაჭირვებას თან დაერთო თემთა პალატის მიერ „ელიზაბეტის ღარიბთა კანონის“ გაუქმებაც. აქედან გამომდინა-რე, 1830-იან წლების პირველ ნახევარში დიდ ბრიტანეთს მასობ-რივი გამოსვლების რამდენიმე ტალღამ გადაუარა. თუმცა, სამო-ქალაქო პროტესტმა ვერც ერთი პრობლემის გადაჭრასა და ვერც ერთი დასახული მიზნის აღსრულებას ვერ მიაღწია (8).

საკუთარი პოლიტიკური ინტერესების გამოხატვისა და დაც-ვის საქმეში ხალხს ხელს დამატებით კიდევ ერთი ფაქტორი უშლი-და. კერძოდ, მოქმედი ოლიგარქიული საარჩევნო სისტემა მაქსიმა-ლურად ზღუდავდა მოქალაქეთა პოლიტიკური მონაწილეობის შე-საძლებლობებს.

შეგვიძლია გამოვყოთ მეცხრამეტე საუკუნის ინგლისში მოქ-მედი საარჩევნო სისტემის რამდენიმე ძირითადი ნაკლოვანება. უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია, რომ არჩევნებში მონაწილეო-ბის მიღების უფლება საზოგადოების მხოლოდ ექსკლუზიური ჯგუფების წარმომადგენლებს ჰქონდათ. ქვეყანაში მოქმედებდა მაღალი საარჩევნო ქონებრივი ცენზი. შედეგად, 1832 წლისათვის სამეფოს 24-მილიონიანი მოსახლეობიდან ხმის მიცემის პრეროგა-ტივას მხოლოდ 1 მილიონამდე მოქალაქე ფლობდა. ბუნებრივია, პრივილეგირებულთა მცირერიცხოვან შემადგენლობაში ვერ ხვდებოდნენ უმძიმეს სოციალურ მდგომარეობაში აღმოჩენილი დაქირავებულები.

საარჩევნო სისტემის მეორე უსამართლო და დისკრიმინაციუ-ლი ასპექტი საარჩევნო ოლქებზე მანდატების დისპროპორციულ

გადანაწილებასთან გახლდათ დაკავშირებული. მაშინ მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, მსხვილ მილიონიან სამრეწველო ქალაქებსაც და უმცირეს დასახლებებსაც პარლამენტში თანაბარი წარმომადგენლობა ჰყავდათ. მაგალითად, მანჩესტერიც და დანვიჩის შინამეურნეობაც, სადაც ერთადერთი მკივდრი სახლობდა, თემთა პალატაში თითო წევრს ირჩევდნენ (9).

ჩარტისტული მოძრაობის განვითარების პირველი ეტაპი

1836 წელს სერიოზული მონაპოვრის გარეშე დასრულებულმა 30-იანი წლების საპროტესტო მოძრაობამ მოქმედების ახალი სტრატეგია აირჩია და „ლონდონის მუშათა ასოციაციის“ (London Working Men's Association) დაფუძნების გადაწყვეტილება მიიღო. ასოციაციამ, სოციალურ-ეკონომიკური მოთხოვნების გარდა, დღის წესრიგში პოლიტიკური სისტემის რეფორმის ინიციატივაც დააყენა. 1837 წელს მოძრაობის ლიდერებმა საკანონმდებლო ორგანოს წარუდგინეს კანონპროექტი, რომელსაც „სახალხო ქარტია“ (The Charter) ეწოდა. ქარტია სამოქალაქო მოძრაობის მთავარ დოკუმენტად ჩამოყალიბდა. დოკუმენტის სახელწოდებიდან გამომდინარე, 1830-40-იანი წლების საპროტესტო გამოსვლების მონაწილეებს „ჩარტისტებად“ მოიხსენიებენ. კოლექტიური ძალისხმევის ეტაპზე გადასვლამდე, ქარტიაში ლონდონის მუშათა ნებაყოფლობითმა გაერთიანებამ საკუთარი საერთო ინტერესების დეკლარირება მოახდინა (10). საპარლამენტო ბილი ექვსი ძირითადი პუნქტისაგან შედგებოდა:

1. არჩევნებში მონაწილეობის უფლების მიცემა 21 წლის ასაკს მიღწეული ყველა მამაკაცისათვის.
2. ფარული კენჭისყრის წესის დაკანონება.
3. ქონებრივი საარჩევნო ცენზის გაუქმება.
4. ყოველწლიური საპარლამენტო არჩევნები.
5. ფულადი ანაზღაურება პარლამენტის წევრთათვის.

XIX საუკუნის ინგლისში სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებმა საკუთარი მიზნების მისაღწევად ბრძოლის განსხვა-

ვებული ხერხები და მეთოდები გამოიყენეს. განვიხილოთ „ჩარტისტთა“ პოლიტიკური მონაწილეობის ტაქტიკები და შესაბამისი მაგალითები.

პოლიტიკური კომუნიკაციის მეთოდები „ჩარტისტებთან“ (1837-39)

ჩარტისტული მოძრაობა სახელმწიფოს რეპრესიულ მოქმედებებამდე მხოლოდ ინტერესთა არტიკულაციის მშვიდობიან მეთოდებს იყენებდა, სრულად აკმაყოფილებდა სამართლის უზენაესობის პრინციპებსა და ცდილობდა არაძალადობრივი წინააღმდეგობის ძირითადი კრიტერიუმების დაცვას.

თავდაპირველად, „ჩარტისტთა“ ბრძოლის მთავარი იარაღი პოლიტიკური პოზიციის დაფიქსირების უძველესი ბრიტანული მეთოდი გახლდათ. მათ საკუთარ ქარტიას სახალხო **პეტიციის** ფორმა მისცეს და ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ხელმოწერების შეგროვება დაიწყეს. პეტიიციის შექმნით პროტესტანტებმა საფუძველი ჩაუყარეს მასობრივ სამოქალაქო პლატფორმას, ქსელს, რომელმაც ასიათასობით ადამიანი გააერთიანა და მათ პოლიტიკური მოთხოვნების შესახებ ძირითადი ინფორმაცია მიაწოდა.

ჩარტისტული მოძრაობის მეორე მთავარი მახასიათებელი **მასობრივი შეკრებები** და მათი ფორმების განსაკუთრებული მრავალფეროვნება გახლდათ. მოძრაობის წევრები აქციებს ყველგან მართავდნენ, სადაც კი ეს შესაძლებელი იყო (ეკლესიაში ღვთისმსახურების დროს, ქარხნებში, სასოფლო სამეურნეო სავარგულებზე და ა.შ.). ორიგინალური იყო აქციების ჩატარების „ჩარტისტული“ ტექნიკაც. ტრადიციულ საჯარო გამოსვლებთან ერთად, ისინი ხელს უწყობდნენ პოლიტიკური პამფლეტების, მათი მხარდამჭერი გაზეთების საჯარო, კოლექტიურ ხმამაღლა კითხვას, პეტიციების აქციის მონაწილეთა შორის გავრცელებას. ამასთანავე, ჰქონდათ შესაბამისი პოლიტიკური სიმღერებიც, რომელთაც დემონსტრაციების მონაწილეთა თავშესაქცევად იყენებდნენ.

1837-39 წლებში „ჩარტისტებმა“ ასამდე მრავალათასიანი საპროტესტო მანიფესტაცია გამართეს. მათ შორის ყველაზე მასშტაბურად მიიჩნევენ გლაზგოში 1838 წლის მაისში ჩატარებულ შეკრებას, რომელსაც ადგილობრივი პრესის მონაცემებით 200 000 ადამიანი ესწრებოდა.

„ჩარტისტთა“ პერმანენტული აქციები რამდენიმე ძირითად მიზანს ემსახურებოდა. უპირველეს ყოვლისა, მრავალათასიანი დემონსტრაციები გამოიყენებოდა ინფორმაციის გავრცელების უმთავრეს საშუალებად და პეტიციაზე ხელმოწერების შეგროვების ყველაზე ეფექტურ გზად. ამასთანავე, მასობრივ შეკრებებზე იმართებოდა საჯარო დისკუსიები მოქმედების სტრატეგიებისა და მოძრაობის პროგრამული დებულებების შესახებ. გამოსვლებს ლიდერები საკუთარი მოხსენებების გავრცელებისა და გაზიარებისთვისაც იყენებდნენ. არ უნდა გამოგვრჩეს, რომ მრავალათასიანი თავყრილობები თემთა პალატისათვის ძალის დემონსტრირების ერთადერთი შედეგიანი მოქმედება გახლდათ. საბოლოოდ, ამგვარმა ნაბიჯებმა პატარა რადიკალური ჯგუფი საერთო-სახალხო მოძრაობად გადააქცია.

სამოქალაქო მოძრაობის კიდევ ერთ, ძალიან ძლიერ ინსტრუმენტს **პუბლიცისტური** საქმიანობა წარმოადგენდა. მოქალაქეთა მობილიზებას, უმთავრესად, ხელი შეუწყო „ჩარტისტ“ ავტორთა წერილების, ესსეების, მოთხრობებისა და სხვა ნაწარმოებების მასობრივმა გავრცელებამ და პოპულარობამ (ევროპული ლიტერატურის მკვლევართა ნაწილი ჩარლზ დიკენსსაც ამ მოძრაობის აქტივისტად განიხილავს). ლონდონის მუშათა ასოციაციის დაფუძნებისთანავე ყოველკვირეული პერიოდული ორგანო „ჩრდილოეთის ვარსკვლავი“ (“Northern Star”) ჩამოყალიბდა. გაზეთი მალევე იქცა ბრიტანეთის ერთ-ერთ ყველაზე მაღალტირაჟიან გამოცემად. 1839 წლისათვის ყოველკვირეულად „ჩრდილოეთის ვარსკვლავის“ 50 000-მდე ეგზემპლარი იყიდებოდა. შესაბამისად, გაზეთმა საინფორმაციო-ინტელექტუალური სარგებლის გარდა, „ჩარტისტულ“ ორგანიზაციებს კიდევ დამატებითი მოგება მოუტანა. გამოცემის

რეალიზაციიდან შემოსული თანხით ფინანსდებოდა მოძრაობის არაერთი ეტაპი.

სამოქალაქო პოზიციის დაფიქსირების კიდევ ერთი საშუალება „ჩარტისტებისათვის“ გაფიცვა გახლდათ. სხვადასხვა დროს უამრავი მწვავე კამათი, დისკუსია წარმართულა მუშათა ასოციაციის წევრებს შორის. აქტივისტები გაფიცვებში მონაწილეობის საკითხზე ვერ თანხმდებოდნენ. მოძრაობის რადიკალური წევრები „დიდი ეროვნული გაფიცვის“ ინიციატივით გამოდიოდნენ, სხვა შიდა დაჯგუფებების წარმომადგენლებს კი არ სურდათ ამგვარი მოქმედებების ორგანიზატორობა და მეთოდის მოსალოდნელ წარუმატებლობასა თუ არაეფექტურობას უსვამდნენ ხაზს.

„Grand National Holiday” ჩარტისტული მოძრაობის მონაწილეობით არ შედგა. თუმცა, საარჩევნო სისტემისა და სოციალური მომსახურების სფეროს რეფორმის მომხრეები არ გამორჩენიან არც ერთ ლოკალურ თუ სხვა დონის გაფიცვას. ისინი პროტესტის გამოხატვის ამ ხერხს როგორც არაძირითად, დამატებით სტრატეგიად იყენებდნენ (11)(12).

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვამტკიცოთ: ჩარტისტული მოძრაობის პირველი ეტაპი სამოქალაქო საზოგადოების თანამედროვე ინსტიტუტის კრიტერიუმებს სრულად აკმაყოფილებდა. მოძრაობა მუშათა ნებაყოფლობითი გაერთიანება გახლდათ. მისი წევრების უდიდესი უმრავლესობა პოლიტიკური პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღებას არ ესწრაფვოდა. მოძრაობის თითოეული მოქმედება სახელმწიფო სტრუქტურებისაგან სრული ავტონომიურობით ხასიათდებოდა. ასოციაციისა და სახალხო მოძრაობის აქტივისტებს თავიანთი ინტერესები და ინიციატივა ქარტიაში ჰქონდათ მკაფიოდ დეკლარირებული. „ჩარტისტები“ სამართლებრივი და არაძალადობრივი გზებით ცდილობდნენ კოლექტიური ძალისხმევის განხორციელებას.

აქედან გამომდინარე, აღნიშნული მოძრაობა მეცხრამეტე საუკუნის კლასიკურ სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტად უნდა მივიჩიოთ, რომელიც ადამიანის უფლებების, პოლიტიკური

სისტემის დემოკრატიზაციისა და კანონის წინაშე მოქალაქეთა თანასწორობისათვის იბრძოდა.

ჩარტისტული მოძრაობის ლიდერთა არტიკულაციის ფუნქცია

ჩარტისტული მოძრაობის ლიდერები განვითარების ყოველ ეტაპზე ორ ძირითად ბანაკად იყვნენ გაყოფილნი. პირველ ჯგუფს ფერგიუს ო'კონორი მეთაურობდა. ო'კონორი ირლანდიელი ადვოკატი და სამოქალაქო აქტივისტი გახლდათ. ჩართული იყო ირლანდიის ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობაში. ბრძოლის წარუმატებლობის შემდეგ მან სამშობლო დატოვა და ლონდონში გადაინაცვლა. ინგლისში მისი სოციალური და პოლიტიკური ცხოვრება უფრო გააქტიურდა. ო'კონორი გახლდათ მთავარი ჩარტისტული გაზეთის „ჩრდილოეთის ვარსკვლავის" გამომცემელი და რედაქტორი. გაზეთის პოპულარობამ და ძალამ იგი მთელი მოძრაობის ყველაზე გავლენიან ფიგურად აქცია. ო'კონორი სათავეში ჩაუდგა „ჩარტისტთა" შედარებით მემარცხენე ფრთას, რომელიც ყოველთვის მეტი რადიკალიზმით გამოირჩეოდა და საარჩევნო საკითხებთან ერთად სოციალურ თემებზე უფრო მეტად აპელირებდა. ო'კონორი საკვანძო აქტორი გახლდათ მოძრაობის ყველა ეტაპზე, იგი აქტიური დარჩა მის დასრულებამდე.

ხაზგასასმელია, რომ ჩარტისტულმა მოძრაობამ წარუმატებელი და დამარცხებული ირლანდიელი მოღვაწე ხელახლა წარმოაჩინა საზოგადოებრივ ასპარეზზე, გაცილებით უფრო წარმატებულ საჯარო პირად აქცია მთელი ბრიტანეთის მასშტაბით. მოძრაობის მემარცხენე ფრთის მეთაურის ისტორია შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც „ჩარტისტების" მიერ ბრწყინვალედ შესრულებული ლიდერთა რეკრუტირების ფუნქციის გამოხატულება (13).

მეორე ფრთა მოძრაობის ზომიერი და თავშეკავებული მონაწილეებისაგან შედგებოდა. მათი მეთაური ჯეიმს ო'ბრაიანი გახლდათ. მისი თავდაპირველი საქმიანობაც მაინცდამაინც წარმატებული და შთამბეჭდავი არ იყო. ო'ბრაიანიც რიგით ირლანდიელ აქტივისტად დარჩებოდა, რომ არ ყოფილიყო „ჩარტისტული მოძ-

რაობა“. ის ლონდონის მუშათა ასოციაციის დამფუძნებელი წევრი გახლდათ და რამდენიმე „ჩარტისტულ“ გაზეთში უძღვებოდა საკმაოდ პოპულარულ სვეტს.

ო'ბრაიანის გავლენიან საჯარო პირად ჩამოყალიბებაც ოცდაათიოანი წლებიდან იწყება. მისი და მისი მხარდამჭერების ფოკუსი ძირითადად საარჩევნო საკითხებზე და პოლიტიკურ უფლებებზე კონცენტრირდებოდა.

ჩარტისტული მოძრაობის განვითარების მეორე ეტაპი

მთელი ბრიტანეთის ტერიტორიაზე გამართული უამრავი მასობრივი დემონსტრაციის, პუბლიცისტური თუ ჟურნალისტური მოღვაწეობისა და ლოკალური გაფიცვების შემდეგ „ჩარტისტებმა“ თავიანთ პეტიციაზე 1280 000-ზე მეტი ხელმოწერის მოგროვება მოახერხეს. 1839 წლის ივლისში დოკუმენტი საკანონმდებლო ორგანოს განსახილველად წარედგინა. თემთა პალატის 235-მა წევრმა მხარი არ დაუჭირა ქარტიის პრინციპებს, „ჩარტისტებს“ მხოლოდ 46 მომხრე აღმოაჩნდათ ინგლისის პარლამენტში.

დეპუტატთა გადაწყვეტილებამ ჩარტისტული მოძრაობის წინააღმდეგ გზა გაუხსნა პოლიციას. სამართალდამცველებმა ქარტიის უარყოფიდან რამდენიმე დღეში ბირმინგემში გამართული მასობრივი საპროტესტო აქცია სისხლში ჩაახშვეს, ქალაქში არეულობას უამრავი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა, დაიწვა 30-მდე საცხოვრებელი სახლი. იგივე განმეორდა დიდი ბრიტანეთის რამდენიმე სხვა ქალაქშიც. წლის ბოლომდე, ხელისუფლების ბრძანებით, 380 ჩარტისტი ლიდერი დააკავეს. შედეგად, სამოქალაქო მოძრაობის პირველი, მშვიდობიანი და არაძალადობრივი ეტაპი დასრულდა.

1842 წელს „ჩარტისტულმა მოძრაობამ“ ახალი ქარტია წარმოადგინა, რომელსაც ძველი, კარგად ნაცნობი შინაარსი ჰქონდა. განსხვავება პოლიტიკურ დოკუმენტებს შორის გახლდათ ის, რომ ძალადობრივი დარბევებისა და წევრთა შევიწროების შემდეგ გა-

მოქვეყნებული პეტიცია გაცილებით უფრო რადიკალური მოწოდებებისგან შედგებოდა.

მოძრაობის განახლებული ტალღა მალევე სისხლში ჩაახშვეს და სამთავრობო ბერკეტებით შეზღუდეს. „ჩარტისტთა“ უამრავი ადგილობრივი თუ ეროვნული ლიდერი დააპატიმრეს. კამპანიამ ექვსი წლის განმავლობაში სრულყოფილი საქმიანობა ვეღარ განაახლა.

1848 წელს პარიზში კიდევ ერთი რევოლუცია მოხდა და რესტავრირებული მონარქია მეორე რესპუბლიკის წყობამ ჩაანაცვლა. ევროპაში მიმდინარე მოვლენებმა დაქსაქსული მოძრაობის კონსოლიდაციას შეუწყო ხელი. „ჩარტისტები“ კიდევ ერთხელ გამოვიდნენ საზოგადოებრივ ასპარეზზე. ამჯერად სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი რევოლუციური მოძრაობის სახით წარმოგვიდგა. როგორც მოსალოდნელი გახლდათ, ინგლისის მაშინდელმა მთავრობამ კვლავ ძალადობრივი მეთოდებით დაშალა აზვირთებული სახალხო-საპროტესტო გამოსვლები (14).

ჩარტისტთა იდეების განხორციელება საბოლოოდ 1911 წელს, სამოცდაათი წლის შემდეგ მოხერხდა. მთელი მეცხრამეტე საუკუნე ინგლისი უსამართლო და დისკრიმინაციული საარჩევნო სისტემით ხელმძღვანელობდა. თუმცა, შეუძლებელია არ აღვნიშნოთ მათი მნიშვნელოვანი წვლილი რიგი სოციალური საკითხების მოგვარების საქმეში. კერძოდ, მოძრაობის მოქმედებების შედეგად უნდა მივიჩნიოთ დამატებითი გადასახადის დაწესება მსხვილი მეწარმეებისათვის (1842), პურის დამატებითი ბეგარის გაუქმება გაჭირვებულთათვის (1846) და 1847 წელს ქალებისა და ბავშვებისათვის ათსაათიანი სამუშაო დღის დაწესება.

მოძრაობის სოციალური განზომილების გათვალისწინებით, სოციალურ სამართლიანობასა და საყოველთაო პოლიტიკურ მონაწილეობაზე ორიენტირებული მათი დოკუმენტებიდან გამომდინარე, შეგვიძლია იგი თანამედროვე სოციალური დემოკრატიის წინამორბედ ფენომენად განვსაზღვროთ.

დასკნა

ჩარტისტული მოძრაობა შეგვიძლია ორი განსხვავებული პერსპექტივიდან შევაფასოთ. განვითარების პირველ პერიოდებში მოძრაობა გამოკვეთილი სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი გახლდათ, რომელიც მშვიდობიანი და სამართლებრივი მეთოდებით ცდილობდა საკუთარი მომხრეების ინტერესთა არტიკულაციას. თუმცა, სახელმწიფოს ზეწოლამ და ძალადობრივმა წინააღმდეგობამ სამოქალაქო ინიციატივა მუშათა რევოლუციურ მოძრაობად გარდაქმნა და ხელისუფლებაზე ზემოქმედების სურვილი ძალაუფლების მფლობელთა განდევნის იდეით ჩაანაცვლა.

მოძრაობის ისტორიის მიმოხილვა ცხადყოფს, თუ რამდენად უმნიშვნელო და მეორეხარისხოვანი იყო ინუდუსტრიული საზოგადოების ელიტისათვის რიგითი მოქალაქეების აუცილებელი საჭიროებები.

მოსახლეობის დაბალი ფენებისა და დაქირავებულთა კლასის პოზიციების უგულებელყოფამ, პირველ ეტაპზე, შექმნა რამდენიმეფაზიანი „ჩარტისტული“ წინააღმდეგობის პრეცედენტი. მომავალში კი სხვა მემარცხენე ძალების გააქტიურებას შეუწყო ხელი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Dieter Wild, DE GAULLE HAT NIE HERING MIT DEM VOLK GEGESSEN, **DER SPIEGEL 24/1968**http://www.spiegel.de/spiegel/print/d-46020985.html (ბოლოს ნანახია 13.12.2013).
2. სატიტულო წერილი, საპროტესტო და სოციალურ მოძრაობათა კვლევითი ინსტიტუტის ვებგვერდი http://protestinstitut.eu/ (ბოლოს ნანახია 13.12.2013).
3. ჩარტიზმი და ჩარტისტული მოძრაობა, ენციკლოპედია „ბრიტანიკა“ http://www.britannica.com/EBchecked/topic/107706/Chartism (ბოლოს ნანახია 13.12.2013).

4. მარინა მუსხელიშვილი, სამოქალაქო საზოგადოება – შედარებითი ანალიზი, თბილისი, სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, 2006, გვ. 4-17.
5. იქვე, გვ 31-41.
6. გია ჟორჟოლიანი, თამარ ბერეკაშვილი, მარინა მუსხელიშვილი, დემოკრატიზაცია, საზოგადოებები გარდამავალ პერიოდებში: დემოკრატიზაცია თანამედროვე სამყაროში. სალექციო კურსი, ფონდი „ღია საზოგადოება – საქართველო“, თბილისი, 2001, გვ 1-14.
7. ლევან ლორთქიფანიძე, სამოქალაქო საზოგადოება – ეს ის არ არის, რაც მათ ჰგონიათ. „ლიბერალი“, 2013 http://blogs.liberali.ge/ge/blog/1580/116085/ (ბოლოს ნანახია 13.12.2013)
8. ვაჟა თვალავაძე, ახალი ისტორია, ტ. 2, „მერიდიანი“, თბილისი, 2006, გვ. 15-62.
9. მახლხაზ მაცაბერიძე, არჩევნები და საზოგადოება. სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, თბილისი, 2003, გვ 47-73.
10. ვაჟა თვალავაძე, ახალი ისტორია, ტ. 2. „მერიდიანი“, თბილისი, 2006, გვ 15-62.
11. Goodway, *London Chartism*, pp. 116–22; John Saville, *1848: The British State and the Chartist Movement* (1987), pp. 130–99.
12. История социалистических учений: сб.статей памяти акад. В.П. Волгина (М.: Наука. 1964. С.285-307) იხ. http://istmat.info/files/uploads/33501/hsd-64_chartism_a-d-kolpakov.pdf (ბოლოს ნანახია 13.12.2013).
13. Graham Wallas (1895). "O'Connor, Feargus". In Lee, Sidney. *Dictionary of National Biography* **41**. London: Smith, Elder & Co. p. 847.
14. Robert Saunders, "Chartism from above: British elites and the interpretation of Chartism," *Historical Research,* (2008) 81#213 pp. 463–48.

გიორგი მელიქიძე

პოლიტიკური კონსულტირება საქართველოში

მიმოხილვა

პოლიტიკური კონსულტირება სპეციალისტების პროფესიონალური საქმიანობაა, რომელიც უზრუნველყოფს ინდივიდებსა და ადამიანების ჯგუფებს ინტელექტუალური მხარდაჭერით მათ მიერ დასახული პოლიტიკური მიზნების მისაღწევად. ლათინური წარმოშობის სიტყვა „კონსულტანტი“ ქართულად „მრჩეველს“ ნიშნავს, პოლიტიკა კი ხშირად განიხილება, როგორც გადაწყვეტილების მიღების პროცესი და ღონისძიებების ნაკრები, რომელიც ქმნის წინაპირობას წამოჭრილი ამოცანების გადასაწყვეტად. ისტორიის მანძილზე პოლიტიკოსებს ყოველთვის სჭირდებოდათ მრჩეველი.

ქუინტუს სისერო[1], რომაელი ავტორი (ჩვ. წ. აღ-მდე 106-43 წწ.). მოიაზრება პოლიტიკოსების ერთ-ერთ პირველ მრჩევლად. ევროპულ კულტურაში პირველ მცდელობას, აღეწერათ პოლიტიკური კონსულტირების ტექნოლოგიები, წარმოადგენდა პლატონისა და არისტოტელეს ნაშრომები: „სახელმწიფო,“ „პოლიტიკოსი“. შუა საუკუნეების „პოლიტკონსულტანტებიდან“ აღსანიშნავია ნიკოლო მაკიაველი. მისი „მმართველი“ ბევრი პოლიტიკოსის სამაგიდო წიგნი გახდა. საინტერესოა გერმანელი ფილოსოფოსების რჩეული ნაშრომები, რომლებიც ეხება პოლიტიკურ კონსულტირებას (ნიცშე, ჰაიდეგერი, ჰობსი, დიურკჰეიმი, კანტი). განსაკუთრებით

---

[1] **ქუინტუს სისერო** იყო არჩევნების სახელმძღვანელოს ავტორი, რომელიც დაწერა იმისთვის, რომ დახმარებოდა გამარჯვებაში თავის ძმას რომის კონსულის თანამდებობის მოპოვებისას. 2012 წელს ფილიპ ფრიმანმა აღნიშნული სახელმძღვანელოს თანამედროვე ვერსია „*How To Win Election An Ancient Guide for Modern Politicians*“ გამოაქვეყნა.

აღსანიშნავია ვებერის ნაშრომები, მისი ლექცია – „პოლიტიკა როგორც დანიშნულება და როგორც პროფესია“ – ნებისმიერი პოლიტიკოსისთვის აუცილებელი ნაშრომია. თანამედროვე ფილოსოფოსების: ჰაბერმასის, დერიდას, ფუკოს და ტოფლერის ნაშრომები მნიშვნელოვან ზემოქმედებას ახდენს როგორც მსოფლმხედველობასა და პოლიტიკაზე, ასევე პოლიტკონსულტანტზე, რადგანაც სწავლობს თანამედროვე სოციალურ და პოლიტიკურ რეალობას.

„პოლიტიკური კონსულტირება ეხმარება სპეციალისტებს მომზადებაში, რომლებსაც შეუძლიათ გახდნენ იმ ხალხის მრჩევლები, რომლებიც სახელმწიფოს მაღალი ეშელონების პრეტენდენტები არიან.“ (Берёзкина, 2008, ст. 3). იმ პოლიტიკური კატაკლიზმებისა და დაძაბული ვითარების ფონზე, რაც მსოფლიოში წლებია გრძელდება, პრაქტიკოს პოლიტიკოსებს სულ უფრო მეტად სჭირდებათ კონსულტანტები. სახელმწიფოს მშენებლობისა და განვითარების გზაზე უნიშვნელოვანესი პრინციპი პოლიტიკურ ელიტასა და მმართველობაში მყოფი პირების კვალიფიციურობას გულისხმობს: „ნებისმიერი სახელმწიფოს მშენებლობა სამოხელეო აპარატის ფორმირებას მოითხოვს. სწორედ მოხელეებზე, მათ კვალიფიკაციასა და უნარზე ბევრადაა დამოკიდებული ქვეყნის განვითარება, მიღწევები თუ წარუმატებლობები“ (მაცაბერიძე 2006, გვ. 68). პოლიტიკური კონსულტირება და პოლიტიკური ბრძოლის ხერხები მნიშვნელოვნად განაპირობებს ერთმანეთს და პოლიტიკური გარემოს შეფასების საფუძველსაც გვაძლევს.

თეორიული ჩარჩო

კვლევისას ვეყრდნობით პოლიტიკური კონსულტირების ამერიკანიზაციის მეცნიერულ თეორიას, რომელიც განხილული აქვს ფლასერს საკუთარ ნაშრომში „გლობალური საარჩევნო კამპანია“ (Plasser, Plasser, 2002). ამერიკული საარჩევნო კამპანიის ყველაზე გავრცელებულ ინოვაციად და ტექნიკად აღიარებული *კომერციუ-*

ლი მოდელის მიხედვით, კამპანიური პრაქტიკა შემოდის ამერიკიდან და პოლიტიკური კონკურენციის ეროვნული კონტექსტის შეძენის შემდეგ ხდება მისი იმპლემენტაცია და მოდიფიცირება.

მოდელი, რომელსაც შედარებით მეტი გავლენა აქვს ევროპის, ლათინური ამერიკის და აზიის პოლიტიკურ კონკურენციაზე, არის ***მიმღებლობითი (adoption) მოდელი.*** ამ შემთხვევაში, უცხოელი დამკვირვებლები ზრუნავენ, რომ მოხდეს ამერიკელი კონსულტანტებისა და კამპანიური ექსპერტების სტრატეგიული აქსიომების მიღება, რომელიც მიიჩნევა უფრო საიმედოდ, ვიდრე ტრადიციული, ადგილობრივი კამპანიური შეხედულებები.

თუკი კანდიდატი ქირაობს კონსულტანტს, რათა დახმარება გაუწიოს კამპანიის წარმოებისას, იქმნება **Principal-Agent**-ის (მეთაური – აგენტი) ურთიერთობა, რაც დაკავშირებულია თანმხლებ მორალურ რისკთან **(Moral Hazard)**.

საინტერესოა დამქირავებლისა და დაქირავებულის ურთიერთობის შესახებ არსებული მეცნიერული შეხედულებები. გიდენსი ამ თეორიას „სტრუქტურალურ თეორიას“ უწოდებს: „სტრუქტურა და ორგანო არ არიან განცალკევებული ორგანიზმები. ისინი ორმხრივად დამოკიდებული და შინაგანად დაკავშირებული არიან ერთმანეთთან“ (Marsh & Stoker,1998, 2002, p.280).

კონსულტანტების დაქირავება არის სასარგებლო, რადგან ამ დროს მცირდება კომპეტენტური კამპანიისთვის აუცილებელი ღონისძიებების ღირებულება, იქმნება მეთაური – აგენტიის ურთიერთობა. პრობლემები ჩნდება მაშინ, როდესაც არ ხდება ინტერესების სრული თანხვედრა კანდიდატსა და კონსულტანტს შორის.



სქემა № 1

- **დამქირავებელი (Principal) არის მთავარი მოქმედი პირი, იგი განსაზღვრავს პრიორიტეტებს და აკონტროლებს დაქირავებულის (Agent-ის) მოქმედებას.**

კანდიდატმა უნდა გადაწყვიტოს, დაიქირაოს თუ არა კონკრეტული კონსულტანტი პოლიტიკური კამპანიისთვის საჭირო მომსახურების გასაწევად. კონსულტანტი შესაძლოა იყოს იდეოლოგიური ან მაქსიმალურ სარგებელზე ორიენტირებული.

Principal – Agent თეორია, აგრეთვე მოიცავს ე.წ. მორალური პასუხისმგებლობის რისკის **(Moral Hazard)** საკითხს. როგორც წესი, კონსულტანტს აქვს გაცილებით მეტი ინფორმაცია საკუთარი მოქმედებებისა და განზრახვის შესახებ, ვიდრე კლიენტს, რადგან მას არ შეუძლია სრულად გააკონტროლოს კონსულტანტი.



სქემა №2

- **ჩნდება მორალური პასუხისმგებლობის რისკის (Moral Hazard) პრობლემა. დამქირავებელი ექცევა დაქირავებულის გავლენის ქვეშ. დამქირავებელი ვერ ახდენს დაქირავებულის კონტროლს. მთავრი მოქმედი პირია დაქირავებული.**

ინფორმაციული ასიმეტრიულობის მიხედვით, კონსულტანტსა და კანდიდატს შორის იქმნება აგენტური ურთიერთობა, სადაც კონსულტანტი არის აგენტი, რომელიც განსაზღვრავს კანდიდატისთვის გასაწევ კონსულტაციებს, ხოლო კანდიდატი იმყოფება შედარებით პასიურ მდგომარეობაში.

ქართული გამოცდილება

აღმოსავლეთ ევროპის რეგიონი, კომუნისტური რეჟიმის ნგრევისა და პოსტკომუნისტურ სისტემაში დემოკრატიზაციის

დაწყების შემდეგ, გახდა საზღვარგარეთ მოქმედი ამერიკელი კონსულტანტებისთვის ექსპანსიური პოლიტიკური ბაზარი. თუმცა, აღსანიშნავია, რომ აღმოსავლეთ ევროპაში პოლიტიკური კამპანიის დასავლეთევროპული „know-how"-ს იმპორტს ხელი შეუწყვეს ფრანგმა, შვედმა და გერმანელმა ექსპერტებმა: ჰარი ვოლტერმა, ვოლკერ რიგერმა, პიტერ რადუნსკიმ; ჰოლანდიელმა პოლიტიკურმა კონსულტანტმა ჟაკ მონაჩიმ და ფრანგმა ჟაკ სეგელამ.

პოლიტიკური კონსალტინგი საქართველოში, ისევე როგორც მთლიანად პოსტსაბჭოთა სივრცეში, შედარებით ახალი სფეროა. პოლიტიკა და მასთან დაკავშირებული შეხედულებები ათწლეულების მანძილზე დახურულ კარს მიღმა განიხილებოდა. თანამედროვე პოლიტიკური პროცესი და პოლიტიკური ძალების მიერ გადადგმული ნაბიჯები პირდაპირპროპორციულად აისახება სახელმწიფოს განვითარებასა და პოლიტიკურ მდგომარეობაზე. საქართველოს პოლიტიკურ სისტემაში, ბოლო პერიოდში, პოლიტკონსულტანტთა მნიშვნელობაზე არაერთი ავტორი საუბრობს. ამ ინსტიტუტის განვითარება წლების მანძილზე, ეტაპობრივად მოხდა: „ბოლო წლებში, სხვადასხვა ადგილობრივმა და უცხოურმა საკონსულტაციო ფირმებმა დაიწყეს პარტიებისთვის მათი მომსახურების შეთავაზება, რომელიც მოიცავს არა მხოლოდ საზოგადოებრივი აზრის კვლევას, არამედ გულისხმობს მათი საარჩევნო კამპანიის დაგეგმარებას, მათი და მათი მეტოქეების ძლიერი და სუსტი მხარეების შესწავლას" (Nodia & Scoltbach, 2006, p. 188).

1990-2011 წლებში საქართველოში 22 არჩევნები ჩატარდა. აქედან – 5 საპრეზიდენტო (1991, 1995, 2000, 2004, 2008) 7 – საპარლამენტო (1990, 1992, 1995, 1999, 2003, 2004, 2008) და 4 – ადგილობრივი თვითმმართველობის (1998, 2002, 2006, 2010). ამავე პერიოდში გაიმართა 2 რეფერენდუმი (1991, 2003) და 2 პლებისციტი (2008, 2008). დღეს აქტიურად საუბრობენ 1990-იანი წლების დასაწყისში საქართველოს პოლიტიკური ელიტის არაპროფესიონალიზმსა და გამოუცდელობაზე. მაშინ, როდესაც საქართველო პოსტსაბჭოთა პერიოდში სახელმწიფოებრიობის პირ-

ველ ნაბიჯებს დგამდა და განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო წინდახედული, შედეგზე ორიენტირებული ნაბიჯები, ქვეყანა ჩათრეული აღმოჩნდა ქაოსში და არაერთი წელი გაატარა ამ მდგომარეობაში. შიდა დაპირისპირებას და გარეშე ძალის მხრიდან მოწყობილ პროვოკაციებს პოლიტიკურ მმართველობაზე ბუნდოვანი წარმოდგენაც ემატებოდა. პოლიტიკური კონსულტირება, ფიარი და იმიჯმეიკერი ქართულ საზოგადოებაში, წლების მანძილზე, გაუგებარი და, უფრო მეტად, უარყოფითი ასოციაციების გამომწვევი იყო. ვითარება ეტაპობრივად შეიცვალა და პოლიტიკურმა სუბიექტებმაც აღიარეს პოლიტიკურ პროცესებში პოლიტიკური კონსულტირებისა და პროფესიონალი პოლიტტექნოლოგების როლი. „დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველოში ძირითად პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს პრეზიდენტის მრჩევლების მცირე, პოლიტიკურად იზოლირებული წრე და მინისტრები (1992-1995 წლების „უმეფობის ხანა“, ნაწილობრივ, გამონაკლისს წარმოადგენს) იღებდნენ. ანგარიშვალდებულების ასეთმა არარსებობამ ცუდ გადაწყვეტილებამდე (2008 წლის აგვისტო), კორუფციამდე და საყოველთაო იმედგაცრუებამდე მიგვიყვანა. მმართველი ელიტის იზოლაციამ 2003 წელს რევოლუცია მოიტანა, 2007-ში კონსტიტუციური კრიზისი გამოიწვია“ (Jones, 2013, p.5).

1990-2011 წლების პერიოდში ჩატარებული არჩევნები და წინასაარჩევნო კამპანია შეგვიძლია სამ ეტაპად დავყოთ:

1. 1990-1994 წლები – „საწყისი ეტაპი“ – პირველი ნაბიჯები იდგმებოდა სახელმწიფოს ფორმირებისა და პოლიტიკური ცხოვრების მიმართულებით. საქართველოში დამოუკიდებლობის მოპოვებით გამოწვეული ეიფორია შიდა დაპირისპირებამ და საომარმა მოქმედებებმა ჩაანაცვლა. ამავე პერიოდში საფუძველი ჩაეყარა პოლიტიკურ კონსულტირებას. 1991 წელს ამერიკელმა კონსულტანტმა, ჯონ ადამსმა, ქართულ სახელმწიფოსთან გააფორმა ხელშეკრულება. 1992 წელს საქართველოში შეიქმნა პირველი საკვლევ-საკონსულტაციო ცენტრი „ფსიქოპროექტი,“ რომელიც დააფუძნა ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა ზურაბ ბიგვავამ.

1994 წლიდან საქართველოში საქმიანობს ეროვნულ დემოკრატიული ინსტიტუტი NDI. ამ პერიოდში პოლიტიკური კონსულტანტების როლი პოლიტიკურ პროცესში უმნიშვნელო იყო და მათზე მოთხოვნა, ფაქტობრივად, არ არსებობდა. პოლიტიკური პროცესი მხოლოდ პოლიტიკურ ლიდერებთან და მათ უახლოეს გარემოცვასთან ასოცირდებოდა, ხოლო საზოგადოებრივი აზრის კვლევა, პოლიტიკური რეკლამა და წინასაარჩევნოდ ელექტორატთან მუშაობა ახალ პოლიტიკურ რეალობაში გამოწვევად რჩებოდა.

2. 1995-2002 – „გააქტიურების ეტაპი" – საქართველოში მიღებულ იქნა კონსტიტიცია და დაიწყო სახელმწიფო ინსტიტუტების მშენებლობა. მიმოქცევაში შემოვიდა ქართული ეროვნული ვალუტა – ლარი. პოლიტიკურ არენაზე გამოჩნდა მმართველი პარტია „მოქალაქეთა კავშირი," ხოლო მომდევნო წლებში ძლიერი რეგიონული პოლიტიკური ბლოკი „აღორძინება." წინასაარჩევნო პოლიტიკურმა კამპანიებმა მომდევნო საფეხურზე გადაინაცვლა და აქტიურ ფაზაში გადავიდა. 1995 წელს შეიქმნა საზოგადოებრივი აზრის კვლევისა და მარკეტინგის ინსტიტუტი – IPM, 2000 წელს – სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტი, 2002 წელს – საკონსულტაციო ჯგუფი „ჯეპრა." 1999 წელს რუსული კომპანია „იმიჯკონტაქტი," საპარლამენტო არჩევნების დროს, კონსულტირებას უწევდა „მოქალაქეთა კავშირს", აღნიშნული კომპანია 2000 წელს ჩართული იყო საპრეზიდენტო არჩევნებში. 1998 წლიდან საქართველოში საქმიანობას იწყებს საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტი IRI. ამ პერიოდში პოლიტიკური კონსულტირების გააქტიურება ეტაპობრივად მოხდა. „როგორც კი პოლიტიკური კონკურენცია შეიქმნა, მასმედია მომძლავრდა და პოლიტმრჩევლებზე მოთხოვნილებაც გაჩნდა, მაშინ ჩამოყალიბდა პოლიტკონსულტაცია, როგორც პროფესია" (გაბუნია, 2008, აბზ. 5). პოლიტიკური კონკურენციის გაძლიერება ამ პერიოდში პოლიტიკურ სუბიექტებს ახალ ამოცანას უყენებდა. ქვეყანაში პოლიტიკური მარკეტინგის დასავლური ტექნოლოგების „know how"-ს იმპორტი და მათი წარმატებული ათვისება უნდა მომხდარიყო.

3. 2003-2011 – „პერმანენტული კამპანიის ეტაპი“ – საქართველოში „ვარდების რევოლუციის“ შედეგად მოხდა ხელისუფლების ცვლილება. განსაკუთრებით გაიზარდა მედიის (ტელევიზიის) როლი პოლიტიკურ პროცესებში. წინასაარჩევნო კამპანიის წარმოებისას აქტიურად დაიწყო პოლიტიკური კომუნიკაციის თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება. ბაზარზე შემოვიდა როგორც ადგილობრივი მოთამაშეები: სარკე ჯგუფი (2006), ტერა მედია (2007), აგრეთვე საზღვარგარეთიდან მოწვეული კონსულტანტები. 2003 წელს „ახალმა მემარჯვენეებმა“ ამერიკული საკონსულტაციო ჯგუფის „ანდერსონ-მერფი-პიტსის“ წარმომადგენლები ჩამოიყვანეს, 2003 წლის შემდეგ დენიელ ქუნინმა დაიკავა საქართველოს მთავრობის უფროსი მრჩევლის პოსტი. საქართველოს მთავრობა თანამშრომლობდა ისეთ საკონსულტაციო კომპანიებთან, როგორიცაა: Aspect Consulting, Podesta Group, Glover Park Group, Public Strategies, Orion Strategies. კანდიდატის იმიჯის ფიქსაცია, ახალი ამბების მენეჯმენტი, სპინ კონტროლი, პერმანენტული კამპანიის წარმოება და ანტირეკლამა ამ ეტაპის თანმხლები მახასიათებლებია, რაც პერმანენტული საარჩევნო კამპანიის ძირითად კომპონენტებს წარმოადგენს. ამ პერიოდში კარგად იქნა გაცნობიერებული პოლიტიკური მოდერნიზაციის მოთხოვნები, რაც კომერციალიზაციას, გლობალიზაციას და ვიზულაური ეფექტის გავლენას გულისხმობს (სადაც მასმედიას, და განსაკუთრებით ტელევიზიას, აქვს მნიშვნელოვანი როლი). ექსპრეზიდენტ სააკაშვილის პოლიტიკური გუნდი ქმნიდა შთამბეჭდავ პოლიტიკურ სურათებსა და იმიჯს, რაც გამიზნული იყო იმისთვის, რომ აუდიტორია დაერწმუნებინათ საკუთარ პოტენციალში.

ანალიზი

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ საქართველოში პოლიტიკური კონსულტირების ბაზარი არ არის სტრუქტურირებული, ამას თან ერთვის მრავალპარტიულ პოლიტიკურ სპექტრში წარ-

მოდგენილი პარტიების დაბალი ფინანსური შესაძლებლობები. არსებული ვითარების გათვალისწინებით, უახლოეს პერიოდში, ბაზრის სტრუქტურირება და პოლიტიკური კონსულტირების განვითარება ნაკლებად მოსალოდნელია. ერთი მხრივ, ეს განპირობებულია თავად საკონსულტაციო ბაზრის განვითარებისთვის აუცილებელი პერიოდით (პოლიტიკური კონსულტირების სამშობლოში, ამერიკაშიც კი არაერთი ათწლეული დასჭირდა იმ პროცესის დასრულებას, რომელმაც საბოლოოდ პოლიტიკური კონსულტირების არსებული სახე შექმნა) და, მეორე მხრივ, იმ პოლიტიკური, ფინანსური მდგომარეობით, რომელიც სახელმწიფოში არსებობს. ბაზრის სიმცირე და არჩევნებს შორის არსებული ხანგრძლივი ინტერვალის არსებობა კიდევ ერთი ფაქტორია, რაც პოლიტიკური კონსულტირების განვითარებას უშლის ხელს.

მრავალპარტიული პოლიტიკური სისტემა, რომლის შემადგენლობაში შემავალი პარტიები, მთელ რიგ შემთხვევებში, ერთმანეთისგან იდეოლოგიური ნიშნითაც კი არ განსხვავდება და საკუთარ სამოქმედო პროგრამას სპონტანურად, წინასაარჩევნოდ აქტუალური თემატიკიდან გამომდინარე ქმნის, ნაკლებ სავარაუდოა, პოლიტიკური კონსულტირების სტაბილურ მომხმარებლებად განვიხილოთ. აქვეა ერთი მნიშვნელოვანი გარემოებაც – საყურადღებოა, თუ რამდენად კარგად არის თავად კონსულტანტების მიერ ქართული ბაზარი შესწავლილი, ის საჭირო სერვისი, რაც ქართულ ბაზარზე მოთხოვნადია. კვლევის პროცესში შევხვდით არაერთ ფაქტს, როდესაც დარეგისტრირებული კომპანიის ფუნქციებში შედიოდა საკონსულტაციო მომსახურება, თუმცა ამ კომპანიის მოძიება საერთოდ ვერ მოხერხდა, მას არ უმუშავია ან, უკეთეს შემთხვევაში, მასთან ათი წლის მანძილზე სულ რამდენიმე ეპიზოდური თანამშრომლობა შედგა. ეს ვითარება გვაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ პოლიტიკური კონსულტირების მიმართულებით რადიკალურ ცვლილებებს უახლოესი წლების მანძილზე არ უნდა ველოდოთ. ჩვენს მოსაზრებას ადასტურებს ჰოლანდიის ინსტიტუტი მრავალპარტიული დემოკრატიისათვის (NIMD) პროგრამა, რო-

მელიც საწყის ეტაპზე მიზნად ისახავდა პარტიების ეფექტიან და მდგრად ინსტიტუტად ჩამოყალიბებას და მხოლოდ ამის შემდგომ იყო დაგეგმილი პარტიებისთვის კონსულტაციის გაწევა პოლიტიკურ პროცესში. ბუნებრივია, ეს პროცესი გარკვეულ პერიოდს მოითხოვს და მხოლოდ ამის შემდეგ იქნება შესაძლებელი კომპლექსური საკონსულტაციო ბაზრის ჩამოყალიბება და ფუნქციონირება. კვლევამ აჩვენა, რომ როგორც პოლიტიკურ სპექტრში, ასევე თავად კონსულტანტებში მზადყოფნა და სურვილი მუშაობისთვის ამ მიმართულებით არსებობს, მაგრამ დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ხელოვნურად დაჩქარებული პროცესი არ იქნება შედეგის მომტანი.

პოლიტიკური არასტაბილურობა აფერხებს ქვეყნის პოლიტიკურ სპექტრში წარმოდგენილი სუბიექტების დინამიკურ განვითარებას. ამგვარი ვითარება მნიშვნელოვნად უკავშირდება იმ მასშტაბური პოლიტიკური ტრანზაციით გამოწვეულ გამოცდას, რაც გულისხმობდა კომუნისტური ავტორიტარიზმიდან დემოკრატიული პლურალიზმზე გადასვლას. საქართველოში აქტიურად მოქმედებს საარჩევნო კამპანიის რეალური კონსტრუირების პრინციპი, რაც გულისხმობს ელექტორატში არსებული უპირატესობების შესწავლას და იმის განსაზღვრას, თუ რა პირობებში აძლევს ხმას ელექტორატი ამა თუ იმ პოლიტიკოსს. ხდება გემოვნების ხელოვნური მოდელირება პროგრამაში, ლოზუნგებსა და კანდიდატის იმიჯში. აღნიშნული მახასიათებელი არასტაბილურობას და, მხოლოდ კონკრეტულ პერიოდში, საარჩევნო წარმატებაზე ორიენტირებას უსვამს ხაზს. სტაბილური პოლიტიკური გარემოს პირობებში სიტუაციის ანალიზი და საზოგადოებრივი აზრის კვლევა, რის საფუძველზეც ხდება პოლიტიკოსის საარჩევნო გზავნილის შემუშავება, არა მხოლოდ წინასაარჩევნო, არამედ სტრატეგიულ პოლიტიკურ მიზნებს ემსახურება.

ფინანსური რესურსის ნაკლებობა და ამ კუთხით პოლიტიკურ სუბიექტებს / პარტიებს შორის არსებული მნიშვნელოვანი განსხვავება აფერხებს კონსულტირების განვითარებას და ამცირებს საკონსულტაციო სამუშაოების შესასრულებლად პროფესიონალე-

ბის მოწვევის თანაბარ შესაძლებლობას. იდეოლოგიური კონსულტანტისგან განსხვავებით, მაქსიმალურ სარგებელზე ორიენტირებული კონსულტანტი ცდილობს მიიღოს მაქსიმალური სარგებელი. აქ ჩნდება დამქირავებლისა და დაქირავებულის (Principal – Agent) თეორიის ერთ-ერთი ასპექტი. კანდიდატს კონსულტანტთან რომ ჰქონდეს წარმატებული ურთიერთობა, აუცილებელია საჭირო რესურსის არსებობა. ფინანსური რესურსების გამჭვირვალობა, მისი კონტროლის მექანიზმები, ასევე ამ კუთხით არსებული პრობლემა პოლიტიკური კონსულტირებისა და, ზოგადად, საქართველოს პოლიტიკური პროცესის მნიშვნელოვან გამოწვევად განიხილება.

საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების (NDI, IRI, NIMD) მიერ გაწეული დახმარება ერთგვარად ანაცვლებს აუცილებელ სამუშაოებს, რაც მნიშვნელოვანია პოლიტიკურ პროცესში ჩართული პარტიებისთვის. ერთი მხრივ ეს ავსებს იმ გამოთავისუფლებულ სივრცეს, რასაც პოლიტიკური კონსულტაციები ჰქვია, თუმცა, მეორე მხრივ – დამქირავებელსა და დაქირავებულს (Principal – Agent) შორის ჩნდება მორალური პასუხისმგებლობის რისკის (Moral Hazard) პრობლემა. დამქირავებელი ექცევა დაქირავებულის გავლენის ქვეშ. დამქირავებელი ვერ ახდენს დაქირავებულის კონტროლს, მთავარი მოქმედი პირია დაქირავებული. იმის გათვალისწინებით, რომ კონსულტანტს აქვს გაცილებით მეტი ინფორმაცია საკუთარი მოქმედებებისა და განზრახვის შესახებ, ვიდრე კლიენტს, ამ უკანასკნელს არ შეუძლია სრულად გააკონტროლოს კონსულტანტი. აღნიშნული გარემოება, თავის მხრივ, აისახება მიღებულ შედეგზე, რადგან მაშინ, როდესაც არსებობს უშუალო, პირისპირ კავშირი დაქირავებულსა და დამქირავებელს შორის, ეს გაცილებით ეფექტურია. ამ დროს უფრო მეტად მობილიზებულია ორივე მხარე და ნაკლებია ცდომილება პრიორიტეტების დასახვისა და გადაწყვეტილებების მიღებისას.

კვლევამ აჩვენა, რომ მაღალანაზღაურებადი პროექტები დაკავშირებულია უცხოურ საკონსულტაციო კომპანიებთან. ეს, ერ-

თი მხრივ, მათ მიმართ არსებული მაღალი ნდობით და მეორე მხრივ, ქართული ბაზრის არასტრუქტურირებული ხასიათით აიხსნება. აქ შემოდის ჩვენ მიერ ზემოთ განხილული პოლიტიკური კონსულტირების ***მიმღებლობითი (adoption) მოდელი,*** რომელსაც დიდი გავლენა აქვს პოსტსაბჭოთა სივრცეში. კანდიდატის იმიჯის ფიქსაცია, ახალი ამბების მენეჯმენტი, სპინკონტროლი, პერმანენტული კამპანიის წარმოება და ანტირეკლამა მიმღებლობითი მოდელის ის მახასიათებლებია, რაც საქართველოში ეტაპობრივად, თუმცა აქტიურად იკიდებდა ფეხს. უცხოელი კონსულტანტები (ამერიკელები, ასევე ევროპელები და რუსები) ზრუნავენ, რომ მოხდეს მათი გამოცდილებისა და კამპანიური, სტრატეგიული აქსიომების მიღება, რომელიც მიიჩნევა უფრო საიმედოდ, ვიდრე ტრადიციული, ადგილობრივი კამპანიური შეხედულებები, ამასთან ეს მით უფრო ინტენსიურად ხდება იმ ფონზე, როდესაც ადგილობრივი გამოცდილება საკმაოდ მწირია. ქართული საარჩევნო კამპანიის დამახასიათებელი ნიშნები გავაანალიზეთ ჩვენ მიერ ზემოთ ნახსენები გუნდა ფლასერის მიერ წარმოდგენილი ამერიკული და დასავლეთევროპული საარჩევნო კამპანიის მახასიათებლების მიხედვით (Рябцев, Рябцева, 2012, ст. 17). ანალიზმა აჩვენა, რომ საქართველოში საარჩევნო კამპანია ამ ორი ტიპის ერთგვარ სინთეზურ ვარიანტს წარმოადგენს (იხ. *დანართი,* ცხრილი №1).

სტატია ასახვას იმ რეალურ სურათს, რომელიც აანალიზებს არსებულ მდგომარეობას და ფაქტებს შორის მიზეზშედეგობრივი კავშირის დადგენით ქმნის სამომავლო პერსპექტივის სურათს. ნაშრომში გამოყენებული ინფორმაცია / მონაცემები მოპოვებულია უშუალოდ პოლიტიკური პარტიების, საკონსულტაციო კომპანიებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებისგან, ეყრდნობა საერთაშორისო გამოცდილებასა და კვლევებს. იგი გვიჩვენებს აღნიშნულ პერიოდში არსებულ ვითარებას და მას მნიშვნელოვანი თეორიული მნიშვნელობა და პრაქტიკული ღირებულება აქვს. პოლიტიკური კონსულტირების კუთხით, არსებული თეორიული მასალებისა და თანამედროვე ვითარების ამსახველი

მონაცემების შეჯერებით, შესაძლებელია ვიმსჯელოთ მიმდინარე პროცესებსა და ტენდენციებზე, რაც, თავის მხრივ, ხაზს უსვამს ნაშრომის თეორიულ მნიშვნელობას. პრაქტიკული ღირებულების თვალსაზრისით, ნაშრომი შესაძლოა გამოყენებულ იქნეს ფაქტობრივი მონაცემების მისაღებად და ქართულ საკონსულტაციო ბაზარზე საორიენტაციოდ.

დანართი ცხრილი №1

ქართული საარჩევნო კამპანიის მახასიათებლები

ამერიკული ტიპი	**დასავლეთევროპული ტიპი**
ფოკუსირება კანდიდატზე	ფოკუსირება პარტიაზე
ფინანსური რესურსი	ადამიანური რესურსი
კერძო დაფინანსების გამოკვეთილი წილი	სახელმწიფო დაფინანსების გამოკვეთილი წილი
პოლიტიური კონსულტანტების ჩართულობა	პარტიული ფუნქციონერების ჩართულობა
პროფესიონალიზაციის მაღალი დონე	პროფესიონალიზაციის საშუალო დონე
ინდივიდუალიზაციის მაღალი დონე	ცენტრალიზაციის მაღალი დონე
კამპანიის რეგიონალური ხასიათი	კამპანიის საერთო-ეროვნული ხასიათი
შესაძლო ამომრჩევლებზე ფოკუსირება	მთლიან ელექტორატზე ფოკუსირება
ფასიანი სატელევიზიო რეკლამის გავლენა საარჩევნო კამპანიის ეფექტურობაზე	უფასო სატელევიზიო რეკლამის გავლენა საარჩევნო კამპანიის ეფექტურობაზე

- - მკვეთრი დამახასიათებელი ნიშანია ქართული საარჩევნო კამპანიისთვის;
- - საერთოდ არ არის დამახასიათებელი ქართული საარჩევნო კამპანიისთვის;
- - მხოლოდ სუსტი დამახასიათებელი ნიშანია ქართული საარჩევნო კამპანიისთვის;

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გაბუნია ლ., პიარი, პროპაგანდა და პოლიტტექნოლოგიები, „ანარეკლი“, 2008, 5 იანვარი.
2. მაცაბერიძე მ., *პოლიტიკური მარკეტინგის საფუძვლები,* თბილისი, 2003.
3. Jones, S. F., (2013). *Democracy in Georgia: DA CAPO?* CICERO FOUNDATION GREAT DEBATE PAPER
4. Marsh, D., Stoker G. (1995, 2002). *Theory and Methods in Political Science*. (Second Edition). Political Analysis Series. PALGRAVE MACMILLAN.
5. Nodia, G., Scoltbach, A. P. Coordinators – Editors; (2006).*The Political Landscape of Georgia; Political Parties: Achievements, Challenges and Prospects;*
6. Plasser, F., & Plasser, G. (2002). *Global Political Campaigning.* United States of America. Greenwood Publishing Group.
7. Рябцев А. Л., Рябцева Е. Е. *Политический консалтинг в связах с общественостью,* 2012.

ანა მესხი

არჩილ ჯორჯაძე – ავტონომიის პრობლემის შესახებ

XIX საუკუნის 60-იან წლებში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერთა უმრავლესობა მხარს უჭერდა რეფორმებს, მოითხოვდა რუსეთის იმპერიის ფედერაციულ სახელმწიფოდ გარდაქმნას და მასში შემავალი ერების ავტონომიურ სახელმწიფოებრივ ერთეულად მოწყობას. მათი აზრით, ავტონომიური საქართველო წარმატებით განავითარებდა ეკონომიკას, კულტურას და მეცნიერებას. საქართველოს ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომია ქართველი თავადაზნაურობის მსჯელობის საგანიც გახდა. ივერიის ჯგუფს, რომელსაც ამ პერიოდში ილია ჭავჭავაძე ედგა მხარში, სავსებით შესაძლებლად მიაჩნდა ავტონომიისათვის ბრძოლაში თავადაზნაურობისა და ბურჟუაზიის ჩაბმა, მაგრამ თავის მთავარ სოციალურ-პოლიტიკურ საყრდენს იგი ხალხის ფართო ფენებში ხედავდა. მათი აზრით, ავტონომიური საქართველოს საკანონმდებლო და აღმასრულებელ დაწესებულებაში უპირატესობას მშრომელი ხალხის წარმომადგენლები მოიპოვებდნენ, ფეოდალურ-ბურჟუაზიული ელემენტები კი იქ ნიადაგს ვერ იპოვნიანო.

1903 წელს ქართველ ინტელიგენტთა ერთმა ჯგუფმა პარიზში დააარსა გაზეთი „საქართველო“ და მასთან ერთად საფუძველი ჩაუყარა სოციალისტ-ფედერალისტურ პარტიას. ქართველი სოციალისტ-ფედერალისტები საქართველოს ავტონომიურ სახელმწიფოდ მოწყობის საკითხს რუსეთის დეცენტრალიზაციას უკავშირებდნენ. მათი პროექტით, საქართველოს ავტონომიის ფარგლებში სახელმწიფო ენად ქართული გამოცხადდებოდა. ამასთან, კანონმდებლობა უზრუნველყოფდა ავტონომიის ტერიტორიაზე მცხოვრებ სხვა ეროვნებათა წარმომადგენლების ეროვნულ თავისებურებათა და ენების დაცვა-განვითარებას. საქართველოს პარლამენტი და აღმასრულებელი ხელისუფლება შეასრულებდა შინა-

განი მართვა-გამგეობის ყველა ფუნქციას. დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკის წარმოების უფლება კი მას არ ექნებოდა.

სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი ლიდერი, ცნობილი ქართველი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, პუბლიცისტი, ფილოსოფოსი, სოციოლოგი და ესთეტიკოსი არჩილ ჯოჯრაძე იყო. პიროვნება, რომელმაც ხმა აიმაღლა ოფიციალურად საერთაშორისო არენაზე საქართველოს ავტონომიის მოსაპოვებლად. თბილისის პირველი გიმნაზიის დამთავრების შემდეგ იგი სწავლობდა რუსეთის, ინგლისის, საფრანგეთის და შვეიცარიის უმაღლეს სასწავლებლებში. ილია ჭავჭავაძის ნააზრევზე „ამოზრდილი“ და ეროვნულ-განმათავისუფლებელ იდეებზე აღზრდილი, მთელ თავის მოღვაწეობას ეროვნულ პრობლემებს უძღვნიდა. მას ერი და სახელმწიფო განუყოფელ ერთობად მიაჩნდა: „თუ ერსა და სახელმწიფოს შუა გათიშვა მოხდა, ერი სულ იმის ცდაში იქნება, რომ გათიშულ სახელმწიფოსთან ან ხელმეორედ შეჰკრას კავშირი, ან შეჰქმნას რაიმე მისი მსგავსი ორგანიზაცია... აქ იმალება იმის მიზეზი, რომ თანამედროვე ეროვნული მოძრაობა არის მოძრაობა ან ახალ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა, ან მათ მსგავს დაწესებულებათა დაარსებისა. ავტონომია, ფედერაცია და დამოუკიდებელი სახელმწიფო ამ მოძრაობის რგოლებია, ამ მოძრაობის შემადგენელი ელემენტებია“. არჩილ ჯორჯაძის, ერთმანეთთან ორგანულად შერწყმული, პოლიტიკურ-ეროვნული კონცეფცია მოითხოვდა: საქართველოს ტერიტორიულ-პოლიტიკურ ავტონომიას, კავკასიის ფედერაციას და დეცენტრალიზაციის საფუძველზე შექმნილ რუსეთის დიდ კონფედერაციაში შესვლას.

არჩილ ჯორჯაძის პოლიტიკური შეხედულებები ჩამოყალიბდა მეოცე საუკუნის პირველ ათეულ წლებში, რომელიც რუსეთსა და საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში გამოირჩეოდა თავისი სიმძაფრითა და ფართო მნიშვნელობის პოლიტიკური მოვლენებით. რევოლუციურ სიტუაციას და თვით რევოლუციას მოჰყვა მკაცრი რეაქცია. ასეთმა განწყობილებამ და შედეგებმა კი, გარკვეულწილად, ყოველი პარტიისა თუ მოაზროვნის სოციალურ-პო-

ლიტიკურ პროგრამაზე იმოქმედა. არჩილ ჯორჯაძე განსაკუთრებით პოპულარული გახდა მისი „საერთო ნიადაგის“ თეორიით, ქართველი ხალხის კონსოლიდაციის პოლიტიკური კონცეფციით. „საერთო მოქმედების ნიადაგის“ თეორიაში განვითარებული იყო აზრი, რომ საქართველოში არსებულ პოლიტიკურ პარტიებსა და მიმდინარეობებს, თვით ერთმანეთში დაპირისპირებულ ეკონომიკურ კლასებს, სოციალურ ჯგუფებს, თავისი ხალხის საკეთილდღეოდ უნდა მოეძებნათ ის, რაც მათ აერთიანებდათ და აკავშირებდათ. კლასობრივი ზავი და პოლიტიკური პარტიების გაერთიანება, საერთო ჯამში კი ეროვნული კონსოლიდაცია არ. ჯორჯაძეს მიაჩნდა საქართველოს მძიმე ეკონომიკური, პოლიტიკური და სულიერი მდგომარეობიდან თავის დაღწევის უმნიშვნელოვანეს საშუალებად. მის მიერ ერის წინსვლა-განვითარების გზების ასეთი გულმოდგინე ძიება განაპირობა იმან, რომ დიდი დავითის, ბრძენი თამარის და სულმნათი შოთა რუსთაველის სამშობლო – საქართველო, რომელიც თავისი პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული სიძლიერით მთელს კავკასიაში გამოირჩეოდა, მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში ისე დაუძლურდა, რომ 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატით რუსეთის მფარველობაში შევიდა, მაგრამ იგი ერთობ ცუდი მფარველი აღმოჩნდა. 1801 წლის მანიფესტის საფუძველზე გაუქმდა ქართული სახელმწიფოებრიობა, ხმარებიდან ამოვარდა და გაქრა თვით ცნება საქართველო, ქართული სკოლებიდან განიდევნა მშობლიური ენა, დაქვეითება იწყო ქართულმა ეროვნულმა თვითშეგნებამ.

თანამედროვე ეროვნებაზე საუბრისას არჩილ ჯორჯაძე გამოყოფს არაერთ თვისებას, ესენია: ტერიტორია, ზნე-ჩვეულება, ენა, საერთო მართვა-გამგებლობის ძალა, კაპიტალიზმი, განსაზღვრული ერთეულის თვითშეგნება. მაგრამ მისი თქმით, „არც ერთი თვისება, კერძოდ აღებული, არ ჰქმნის ხალხს ერად, არ ჰბადებს მასში ეროვნულ გრძნობას. ტერიტორიას, მაგალითად, ეროვნების შექმნის პროცესში დიდი ადგილი უჭირავს, მაგრამ იმ დროიდან, როდესაც უკვე შექმნილია ეროვნება და უკვე დაბადებულია ეროვნული თვითშეგნება, ტერიტორიას ეკარგება თავისი მნიშვნელობა.

ხალხს, რომელსაც უკვე აქვს ამგვარი შემეცნება, შეიძლება ტერიტორია აღარ ჰქონდეს, ხოლო იგი მაინც ერად დარჩება. ზნე-ჩვეულებაც არ არის ძირითადი ფაქტორი ეროვნების შექმნის საქმეში, არც ენაა აუცილებელი პირობა ეროვნული გრძნობების განვითარებისათვის. რაც შეეხება სახელმწიფოებრივ უფლებას, მართვა-გამგებლობის ძალას, არც მას აქვს უმთავრესი მნიშვნელობა და არც კაპიტალიზმია მთავარი ფაქტორი. ბევრს ჯერ კიდევ ფეოდალურ წყობილებაში ებადა ეროვნული შემეცნება. დარჩა თვითშეგნების თვისება. იქ, სადაც თვითშეგნება არ არსებობს, არც ერი არსებობს. ეროვნული თვითშეგნება ნაყოფია ცხოვრების მრავალგვარ მოვლენათა ზეგავლენისა“. არ. ჯორჯაძეს ეროვნება განსაზღვრულ ხალხში აღორძინებულ ნათესაობად და მთლიანობის შეგნებად მიაჩნდა. ხალხის მოპირდაპირე კლასებად დაყოფა არღვევს ამ მთლიანობას. ამრიგად, იგი ეროვნებას, როგორც ერთობის, ასევე ბრძოლის ნიადაგად განიხილავდა. ბრძოლა შეიძლება კლასთა გაუქმებით დამთავრდეს, ხოლო კლასთა გაუქმება ეროვნების გაუქმებასაც გამოიწვევს. თუმცა, არჩილ ჯორჯაძე, ეროვნების გაუქმებას სრულიად არ უკავშირებს ერთგვაროვნების დამყარებას.

არჩილ ჯორჯაძე ჟურნალ „საქართველოში“ „ეროვნული ვინაობის“ აღდგენისთვის ბრძოლის ოთხ გზას ასახელებს. პირველი გზა – საქართველოში ერობების, ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის და სხვა ლიბერალურ-დემოკრატიული დაწესებულებების შემოღებაში მდგომარეობდა. ბრძოლის მეორე გზად „საქართველოს“ რუსეთის ოპოზიციურ ძალებთან შეერთება და თვითმპყრობელური მონარქიის დამხობა, რუსეთში კონსტიტუციური მონარქიის წყობილების დამყარება ესახებოდა. „საქართველოისტები“ ამგვარი შეერთების წინააღმდეგნი არ იყვნენ, მაგრამ მათ აეჭვებდათ, როგორი იქნებოდა „მომავალი რუსეთის რეჟიმი“. თუ რუსეთში ცენტრალისტური ხასიათის „პარლამენტარული რეჟიმი“ დამყარდებოდა, ამ შემთხვევაში „საქართველოს“ რწმენით, „უმცირესობა აუცილებლად დაიჩაგრებოდა უმრავლესობისაგან“. ასე ხდებოდა ყველგან, ასე მოხდებოდა რუსეთშიც. „საქართველო“ ასახელებდა და იქვე კატე-

გორიულად უარყოფდა ეროვნული ბრძოლის მესამე გზას – „საქართველოს სამეფოს აღდგენას“, რომელიც აგრეთვე ვეღარ დაკმაყოფილებდა ქართველი ხალხის მოთხოვნილებებს. მესამე გზაში ახალი გაზეთი საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღდგენასაც გულისხმობდა, თუმცა უფრო გამოკვეთილად მისდამი დამოკიდებულებას შემდეგ პუნქტში გამოხატავდა. ეს იყო ეროვნული ბრძოლის მეოთხე გზა, რომლისთვისაც ფარულად, შენიღბულად იბრძოდნენ ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის არაერთი თაობის წარმომადგენლები. გაზეთმა „საქართველომ“ პირველმა დეკლარაციულად და საქვეყნოდ წამოაყენა საქართველოს ეროვნული ავტონომიის მოთხოვნა.

არ.ჯორჯაძე ერთმანეთისაგან განასხვავებს პოლიტიკურ და ადმინისტრაციულ ავტონომიას. პოლიტიკური ავტონომია შემდეგი სამი ატრიბუტისაგან შედგება: სახელმწიფოებრიობა, დემოკრატიზმი, ტერიტორია. მისი შეხედულებით, საქართველოს ავტონომია „უნდა იყოს პოლიტიკური და არა ადმინისტრაციული... საქართველოს პარლამენტი აღჭურვილია კანონმდებლობით, უფლებებით. ცენტრალური მმართველობის კონტროლიდან გამოყოფილი ბიუჯეტი (სამსჯავრო, ეკლესია, სწავლა-განათლების საქმე, ადმინისტრაცია, მილიცია) კანონდება სოციალურ-კულტურულ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად. ტერიტორიის საზღვრების განსაზღვრის დროს უნდა ვიხელმძღვანელოთ, ერთი მხრივ, 1783 წლის ხელშეკრულებით, მეორე მხრივ, უნდა ვიხელმძღვანელოთ იმით, თუ ქართველთა ტომის ხალხი სადა და სად სახლობს..... ავტონომია დაფუძნებულია დემოკრატიულ პრინციპებზე... ამრიგად გაზეთი „საქართველო“ სამ მთავარ დებულებას აღიარებდა: ავტონომიის ტერიტორია ის არის, სადაც ქართველები სახლობენ, ავტონომიური დაწესებულებანი დემოკრატიულ საფუძველზე შენდებიან, საქართველოს ავტონომია არის ავტონომია პოლიტიკური და არა ადმინისტრაციული“.

1903 წელს გაზეთმა „საქართველომ“ წერილობით წამოაყენა ეროვნული ავტონომიის მოთხოვნა. გაზეთის პირველი ნომრის მოწინავე სტატიაში სათაურით – „ღია წერილი რუსეთის ლიბერალთა

და სოციალისტთა მიმართ“ ვკითხულობთ: „ჩვენი სურვილი დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღდგენა არ არის. ნათლად და აშკარად ვამბობთ: „ჩვენ პოლიტიკური სეპარატიზმის მომხრენი არა ვართ. ჩვენი წადილი და მისწრაფება განსაკუთრებული, საქართველოს პირობებთან შესაფერისი, კონსტიტუციის მოპოვებაა. ჩვენ გვსურს დავრჩეთ რუსეთის პოლიტიკური ორგანიზმის ჩარჩოებში, მხოლოდ ამასთან შინაურ საქმეში გვინდა ვიყვეთ სრულიად დამოუკიდებელნი. ერთი სიტყვით, ჩვენ გვსურს ეროვნული ავტონომია“. ეს ყველაფერი უკავშირდებოდა ერთ პრობლემას, რუსეთის დეცენტრალიზაციას. ამგვარი დეცენტრალიზაცია კი რუსეთის ფედერაციამდე მიყვანას ნიშნავდა. სოციალისტ-ფედერალისტებისთვის, რომლებიც ეროვნულ-სოციალურ-პოლიტიკურ პრობლემებს მჭიდრო სინთეზში განიხილავდნენ, აუცილებელი იყო დამოუკიდებლობა შინაურ საქმეებში, ანუ ავტონომია და საერთო საქმეებში შეთანხმება, ე.ი ფედერაცია. არ.ჯორჯაძეს რუსეთისაგან სრულიად ჩამოშორება არ სურდა. ის აანალიზებდა, რომ რუსეთისაგან სრული მოწყვეტა და პოლიტიკური განკერძოება არც შესაძლებელი იყო და არც სასურველი. ისეთ მრავალფეროვან რეგიონში, როგორიც კავკასია იყო, საერთოდ, დამოუკიდებელი სახელწიფოს დაარსება „მძიმე პრობლემას“ წარმოადგენდა. მეორე სიმძიმეს პოლიტიკური სიტუაცია ქმნიდა. დამოუკიდებლობა, „საქართველოისტების“ აზრით, მხოლოდ მაშინ იქნებოდა შესაძლებელი, თუ რუსეთის იმპერია ნებაყოფლობით აიღებდა ხელს საქართველოზე. ეს კი შეუძლებელი იყო. პირიქით, „ღრმად დარწმუნებული ვართ, – წერდა გაზ. „საქართველო“, – რუსეთი კავკასიას თავის ნებით ხელიდან არ გაუშვებს, რაც გინდა თავისუფალი პოლიტიკური რეჟიმი დამყარდეს რუსეთში“. ამგვარად, სრული დამოუკიდებლობა რუსეთისაგან ქართველებს არარეალურად მიაჩნდათ. მაგრამ მიაჩნდათ, რომ იდეის არსებობას ავტონომიის შესახებ სრული უფლება ჰქონდა.

არ. ჯორჯაძე თავის ნაშრომში „შეთანხმების იმედი“ აკეთებს ანალიზს გაზეთ „საქართველოს“ მიერ წამოყენებული ეროვნული ავტონომიის კონცეფციაზე, სადაც დიდი ადგილი ეკავა არა მარტო

რუსეთ-საქართველოს სამომავლო ურთიერთობებს, აგრეთვე კავკასიის ფედერაციას, ამიერკავკასიის საზღვრებში საქართველოს სტატუსის დამკვიდრებას. მისი მტკიცებით, „საქართველოს ავტონომია, ისე, როგორც ავტონომია კავკასიის სხვა ნაწილებისა, პირველი პოლიტიკური ნაბიჯი იქნებოდა სრული ფედერაციული წესწყობილების დამყარებისთვის, ვინაიდან ფედერალიზმი იმგვარი ფორმაა ხალხთა შეკავშირების, რომელიც თითოეულ ერს, მხარესა და პიროვნებას სრულ თვითმოქმედებას ანიჭებს და მეორე მხრივ, განსაზღვრულ ტერიტორიაზე მცხოვრებ რამდენიმე ერს ერთ გაერთიანებულ პოლიტიკური მმართველობის ფორმას აძლევს“. მის პოლიტიკურ შეხედულებებში განსაზღვრული ადგილი უკავია ძალაუფლების გამიჯვნას ფედერალური პრინციპის მიხედვით ცენტრალური და რეგიონალური ხელისუფლების კომპეტენციებს შორის და ამ პრინციპის მორგებას ქართულ კონტექსტზე.

ეროვნებათშორისი ურთიერთობების კვლევის თვალსაზრისით, მეტად საყურადღებოა არჩილ ჯორჯაძისა და ნოე ჟორდანიას მიდგომა საქართველოს რუსეთთან დამოკიდებულების საკითხისადმი. ნ. ჟორდანია აცხადებს: „საქართველოს, თავის დამოუკიდებლობის დროს, არ განუვითარებია სამოქალაქო ცხოვრება, არ შეუქმნია მრეწველობა – აღებ-მიცემობა და რაღა გასაკვირია, მას ვერ შეუმუშავებია ის ნიადაგი, რომელზეც ნაციონალური მოძრაობა იწყება“. ნ. ჟორდანია რუსეთთან შეერთებაში მხოლოდ დადებითს ხედავდა. ის წერილში „ქართველი ხალხი და ნაციონალიზმი“, საქართველოს ისტორიიდან ძალიან ბევრ უზუსტობას უშვებს. არჩილ ჯორჯაძემ კი საქართველოს ისტორიის დამახინჯების გამო ამხილა იგი. ასევე აკრიტიკებდა იმის გამოც, რომ მან საქართველოში რუსეთის დამკვიდრება მიიჩნია ქართველი ერისა და მისი კულტურის აყვავების საფუძვლად. აღნიშნავდა, რომ რუსეთის დამკვიდრების შემდეგ, სახელმწიფო ორგანოების მოსპობით, საქართველო მიექანებოდა დენაციონალიზაციისკენ. არ.ჯორჯაძე ებრძოდა ყველას, ვინც ცალკე ნაციონალიზმს ან ცალკე ინტერნაციონალიზმს ქადაგებდა. მისი აზრით, ქართველ ხალხს ორივე გზა ერთად ჰქონდა გასავლელი. ამ გზის წარმატებით გავლის, ეროვნული და ინტერნაცი-

ონალური კულტურის განვითარების დიდ იმედს კი ავტონომიურ ერთა ფედერაციაში ხედავდა. იგი ყურადღებას კავკასიის საგლეხო ბანკის დაარსებაზეც ამახვილებს. რუსეთის მთავრობა ცდილობდა, რაც შეიძლება მეტი რუსი მიწათმოქმედი ჩაესახლებინა ადგილობრივ მცხოვრებთა შორის. ჩასახლებულს კი გამარუსებელი ბაცილის როლი უნდა შეესრულებინა. არჩილ ჯორჯაძემ შეძლო და ამხილა ფარული პოლიტიკა საგლეხო ბანკისა კავკასიაში.

ავტონომიას და ფედერაციას ბევრი მოწინააღმდეგე გამოუჩნდა. პირველები იყვნენ სოციალ-დემოკრატები. მათი აზრით, ავტონომიისას ბურჟუაზია და თავადაზნაურობა ხელში ჩაიგდებს პოლიტიკურ ძალას და ამ ძალას მშრომელი ხალხის საწინააღმდეგოდ მოიხმარს, ეროვნული დემოკრატია საქართველოს ჩამოაშორებს დანარჩენ კავკასიას და მთელ რუსეთსაც, საქართველოს და ამ ქვეყანას შორის აღიმართება საბაჟო კედელი, რომელიც ხელსაყრელი იქნება ქართული ბურჟუაზიისთვის. არჩილ ჯორჯაძე არც მათ ტოვებდა უპასუხოდ და აღნიშნავდა, რომ ფედერაცია იმგვარი პოლიტიკური კავშირია, რომელიც სპობს და აუქმებს ადგილობრივ კარჩაკეტილობას და წინ აყენებს დიდი პოლიტიკური ერთეულის (ფედერაციის) ინტერესებს. მისი მოწინააღმდეგეები ამტკიცებდნენ იმასაც, რომ ავტონომია ქართველ ხალხს გააბატონებს, რაც სხვა ერების დაჩაგვრას გამოიწვევს. მაგრამ ავტონომიის დამცველთ სჯეროდათ, რომ ეროვნული ავტონომიის ფარგლებში სხვა ერის უმცირესობა გაცილებით ნაკლებად შევიწროვდებოდა.

არჩილ ჯორჯაძე დიდ ყურადღებას უთმობს კავკასიის პრობლემებს. „საქართველო ეკონომიკურად ვიწროდ არის გადაბმული დანარჩენ ამიერ-კავკასიასთან. რაც დრო გავა, არსებული ეკონომიკური ურთიერთობა და დამოუკიდებლობა მეტად განვითარდება, საერთო მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის საჭიროა შესაფერისი პოლიტიკური ორგანიზაციის დაფუძნება“, – იწინასწარმეტყველა არჩილ ჯორჯაძემ.

ამრიგად, არ. ჯორჯაძის პოლიტიკურ პროგრამაში საქართველოს მომავალი სახელმწიფო წარმოდგენილი იყო „სახელმწიფოებრიობისა, დემოკრატიზმისა და ავტონომიის სახით“.

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დასაწყისში ქართულ პოლიტიკურ აზროვნებაში გამორჩეული ადგილი ეკავა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთ ბერმუხას, არჩილ ჯორჯაძეს. მის მრავალპროფილიან ნაშრომებში ასახვა პოვა ეპოქისადმი დამახასიათებელმა საჭირბოროტო საკითხებმა, რომლებიც დღესაც აქტუალურია იმდენად, რამდენადაც ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის საკითხი დღესაც არ არის ბოლომდე გადაწყვეტილი და კვლავ არაერთი პრობლემის წინაშე ვდგავართ. ასეთი დიდი მოაზროვნის, ევროპის უნივერსიტეტში განსწავლული ინტელექტუალის წვლილის კვლევა უთუოდ წარმოაჩენს მისი პოლიტიკური აზროვნების მასშტაბებს და გარკვეულ როლს შეასრულებს თანამედროვე ქართული პოლიტიკური აზროვნების განვითარებაშიც.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. არ. ჯორჯაძე, ძველი და ახალი, ტფილისი, 1906.
2. თხზულებანი არჩილ ჯორჯაძისა. ტფილისი, 1911.
3. ალ. ბენდიანაშვილი, ეროვნული საკითხი საქართველოში 1801-1921 წწ., თბილისი, 1980.
4. შ. გვენეტაძე, არჩილ ჯორჯაძის პოლიტიკური შეხედულებანი, ქუთაისი, 1998.
5. მ. დარჩაშვილი, ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზრი ეროვნებათშორისი ურთიერთობების შესახებ ქართულ დემოკრატიულ პრესაში (1900-1917წწ.), თბილისი, 2013.
6. გ. ლობჟანიძე, არჩილ ჯორჯაძის სოციალურ-პოლიტიკური და სამართლებრივი შეხედულებანი, თბილისი, 1989.
7. გ. ჩხიკვიშვილი, ნიკო ნიკოლაძე და არჩილ ჯორჯაძე ეროვნული ფასეულობების შესახებ, სადოქტორო დისერტაცია, თბილისი, 2013.

თამარ ქარაია

საბჭოთა წარსულის გააზრება და მეხსიერების პოლიტიკის ტენდენციები საქართველოში ვარდების რევოლუციის შემდეგ

მეხსიერების კვლევისადმი ინტერესის ზრდა მეორე მსოფლიო ომის დასრულებას და ჰოლოკოსტის მეცნიერულ შესწავლას უკავშირდება. მოგვიანებით ინტერესი ამ სფეროს შესწავლისადმი კიდევ უფრო გაიზარდა და საბჭოთა კავშირის დაშლა და ასევე ცივი ომის დასასრული საფუძვლად დაედო მოვლენას, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში „მეხსიერების ბუმის“ სახელწოდებით არის ცნობილი.

მიზეზი მარტივია: საბჭოთა იმპერიის დაშლის შემდეგ ყოფილი მოკავშირე ქვეყნები სახელმწიფოებრიობის მშენებლობას თავიდან იწყებდნენ, რისთვისაც საჭირო იყო ერის კონსოლიდაცია ახალი იდეალების გარშემო და ნაციონალური იდენტობის ჩამოყალიბება, რომელიც დაუპირისპირდებოდა ძველ „საბჭოთა მოქალაქეს“, რომელსაც საბჭოთა მესვეურები ქმნიდნენ. იდენტობის ჩამოყალიბების პროცესს თან ახლდა ახალი კოლექტიური მეხსიერების შექმნა, რომელიც მიზნად კოლონიური მეხსიერებისაგან განთავისუფლებას და ისტორიული ფაქტების არსებული ინტერპრეტაციის გადაფასებას ისახავდა. შედეგად დაიწყო იმ მიჩქმალური ფაქტების გამომზეურება, რომელიც საბჭოთა ხელისუფლებას არ აწყობდა და ასევე ხდებოდა საბჭოთა გმირების, დღესასწაულების და ახალი სახელმწიფოსათვის გამოუდეგარი ფაქტების დავიწყება. შესაბამისად, დავიწყება და გახსენება გახდა მეხსიერების პოლიტიკის უმთავრესი სტრატეგია, რომლის საბოლოო დანიშნულება დამოუკიდებელი სახელმწიფოს ეროვნული იდენტობის ჩამოყალიბება იყო.

იდენტობა და მეხსიერება უნდა განვიხილოთ, როგორც დინამიკური პროცესი, რომელიც, კონსტრუქციონისტური ხედვის თანახმად, მუდმივად იცვლება და, ამ ცვლილების შესაბამისად, ფორ-

მირდება საზოგადოების ფუნდამენტური ღირებულებები, მიზნები და ინტერესები. კოლექტიური მეხსიერება წარმოადგენს საუკეთესო ინდიკატორს, თუ როგორ იაზრებს საზოგადოება საკუთარ თავს და „სხვებს“, რაც, თავისთავად, ასახვას პოვებს მის პრიორიტეტებში და, შესაბამისად, მიღებულ გადაწყვეტილებებში. გამომდინარე იქიდან, რომ მეხსიერება ეროვნული იდენტობის უმთავრესი კომპონენტია, მისი ჩართვა პოლიტიკის დისკურსში აუცილებელი გახდა და მეტიც, შესაძლებელია, ვისაუბროთ „მეხსიერების ოფიციალურ პოლიტიკაზე“, რომელიც სხვადასხვა სტრატეგიის გამოყენებით ქმნის საზოგადოებრივი აზრს ამა თუ იმ მოვლენის გარშემო.

საქართველო, მსგავსად სხვა პოსტსაბჭოთა სახელმწიფოებისა, ჩაერთო წარსულის გადაფასების პროცესში, თუმცა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისაგან მას პრიორიტეტები და ამ პოლიტიკის განხორციელების ტემპი განასხვავებს. თუკი ბალტიისპირეთის სახელმწიფოებმა ეს პროცესი საბჭოთა კავშირის დაშლის პირველივე დღეებიდანვე დაიწყეს და მოხდა როგორც წარსულის შეფასება, ასევე ლუსტრაცია ამ პროცესში ჩართული პირებისა, საქართველოში საბჭოთა პერიოდის სრულფასოვანი შეფასება არ მომხდარა. ეს პროცესი შემოიფარგლა გასაბჭოების პროცესის ოკუპაციად გამოცხადებით (როგორც საკანონმდებლო, ასევე სამეცნიერო დონეზე), ძეგლების ჩამოგდებით, ისტორიის სახელმძღვანელოების შეცვლით და ა.შ. ასევე ვერ ვისაუბრებთ 90-იან წლებში მეხსიერების თანმიმდევრული პოლიტიკის არსებობაზე, რაც დიდწილად პრიორიტეტების ცვლილებით იყო გამოწვეული.

მოცემული ნაშრომი მიზნად ისახავს ვარდების რევოლოუციის შემდგომი მეხსიერების პოლიტიკის ძირითადი პრიორიტეტების და საბჭოთა კავშირის გააზრების მცდელობების ანალიზს. ამისათვის შევისწავლეთ სახელისუფლებო დისკურსი, კერძოდ პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის გამოსვლები 2004 წლიდან 2013 წლამდე. ასევე ინიციატივები და მიღებული გადაწყვეტილებები, რომელიც აღნიშნულ სფეროში ცვლილების შეტანას ისახავდა მიზნად.

ვარდების რევოლუციის შემდგომ ხელისუფლებაში მოსულმა ძალამ მიზნად „ახალი საქართველოს“ მშენებლობა დაისახა, რომ-

ლის დროსაც რადიკალური ცვლილებები უნდა შეხებოდა არა მხოლოდ ინსტიტუტებს, არამედ თითქმის ყველა სფეროს, რადგანაც არაეფექტური მმართველობა იყოს ის ძირითადი მიზეზი, რამაც „ვარდების რევოლუცია“ გამოიწვია. ამ პერიოდის ძირითად ტენდენციად შეიძლება დასახელდეს „წარსულის აღმოჩენა“, ამ იდეის ავტორის, ერიკ ჰობსბაუმის თანახმად, ეს პროცესი, როგორც წესი, თან სდევს საზოგადოების მკვეთრ ტრანსფორმაციას, რევოლუციას, რყევებს, როდესაც ერთის ნგრევა მისი ჩამნაცვლებლის აღმოჩენას ან გამოგონებას მოითხოვს. აღნიშნული მოვლენა შესაძლებელია დაიყოს რამდენიმე ტიპად. ესენია:

1. ტრადიცია, რომელიც ადგენს და სიმბოლურ ხასიათს სძენს ტრადიციულ ერთობას,[1] ან ამ ერთობის (ეს იქნება რეალური თუ ხელოვნურად კონსტრუირებული) წევრობას;

2. ქმნის ან ლეგიტიმურობას მატებს ინსტიტუტს, სტატუსს ან ავტორიტეტთა ურთიერთობას;

3. აქვს სოციალიზაციის ფუნქცია. ადგენს რწმენის, ღირებულებათა სისტემის და ქცევის ნორმებს.

ყველა მათგანი დამახასიათებელია ქართული რეალობისათვის.

კიდევ ერთი ტენდენცია, მეხსიერების ადგილების შექმნაა (პიერ ნორა), რომელიც უკავშირდება ისტორიული ფაქტების სელექციასა და მათი განსაჯაროების პროცესს, რასაც თან ახლავს ამ ფაქტების შესახებ ცოდნის მატარებელი ადგილების შექმნა, როგორიცაა მუზეუმები, მონუმენტები, არქივები და ა.შ.[2]

შესაბამისად, მეხსიერების პირველი სტრატეგია, რომელიც თვალში საცემია, ე.წ. „წარსულზე საზღვრის გავლებაა“, რომელიც ისტორიულ განგრძობადობაზე უარის თქმის ერთ-ერთი საშუალებაა. აღნიშნული სტრატეგია, თავდაპირველად, გამოიყენებოდა პრერევოლუციურ პერიოდთან მიმართებაში, განსაკუთრებით

---

[1] Hobsbawm E., *Introduction: Inventing Traditions*, in *The Invention of Tradition*, ed. Eric Hobsbawm and Terence Ranger (Cambridge: Cambridge University Press, 1983, pp.

[2] Nora P., Between Memory and History, 1989, P. 13.

ედუარდ შევარდნაძის მმართველობის პერიოდის შეფასებისას, მაგრამ 2008 წლის რუსეთთან ომის შემდეგ, მან საზღვარი რუსეთთან ურთიერთობის გამოცდილებასთანაც გაავლო.

თავდაპირველად, უახლოესი წარსულის შეფასება „მუქ ფერებში“ ხდებოდა. მუდმივად ხაზი ესმებოდა, რომ საქართველო ოყო არშემდგარი სახელმწიფო კორუმპირებული მოხელეებით და ა.შ. და ასე გაგრძელების შემთხვევაში საქართველოს მომავალი არ ჰქონდა:

საქართველო არშემდგარი, დეზინტეგრირებული, ღირსებაშელახული და სრულიად დემორალიზებული სახელმწიფო იყო. ეს იყო ქვეყანა, რომელსაც დაკარგული ჰქონდა სახელმწიფოებრიობის ყველა ატრიბუტი[1]*. „საქართველო სახელმწიფო არ იყო. ჩვენ, პრაქტიკულად, ახალ სახელმწიფოს ვქმნით. თანამედროვე სახელმწიფოებრიობა ჩვენ არასოდეს გვქონია. წინა მთავრობის პერიოდში საქართველო გაურკვეველი წარმონაქმნი იყო, რომელსაც ფორმალურად სახელმწიფოს ატრიბუტები ჰქონდა“.*[2]

რაც მთავარია, გამოიკვეთა ახალი ტენდენციები მეხსიერების პოლიტიკის სფეროში, რაც „ახალი“ სახელმწიფოს, შესაბამისად, ახალი იდენტობის მშენებლობის მცდელობით შეიძლება ავხსნათ და ეს ყველაფერი სახელისუფლებო დისკურსში პოვებდა ასახვას:

„ახალგაზრდა დემოკრატიის პირობებში საჭიროა ახალი აზროვნებისა და გამოცდილების, ასევე, ძველი კომპლექსებისაგან თავისუფალი ადამიანების ხელისუფლებაში მოსვლა, რაც წინა მთავრობისათვის უცხო იყო“.[3]

---

[1] საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი პარლამენტში წლის საანგარიშო მოხსენებით გამოვიდა. 24.02.2005. www.priesident.gov.ge (მოძიებულია 02.04.2011).

[2] 25 მაისს საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა წლის შემაჯამებელი ბრიფინგი გამართა. 26.05.2005 www.priesident.gov.ge (მოძიებულია 04.04.2011).

[3] საქართველოს პრეზიდენტის საჯარო გამოსვლა ჯორჯ ვაშინგტონის სახელობის უნივერსიტეტში. 23.02.2004 www.priesident.gov.ge (მოძიებულია 02.04.2011).

მეხსიერების პოლიტიკის ანალიზისას, შესაძლებელია გამოიყოს რამდენიმე ძირითადი ტენდენცია:

პირველი, ეს არის განსაკუთრებული დამოკიდებულება სიმბოლოების გამოყენებისადმი: ამ მოვლენის ერთ-ერთი უპირველეს და საინტერესო მაგალითად პრეზიდენტის მიერ დავით აღმაშენებლის საფლავზე ფიცის დადება შეიძლება ჩავთვალოთ, როდესაც ინაუგურაციის წინა დღეს პრეზიდენტმა დავით აღმაშენებელს, *„საქართველოს უდიდეს მმართველს... ყველაზე დიდ ქართველს.. ...უთხრა, რომ საქართველო დანაწევრებულია, დღეს ქართველი ხალხი დამცირებულია! ზოგიერთს შეიძლება უნდა, რომ საქართველო საერთოდ აღარ არსებობდეს რუკაზე.. ...ამას ვერასოდეს მოესწრებიან. საქართველო არსებობდა, საქართველო არსებობს და ყოველთვის იარსებებს“.*[1]

მსგავს კონტექსტში შეიძლება განვიხილოთ ასევე ახალი სახელმწიფო სიმბოლოების შეცვლა, რომელიც განახლებასთან იქნებოდა დაკავშირებული. ასეთი იყო ახალი დროშა, გერბი და ჰიმნი. აგრეთვე წმინდა გიორგის მონუმენტი თავისუფლების მოედანზე, როგორც გამარჯვების განსახიერება.

საქართველოს ხელახლა გაუჩნდა შანსი – ისე როგორც ოდესღაც გახდეს დიდი სახელმწიფო.[2]

დღევანდელი მსოფლიოს ისტორიაში საქართველო, მისი სიმცირის მიუხედავად, სულიერ მისიას აიღებდა და ახლა ამ ისტორიული მისიის შესრულების დრო დადგა.[3]

---

[1] პრეზიდენტ მ. სააკაშვილის საინაუგუარაციო სიტყვა, 25.01.2004. www.priesident.gov.ge (მოძიებულია 04.04.2011).

[2] საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის საჯარო გამოსვლა საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ აღლუმზე. 26.05.2004. www.priesident.gov.ge (მოძიებულია 04.05.2011).

[3] 25 მაისს საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა წლის შემაჯამებელი ბრიფინგი გამართა. 26.05.2005 www.priesident.gov.ge (მოძიებულია 04.04.2011).

მეორე ტენდენცია, რომელიც შეიმჩნევა ხელისუფლების პოლიტიკაში, ისტორიული გმირებისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულებაა, ხდება ერთგვარი „წარსულის აღმოჩენა“, რომელსაც ერიკ ჰობსბაუმის თეორიის ფარგლებში თუკი განვიხილავთ, საზოგადოებაში რწმენის გაღვივება, მისი კონსოლიდაცია ედო მიზნად. თუკი გავაანალიზებთ სახელისუფლები დისკურსს, ძალზე ხშირად გვხვდება მსჯელობა დიადი წინაპრების, მათ წინაშე მდგარი გამოწვევების და მიღწეული გამარჯვებების შესახებ და, რაც მთავარია, ხდება პარალელების გავლება დღევანდელობასთან. საქართველოს მტერი არასოდეს გამოლევია. *ამ ქალაქს (თბილისს თ.ქ.) არაერთი ზესახელმწიფოს ხელმძღვანელი უნახავს, მაგრამ ისინი საქართველოში მოდიოდნენ როგორც დამპყრობლები საკუთარ კოლონიაში. მათი აქ მოსვლა ნგრევის, სისხლისა და ცრემლის მიზეზი და შედეგი იყო*[1].

დღესაც საქართველოს არაერთი გამოწვევა აქვს. ესენია ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, სახელმწიფო აპარატის გაჯანსაღება და, რაც მთავარია, საზოგადოებისათვის რწმენის დაბრუნება, რომ:

ჩვენ ისტორიული პროცესის მომსწრენი ვართ.უნდა გვესმოდეს, რომ პრაქტიკულად ახალი ქართული სახელმწიფო იქმნება. თავისი ინსტიტუტებით, მენტალიტეტით, უნარ-ჩვევებით, განსაკუთრებული ტრადიციებით.[2]

და ამ ფონზე უმნიშვნელოვანესია ისეთი გმირების, როგორიცაა დავით აღმაშენებელი, ქაქუცა ჩოლოყაშვილი (მისი ნეშტის გადმოსვენება 2005 წელს სახალხო დღესასწაულად იქცა) ან სა-

---

[1] საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის საჯარო გამოსვლა ბუშის ვიზიტთან დაკავშირებით. 2005-05-10. www.priesident.gov.ge (მოძიებულია 04.05.2011).

[2] საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის მიმართვა ქართველი ერისადმი. თბილისის საკრებულოში საქართველოს პრეზიდენტი უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებს შეხვდა. 03.05.2005 www.priesident.gov.ge (მოძიებულია 06.05.2011).

ერთოდ წინაპრების სიბრძნის მოხმობა. ასევე საინტერესოა სტრატეგია, რომელიც უკავშირდება თანამედროვეობის გმირების, სანიმუშო ქართველების, „ახალი საქართველოს ნამდვილი გმირების“,[1] წარმოჩენას ესენი შეიძლება იყვნენ როგორც რიგითი ადამიანები, სახელმწიფო მოხელეები, ასევე ნამდვილი გმირები, რომელთაც საქართველოს ერთიანობას შესწირეს თავი, როგორიც, მაგალითად, ჯარისკაცი ანწუხელიძეა, რომელსაც 2013 წელს ეროვნული გმირის წოდება მიენიჭა.

თუმცა, გმირული წარსულის პარალელურად, დისკურსში ასევე ჩნდებიან პერსონაჟები, რომლებიც სახელმწიფოებრიობას საფრთხეს უქმნიდნენ და რომლებიც უნდა გვახსოვდეს, რადგანაც მსგავსი პრეცედენტები არ გამეორდეს.

რაც შეეხება საბჭოთა წარსულის გააზრებას, თავდაპირველი სტრატეგია უფრო მეტად საბჭოთა მენტალიტეტის ცვლილების აუცილებლობაზე იყო ორიენტირებული (*ძველი საბჭოთა სტერეოტიპების გადალახვა გვიწევს*),[2] მაგრამ რაც შეეხება ოკუპაციას და მასში რუსეთის როლს, 2006 წლამდე განხილვის თემა არ არის. მიზეზი მარტივია – ამ პერიოდში საქართველოს ხელისუფლება ცდილობდა რუსეთთან ურთიერთობის დალაგებას და, შესაბამისად, დისკურსში ცნება „ოკუპანტის“ გაჩენა აღნიშნულ მიზანს ვერ წაადგებოდა, ამიტომაც ფორმულირება იყო შეძლებისდაგვარად ნეიტრალური:

საქართველოში რუსეთის სამხედრო ყოფნა 200 წელიწადზე მეტს ითვლის და ჩვენი დამოუკიდებლობის მოკლე, 3-წლიანი პერიოდის გამოკლებით[3]*...*

---

[1] საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი პარლამენტში წლის საანგარიშო მოხსენებით გამოვიდა. 24.02.2005 www.priesident.gov.ge (მოძიებულია 04.05.2011).

[2] საქართველოს პრეზიდენტის საჯარო გამოსვლა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. 16.02.2005. www.priesident.gov.ge (მოძიებულია 05.05.2011).

[3] საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა საქართველოს ტერიტორიიდან რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანასთან დაკავშირებით

თუმცა ორ ქვეყანას შორის არსებული მტკივნეული თემატიკისადმი გვერდის ავლა არ ხდებოდა და ასეთ თემებად ქართულ-რუსულ ურთიერთობაში რუსული ბაზების საქართველოს ტერიტორიიდან გაყვანის და ტერიტორიული მთლიანობის საკითხი ცხადდებოდა. პრეზიდენტის გამოსვლებში ასევე მინიშნებულია, რომ სურთ (საქართველოს რუსეთთან) *თანასწორუფლებიანი, ღირსეული ურთიერთობა და ... ყველა მიხვდება, რომ იმპერიული ურთიერთობები აღარასოდეს აღორძინდება.*[1]

შესაბამისად, პირველი სამი წლის განმავლობაში საბჭოთა წარსულის გააზრება და მისი მეხსიერების პოლიტიკაში ჩართვა, პოლიტიკის დღის წესრიგის პრიორიტეტებიდან გამომდინარე, არ შეიმჩნევა.

მაგრამ, მას შემდეგ, რაც საქართველოსა და რუსეთს შორის ურთიერთობა დაიძაბა და ეს დაემთხვა ქართველების რუსეთიდან დეპორტაციას, ჩნდება ტერმინი „ოკუპანტი“ და გმირული წარსულის სურათის კვალდაკვალ ჩნდება ტრაგიკულიც, რითაც იქმნება ე.წ. „მსხვერპლის მეხსიერება“, რომელიც დაზარალდა. ამასთანავე, ის „პოტენციურად“ ისევ შეიძლება გახდეს მსხვერპლი და საჭიროა აღნიშნული ფაქტის გააზრება, შესაბამისი კოლექტიური მეხსიერების შექმნა, რათა ეს არასოდეს განმეორდეს.[2]

მეხსიერების ადგილები იქმნება იმისათვის, რათა ჩამოაყალიბოს ხსოვნა ამა თუ იმ მოვლენის შესახებ და ხელისუფლების ეს ქმედებები შეიძლება შევაფასოთ, როგორც ერთიანი „პროექტი“. ამ იდეის პირველი რეალიზაცია ოკუპაციის მუზეუმის შექმნა იყო, რომელიც 2006 წელს დაარსდა და საბჭოთა რეჟიმის 70-წლიანი მმართველობის და მისადმი წინააღმდეგობის შესახებ მეხსიერების შექმნას ისახავდა მიზნად. როგორც პრეზიდენტმა სააკაშვილ-

---

ორ ქვეყანას შორის მიღწეული შეთანხმების თაობაზე ბრიფინგი გამართა. 31.05.2005. www.priesident.gov.ge (მოძიებულია 05.05.2012).

[1] მიხეილ საკაშვილის საჯარო გამოსვლა საქართველოს დამოუკიდებლობისადმი მიძღვნილ აღლუმზე 26.05.2005. www.priesident.gov.ge (მოძიებულია 05.06.2012).

[2] რუხაძე ვ. (2010). კოლექტიური მეხსიერება. *24 საათი.*

მა გახსნისას განაცხადა: *ეს მუზეუმი ეძღვნება საქართველოს დიდ პატრიოტებს ქაქუცა ჩოლოყაშვილს და მის შეფიცულებს. ეს მუზეუმი ეძღვნება მრავალ იატაკქვეშა ორგანიზაციას, რომლებიც იქმნებოდა მთელი ამ წლების მანძილზე. ეს მუზეუმი ეძღვნება ქართველ სამღვდელოებას, რომლის საუკეთესო ნაწილიც თითქმის მთლიანად განადგურდა. ეს მუზეუმი ეძღვნება ქართველ ოფიცრობას. ეს მუზეუმი ეძღვნება ჩემს დიდ ბაბუას ნიკუშა წერეთელს, რომლის ოჯახშიც მე გავიზარდე და რომელიც მრავალი წელი იყო ციმბირში, ერთ-ერთ ბანაკში".*[1] მუზეუმის შექმნით ხაზი გაესვა, რომ საბჭოთა კავშირი იყო დიდი ბოროტება და საქართველოს სურდა ამ ფაქტების გახსენება და გაანალიზება.

2008 წლის ომის შემდეგ აქტუალური თემა საბჭოთა მონუმენტური მემკვიდრეობის მოცილების საკითხი გახდა. აღსანიშნავია სტალინის ყველაზე დიდი ძეგლი სწორედ გორში, იმ ქალაქში იდგა, რომელიც რუსული აგრესიის შედეგად ყველაზე მეტად დაზარალდა. დისკუსიას იმის შესახებ, თუ საიდან უნდა გატანილიყო სტალინი – გორის ცენტრალური მოედნიდან თუ ჩვენი თავებიდან – დიდხანს არ გაგრძელებულა და ის ძეგლის დემონტაჟით დასრულდა. კულტურის სამინისტროს სტალინის ძეგლის ადგილას მეხსიერების ახალი ადგილის შექმნა სურდა. კერძოდ, გამოცხადდა ტენდერი, რომლითაც უნდა შეერჩიათ სკულპტურა, რომელიც ასახავდა რუსეთის აგრესიას, მაგრამ პროექტი ვერ შეირჩა. ასევე დაისვა მეორე მსოფლიო ომის მემორიალების გადატანის საკითხი, რითაც აქცენტი გაკეთდა იმაზე, რომ საჭიროა გადაიხედოს თავად ამ ომის მნიშვნელობა და იქ ქართველების როლი. ასევე, რამდენად არიან ის ადამიანები გმირები, რომლების ამ ომში ღებულობდნენ მონაწილეობას. მით უმეტეს, საქართველოს პარლამენტმა 2010 წელს მიიღო დადგენილება, რითაც 1921 წლის 25 თებერვალი საბჭოთა ოკუპაციის დღედ გამოაცხადა და ოკუპანტი

---

[1] პრეზიდენტ სააკაშვილის გამოსვლა ოკუპაციის მუზეუმის გახსნისას. 26.05 2006. www.priesident.gov.ge (მოძიებულია 05.06.2013).

ქვეყნის სამსახურში მყოფი გმირებისთვის ადგილი ქართულ ნარატივში აღარ რჩებოდა.

მეტიც, საჭირო იყო რუსეთთან თანაცხოვრების შესახებ ჭეშმარიტი ისტორიის ცოდნა, რის გამოც 2010 წლის 9 აპრილს, პრეზიდენტის ბრძანებით, „ისტორიული სიმართლის დამდგენი კომისია“ შეიქმნა, რომლის ძირითადი ფუნქცია საქართველოში რუსეთის 200-წლიანი პოლიტიკისა და მის შედეგებზე დოკუმენტის მომზადდება იყო. აღნიშნული გადაწყვეტილება შეფასდა, როგორც ისტორიის ოფიციალური ინტერპრეტაციის მცდელობა, როდესაც საზოგადოებას კარნახობდნენ, როგორ უნდა გაეგო ისტორიული ფაქტები, რაც განვითარებაზე ორიენტირებული საზოგადოებისათვის მიუღებელი იყო. გარდა ამისა, პარალელი გაივლო რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტ დიმიტრი მედვედევის მიერ შექმნილ კომისიასთანაც, რომლიც ისტორიული ფაქტების ფალსიფიკაციის წინააღმდეგ იბრძოდა (მით უმეტეს, რუსულ წრეებში დომინირებდა მოსაზრება, რომ საბჭოთა ისტორიის ყველაზე დიდი „გამყალბებლები“ სწორედ საქართველო და პოლონეთი იყო)[1]. მართალია, კომისიამ მუშაობა დაასრულა და განაცხადა, რომ შეიქმნა კიდევაც 50-გვერდიანი დოკუმენტი, მაგრამ ის საზოგადოებისათვის არ წარუდგენიათ.[2]

მოვლენების ლოგიკური გაგრძელება ქუჩების სახელების გადარქმევის და საბჭოთა არქიტექტურის ნიმუშებიდან სიმბოლოების მოშორების საკითხის დასმა იყო, თუმცა გაცილებით მასშტაბური სახე მაშინ მიიღო, როდესაც მიღებულ იქნა ე.წ. თავისუფლების ქარტია, რომელიც ლუსტრაციის გარკვეულ ელემენტებსაც შეიცავდა.

---

[1] Комиссии при Президенте Российской Федерации по противодействию попыткам фальсификации истории в ущерб интересам России 15.05.2009. №549.

[2] საქართველოს ისტორიული სიმართლის დამდგენმა კომისიამ საქართველოში რუსეთის იმპერიის 200-წლიან პოლიტიკასა და მის შედეგებზე მუშაობა დაასრულა. *24 საათი*. 14.01.11. მოძიებულია.10.07. 2013. http://24saati.ge/index.php/category/news/2011-01-14/13129.htm l.

დოკუმენტი მოიცავს ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლას, სსრკ-ს სპეცსამსახურების თანამშრომლების და მასთან დაკავშირებული პირების ლუსტრაციას, ფაშისტური და საბჭოთა სიმბოლიკის აკრძალვას.[1]

აღნიშნულმა კანონმა კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი, რომ საქართველო საბოლოო ჯამში ცდილობდა საბჭოთა მემკვიდრეობისგან დისტანცირებას და იმ გზის გავლას, რომელიც 90-იან წლებში არ/ვერ გაიარა. ხშირად ხდებოდა აპელირება იმ ფაქტზე, რომ ბალტიისპირეთის სახელმწიფოების განვითარება დიდწილად განაპირობა მათ მიერ საბჭოთა წარსულის თავიდანვე გადაფასებამ, რაც საქართველოში ვერ მოხერხდა და აუცილებლად გასავლელი იყო, რათა ყველაფერს თავისი სახელი დარქმეოდა. მაგრამ ამ გზაზე ხელისუფლებას არაერთი წინაღობა დახვდა. პირველი, ეს საბჭოთა არქივების საკითხი იყო, რომლის დიდი ნაწილი საბჭოთა კავშირის დაშლამდე რუსეთში იქნა გატანილი, ნაწილი სამოქალაქო ომის დროს განადგურდა, რაც გადარჩა, ის საკმარისი ვერ იქნებოდა; მეორე საკითხი ის თითქმის 20-წლიანი პერიოდი იყო, რაც საბჭოთა კავშირის დაშლიდან გავიდა და რამდენად მოხერხდებოდა ყოფილი თანამშრომლების ლუსტრაცია; ასევე სიმბოლიკების საკითხიც პრობლემატური იყო, რადგანაც ის არა მხოლოდ ძველი ძეგლებს, არამდ კომერციული მიზნით გამოყენებულ სიმბოლოებსაც ეხებოდა (მაგ. KGB ბარი).

შესაბამისად, თუკი შევაფასებთ საქართველოში მეხსიერების ოფიციალურ პოლიტიკას 2003-2012 წლებში, შეიძლება დავასკვნათ, რომ მეხსიერების პოლიტიკა წარმოადგენს პოლიტიკის დღის წესრიგის ნაწილს და პოლიტიკურად არის მოტივირებული. 2006 წლამდე ის გმირული წარსულის შეხსენებაზე, სახელმწიფოს ახლიდან მშენებლობასა და, შესაბამისად, საზოგადოების კონსოლიდაციაზე არის ორიენტირებული. რუსეთთან ურთიერთობის დაძაბვასთან ერთად იცვლება მეხსიერების პრიორიტეტები და

---

[1] თავისუფლების ქარტია, საქართველოს კანონი, 31.05.2011, № 4717.

ჩნდება წინააღმდეგობის გამოცდილების წინ წამოწევის აუცილებლობა.

საქართველო ამ პერიოდში აღმოსავლეთ ევროპის მეხსიერების პოლიტიკის მოდელს იყენებს, რომლის არჩევანი მისი ანტისაბჭოთა ხასიათით არის განპირობებული. გარდა ამისა, ბალტიისპირეთის სახელმწიფოები ევროპის ნაწილს წარმოადგენს. ევროპული იდენტობის დამკვიდრება ვარდების რევოლუციის შემდგომი ხელისუფლების რიტორიკის ერთ- ერთი უმთავრესი ნაწილი იყო.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. თავისუფლების ქარტია, საქართველოს კანონი, 31.05.2011. № 4717.
2. რუხაძე ვ. (2010), კოლექტიური მეხსიერება, გაზ. *„24 საათი“.*
3. საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი პარლამენტში წლის საანგარიშო მოხსენებით გამოვიდა. 24.02.2005. www.priesident.gov.ge. (მოძიებულია 02.04.2011).
4. 25 მაისს საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა წლის შემაჯამებელი ბრიფინგი გამართა. 26.05.2005 www.priesident.gov.ge (მოძიებულია 04.04.2011).
5. საქართველოს პრეზიდენტის საჯარო გამოსვლა ჯორჯ ვაშინგტონის სახელობის უნივერსიტეტში. 23.02.2004 www.priesident.gov.ge. (მოძიებულია 02.04.2011).
6. პრეზიდენტ მ. სააკაშვილის საინაუგუარაციო სიტყვა 25.01.2004. www.priesident.gov.ge (მოძიებულია 04.04.2011).
7. საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის საჯარო გამოსვლა საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ აღლუმზე. 26.05.2004. www.priesident.gov.ge (მოძიებულია 04.05.2011).
8. 25 მაისს საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა წლის შემაჯამებელი ბრიფინგი გამართა. 26.05.2005 www.priesident.gov.ge (მოძიებულია 04.04.2011).

9. საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის საჯარო გამოსვლა ბუშის ვიზიტთან დაკავშირებით. 2005-05-10. www.priesident.gov.ge (მოძიებულია 04.05.2011).
10. საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის მიმართვა ქართველი ერისადმი. თბილისის საკრებულოში საქართველოს პრეზიდენტი უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებს შეხვდა. 03.05.2005 www.priesident.gov.ge (მოძიებულია 06.05.2011).
11. საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი პარლამენტში წლის საანგარიშო მოხსენებით გამოვიდა. 24.02.2005 www.priesident.gov.ge (მოძიებულია 04.05.2011).
12. საქართველოს პრეზიდენტის საჯარო გამოსვლა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. 16.02.2005. www.priesident.gov.ge (მოძიებულია 05.05.2011).
13. საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა საქართველოს ტერიტორიიდან რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანასთან დაკავშირებით ორ ქვეყანას შორის მიღწეული შეთანხმების თაობაზე ბრიფინგი გამართა. 31.05.2005. www.priesident.gov.ge (მოძიებულია 05.05.2012).
14. მიხეილ საკაშვილის საჯარო გამოსვლა საქართველოს დამოუკიდებლობისადმი მიძღვნილ აღლუმზე 26.05.2005. www.priesident.gov.ge (მოძიებულია 05.06.2012.
15. პრეზიდენტ სააკაშვილის გამოსვლა ოკუპაციის მუზეუმის გახსნისას. 26.05 2006. www.priesident.gov.ge (მოძიებულია 05.06.2013).
16. Комиссии при Президенте Российской Федерации по противодействию попыткам фальсификации истории в ущерб интересам России 15.05.2009. #549.
17. Nora P. (1989). Between Memory and History. P 13.
18. Hobsbawm E, (1983) "*Introduction: Inventing Traditions"*, in *The Invention of Tradition*, ed. Eric Hobsbawm and Terence Ranger (Cambridge: Cambridge University Press).

ნინო წულაია

ვალდებულება და კონსისტენტურობა როგორც გავლენის იარაღი

აბსტრაქტი

ადამიანი სოციალურ გარემოში არსებობს. სურს თუ არა, ის მაინც ჩართულია იმ უწყვეტ პროცესში, რასაც სოციალიზაცია ჰქვია. „სოციალიზაცია არის პროცესი, რომლის გზითაც მოცემული კულტურის ღირებულებები და ნორმები თაობიდან თაობას გადაეცემა და რომლის საფუძველზეც ინდივიდი მოცემულ სოციალურ ჯგუფთან იდენტიფიკაციას ახდენს“.[1] სოციალურ ჯგუფთან იდენტიფიკაციისას ადამიანი გამუდმებით ექცევა სხვების თუ საკუთარი თავის გავლენის ქვეშ. რობერტ ჩალდინი, ფსიქოლოგიისა და მარკეტინგის პროფესორი არიზონას უნივერსიტეტში, გამოყოფს სოციალური გავლენების ექვს იარაღს, იმ ინსტრუმენტებს, რასაც ადამიანები იყენებენ იმისთვის, რომ გაზარდონ სხვებზე გავლენის მოხდენის ალბათობა და ამით მიიღონ სასურველი შედეგი. თემაში განვიხილავ ერთ-ერთ ინსტრუმენტს ჩალდინის მიხედვით, კონკრეტულად კი კონსისტენტურობისა და ვალდებულების გრძნობის ფენომენს, რაც, როგორც გამოჩნდება, სწორად გამოყენებული, ნამდვილად დიდ ძალას წარმოადგენს ადამიანების ქცევის შესაცვლელად. ასევე, მაგალითის სახით განვიხილავ ჩინელი კომუნისტების მიდგომას ამერიკელი ტყვეებისადმი – წარმოდგენილი იქნება, თუ როგორ იყენებენ ადამიანები ვალდებულების გრძნობაზე დაშენებულ კონსისტენტურობას გავლენის იარაღად და რამდენად ძლიერია მისი

---

[1] წულაძე ლია, აკადემიური წერა: ინტენსიური სემინარი სოც. მეცნ. მაგისტრანტებისთვის / ლია წულაძე; [მთ. რედ.: მარინე ჩიტაშვილი, ენობრ. რედ.: ლია კაჭარავა] - თბ.: სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, 2006.

გავლენა ჩვენს ქცევაზე, სიტუაციურია ის, თუ ხანგრძლივად მოქმედებს როგორც შესაბამისი ქცევის აღმძვრელი.

საკითხის აქტუალურობა მაგალითების მიხედვით აშკარა გახდება, მაგრამ მაგალითები, რომლებიც მოყვანილია ტექსტში, დაახლოებით მეოცე საუკუნეს ფარავს, ამიტომ, იმისთვის, რომ თანამედროვეობასთან შესაბამისობაში მოვიდეთ, გადავამოწმოთ, ნამდვილად მოქმედებს თუ არა გავლენის ეს იარაღი ახლა ჩვენთან და ცვლის თუ არა ადამიანების ქცევას. ჩავატარე მინიკვლევა თემაზე – „ვალდებულება და კონსისტენტურობა, როგორც გავლენის იარაღი, ცვლის თუ არა ქართველი სტუდენტების ქცევას“ და დავსახე რამდენიმე ამოცანა, რასაც კვლევის შედეგების მიხედვით თემის ბოლოს გავცემ პასუხს. კვლევის ამოცანებია:

- როგორ გამოხატავენ ვალდებულების გრძნობას სტუდენტები საქართველოში
- როგორ გამოხატავენ კონსისტენტურობას სტუდენტები საქართველოში
- როგორი იქნება ვალდებულების და კონსისტენტურობის შეფასება სტუდენტებში სიტუაციური მაგალითების მიხედვით.

კვლევის მეთოდია ინტერნეტგამოკითხვა, სამიზნე ჯგუფი კი საქართველოში მცხოვრები სტუდენტები. საკვლევი ჰიპოთეზა ასე ჩამოვაყალიბე: კონსისტენტურობა და ვალდებულება, როგორც გავლენის იარაღი, მოქმედებს და ცვლის სტუდენტების ქცევას. კვლევის შედეგებს კი წარმოგიდგენთ უშუალოდ თემის ბოლოს.

დასაწყისშივე განვსაზღვრავ რამდენიმე საკვანძო ცნებას, იმისათვის, რომ აშკარა იყოს, რაზე ვსაუბრობთ და რას განვიხილავთ.

ცნებების ოპერაციონალიზაცია:

- **გავლენა –** ერთი ადამიანის ქცევა, რომელიც ცვლის მისადმი სხვა ადამიანების დამოკიდებულებას, გრძნობას, ქცევას.[1]
- **გავლენის იარაღი –** ტექნიკები, ინსტრუმენტები, ხერხები, რაც ზრდის ერთი ადამიანის მიერ მეორეზე ან ადამიანთა ჯგუფ-

[1] Civil, ენციკლოპედიური ლექსიკონი - www.nplg.gov.ge.

ზე გავლენის მოხდენის ალბათობას. ჩალდინმა გამოყო გავლენის 6 იარაღი:რეციპროკულობა, *კონსისტენტურობა და ვალდებულების გრძნობა, სოციალური დადასტურება, მოწონება, ავტორიტეტი* და *დეფიციტი/დანაკლისი.*[1]

- **კონსისტენტურობა –** თანმიმდევრულობა – აქ განხილულია როგორც ადამიანის უცვლელი სურვილი, იყოს თანმიმდევრული თავის მოქმედებებში, რომ თავისი ყოველი მომდევნო ქცევა წინა ქცევის ლოგიკურ გაგრძელებად აღიქმებოდეს, ფიქრები, სიტყვები და მათი გამოხატვა კი ურთიერთშესაბამისად. რადგან ზოგადად საზოგადოება აფასებს თანმიმდევრულ ადამიანებს და ისინი აღქმულნი არიან როგორც სანდო და კარგი პიროვნული ნიშნების მქონე, ეს ადამიანებისთვის არის მოტივაცია, რომ გამოჩნდნენ კონსისტენტურნი და სხვებზე დატოვონ დადებითი შთაბეჭდილება.
- **ვალდებულება –** აქ განხილულია როგორც თითოეული ქმედების ჩადენით ადამიანზე დაკისრებული ერთგვარი ტვირთი, რაც მას აიძულებს მოიქცეს ამ ქმედების შესაბამისად და პასუხი აგოს მის შედეგებზე.
- **კონსისტენტურობა და ვალდებულება, როგორც გავლენის იარაღი –** კონსისტენტურობის და ვალდებულების გრძნობის გამოყენება ადამიანებზე გავლენის მოსახდენად, მათი ქცევის შესაცველად.

კონსისტენტურობის და ვალდებულების გრძნობის როგორც გავლენის იარაღად გამოყენების არსი და მაგალითი

ადამიანები ცდილობენ, გამოჩნდნენ ან იყონ კონსისტენტურნი (თანმიმდევრულნი) იმასთან მიმართებაში, რაც უკვე გააკეთეს. მას შემდეგ, რაც გავაკეთებთ არჩევანს, ან მივემხრობით რაიმე

---

[1] თემა შეეხება უშუალოდ კონსისტენტურობისა და ვალდებულების გრძნობას, როგორც გავლენის იარაღს.

პოზიციას, ჩვენ გამუდმებით ვესწრაფვით მოვიქცეთ ამ ნაბიჯის გადადგმით დაკისრებული მოვალეობების შესაბამისად და გავამართლოთ მიღებული გადაწყვეტილება. კონსისტენტურობისკენ სწრაფვა ადამიანის ქცევის მთავარ მოტივატორად/აღმძრელად არის მიჩნეული, მაგრამ ადამიანებზე გავლენის მოსახდენად მისი გამოყენება უკვე გულისხმობს იმას, რომ ის ხშირად აღგვძრავს საკუთარი ინტერესების საპირისპირო ქცევისკენ. იმის გასაგებად, თუ რატომ არის კონსისტენტურობა ამდენად ძლიერი აღმძვრელი, უნდა განვიხილოთ საზოგადოების დამოკიდებულება ამ ფენომენისადმი. საზოგადოებაში თანმიმდევრულობა, საკუთარ ქცევებთან შესაბამისი მოქმედება ნორმაა. იგი მოწონებულია, მიღებულია. ასევე მოწონებულია ის ადამიანი, ვინც ამ ნორმის შესაბამისად იქცევა, მას მიეწერება ისეთი დადებითი თვისებები, როგორებიცაა პატიოსნება, სტაბილურობა, რაციონალურობა. ის კი, ვინც გვერდს უვლის საზოგადოების ამ მოთხოვნას, დახასიათებულია, როგორც მერყევი, დაბნეული და არასასურველი პიროვნება ინტერპერსონალური ურთიერთობების მხრივ. რადგან საზოგადოება ასე აფასებს კონსისტენტურობას, ის იძენს იმდენად დიდ ძალას, რომ ადამიანს ხშირად აღძრავს საკუთარი ინტერესების საწინააღმდეგო ქცევისკენ.

ხშირად სურვილი, ვიყოთ კონსისტენტურნი, ავტომატურ რეაქციად იქცევა ნებისმიერ სტიმულზე და ისეთ სიტუაციებშიც იჩენს თავს, სადაც მისი გამოყენება მიზანშეწონილი არ არის. ამ მექანიზმის ამგვარი გაუაზრებელი მოქმედება შეიძლება დამღუპველიც კი იყოს ადამიანისთვის. თუმცა „ბრმა კონსისტენტურობას“ იმდენად მომხიბვლელი პლუსები აქვს, ადამიანები გვერდს ვერ უვლიან ავტომატიზებულ საპასუხო რეაქციებს. ხშირად, თანმიმდევრულობა მოქმედებს, როგორც „მენტალური მოკლე ჩართვა“, რაც ზოგავს ჩვენს კოგნიტურ რესურსს. მას შემდეგ, რაც მივიღებთ გარკვეულ გადაწყვეტილებას, ამ მექანიზმზე დაყრდნობით, უკვე გვაქვს წინასწარი სამოქმედო გეგმა, რის მიხედვითაც ქცევები ლოგიკურად ემბის ერთმანეთს და არ საჭიროებს ზედმეტ ყურადღებას, ფიქრს, განსჯას. პირველი პლუსი, რასაც კონ-

სისტენტურობა გულისხმობს სწორედ ეს არის, თუ ვიქნებით ჩვენი გადაწყვეტილებების, ფიქრების თუ წარსული მოქმედებების ერთგულნი, შემდგომი ნაბიჯები ავტომატიზმის პრინციპით, სწრაფად მიებმება გასულს და ჩვენი ზემდეტი ჩარევა არ იქნება საჭირო.[1]

მეორე პლუსი კი ის არის, რომ, კონსისტენტურობას ამოფარებულნი, ჩვენ თავს ვიცავთ არასასიამოვნო შედეგებისგან. ზოგჯერ მძიმე, კოგნიტური მუშაობის შედეგად კი არ ვარიდებთ თავს გარკვეულ ქმედებას, არამედ იმ არასასიამოვნო შედეგების გამო, რომლებიც ამ ქმედებას მოჰყვება. ამ შემთხვევაში „კოგნიტურად ძუნწები“ ვართ იმის გამო, რომ ცნობიერება ავტომატურად გვთავაზობს ნათლად გამოხატულ არასასიამოვნო პასუხებს, კონსისტენტურობას კი მივმართავთ, როგორც დაცვის საშუალებას ამ უსიამოვნების თავიდან ასაცილებლად.

და მაინც, ჩნდება კითხვა, რა არის კონსისტენტურობის ამგვარი გავლენიანობის საფუძველი? სოციალური ფსიქოლოგების აზრით, ამ კითხვაზე პასუხი ნათელია, ესაა: ვალდებულების გრძნობა. თუკი მე შევძლებ, გამოვიწვიო შენში ვალდებულების გრძნობა, მაშინ მე შევძლებ, რომ ამ გრძნობაზე დაყრდნობით აღვძრა შენში კონსისტენტურობის ტენდენცია. თანდათან ნათელი ხდება ამ იარაღის მუშაობის მექანიზმი, მაგრამ უფრო დეტალურად შესასწავლად განვიხილოთ ჩინელი კომუნისტების მიდგომა ამერიკელი სამხედრო ტყვეებისადმი.

კორეაში ომის დროს ბევრი ამერიკელი ჯარისკაცი იყო დატყვევებული, რომლებიც ჩინელმა კომუნისტებმა გადაიყვანეს თავიანთ ტყვეთა ბანაკში. მალევე გახდა ცხადი, რომ ჩინელებს უფრო რბილი პოლიტიკა ჰქონდათ ტყვეების მიმართ, ვიდრე ჩრდილოკორეელებს. კორეელების მეთოდები იყო უფრო სასტიკი, ძალადობით სავსე, ხოლო ჩინელები ფსიქოლოგიურ იერიშს იყენებდნენ. ომის დასრულების შემდეგ ამერიკელი ფსიქოლოგები ინტენსიურ

---

[1] ჯოშუა რეინოლდსი: „არ არსებობს ხერხი თუ ხრიკი, რომელსაც ადამიანი არ მიმართავდა იმ მიზნით, რომ შეემცირებინა მძიმე გონებრივი სამუშაო“.

თერაპიას უტარებდნენ ტყვეობიდან დაბრუნებულ ჯარისკაცებს. მათ გამოავლინეს ჩინელების პროგრამის უპირატესობები. მაგალითად, ჩინელები ყოველთვის უფრო მალე და უკეთ იგებდნენ მოწინააღმდეგეების გეგმებსა და მიზნებს. ისინი ტყვეს სთავაზობდნენ ერთ ჩანთა ბრინჯს ინფორმაციის სანაცვლოდ. ჩინელები ტყვეებს მოწინააღმდეგეებთან ერთად აცხოვრებდნენ. ჰქონდათ ე.წ სამხედრო ტყვეთა ბანაკი. იქ სხვადასხვა მეთოდით ცდილობდნენ მოწინააღმდეგის იდეოლოგიაში ძირეული ცვლილებების შეტანას. მაგალითად, ტყვეებს სთხოვდნენ გაეკეთებინათ ანტიამერიკული და პროკომუნისტური განცხადებები („აშშ არ არის იდეალური, კომუნისტურ ქვეყნებში უმუშევრობა არ არის პრობლემა“). ამ მცირე თხოვნის შემდეგ აღმოჩნდა, რომ ჯარისკაცები რადიკალურად განსხვავებულ მოთხოვნებსაც ასრულებდნენ. ამის შემდეგ სთხოვდნენ დაეწერათ ესე და გაემყარებინათ ეს მოსაზრება არგუმენტებით, შემდეგ კი სხვა ტყვეებისთვის გაეზიარებინათ მათი აზრი ე.წ. დისკუსიების კლუბში.

ჩინელები ამ ესეებს იყენებდნენ ძალიან ჭკვიანურად, ანტიამერიკულ რადიოში, ჩრდილოეთ კორეის ტერიტორიაზეც, გადასცემდნენ ესეს და ასახელებდნენ მის ავტორს. უეცრად ტყვე აღმოაჩენდა. რომ მან გასცა თავისი ქვეყანა, რადგან ეს ესე დაწერილი იყო ყოველგვარი ზეწოლის გარეშე. ტყვეები საერთო ბანაკში აზრებს ცვლიდნენ, ამის შედეგი კი ის იყო, რომ ერთმანეთზე მტრების სასარგებლოდ ახდენდნენ გავლენას. ჩინელებმა ის გააცნობიერეს, რომ ლმობიერებით შესაძლებელია უფრო მეტი მიიღონ, ვიდრე ძალადობით.

მათ იცოდნენ, რომ ყველა ტყვე მეომრის სურვილი იყო, შეეტყობინებინათ მათი ოჯახებისთვის, რომ ცოცხლები იყვნენ. მათ შეეძლოთ წერილების მიწერა, თუმცა, რა თქმა უნდა, იცოდნენ, რომ ამ წერილებს გააკონტროლებდნენ, ამიტომ წერილის დასაწყისშივე აღნიშნავდნენ, რომ კარგად იყვნენ, კარგად ექცეოდნენ დამტყვევებლები. რა თქმა უნდა, ჩინელები სიხარულით გზავნიდნენ ასეთ წერილებს, რადგან ეს მათ ინტერესებშიც შედიოდა. პირველ რიგში, იმით იყო კარგი, რომ ამერიკელი ჯარისკაცები ეწე-

ოდნენ კომუნისტურ პროპაგანდას; მეორე – ზეწოლისა და ძალდატანების გარეშე ექნებოდათ ჩანაწერები მათი „კარგი“ დამოკიდებულების შესახებ. ჩინელები იყენებდნენ კიდევ ერთ საინტერესო მეთოდს. ხშირად აწყობდნენ შეჯიბრებას, თუ ვინ დაწერდა ყველაზე კარგ ესეს კომუნისტურ თემაზე. პრიზი იყო სიგარეტი ან ხილი. ჩინელები საკმაოდ ჭკვიანები იყვნენ, იცოდნენ, რომ მათ ნდობას, ვალდებულების გრძნობას ვერ გამოიწვევდნენ ასე ერთბაშად. ამიტომ უფლებას აძლევდნენ, დაეწერათ აშშ-ზეც, თუმცა კომუნიზმიც უნდა ყოფილიყო ნახსენები. შემდგომ, ამ ესეს შინაარსიდან გამომდინარე, იწყებდნენ საუბარს.

ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იმისა, თუ რატომ ახდენს ასეთ გავლენას წერილობითი განცხადება, არის ის, რომ ადვილია მისი გამოქვეყნება. ჩინელებისთვის მნიშვნელოვანი იყო ცნობილი ფსიქოლოგიური პრინციპი: „სახალხო განცხადება ავალდებულებს ხანგრძლივად“. ისინი ცდილობდნენ, საკუთარი ტყვეების პროკომუნისტური განცხადებები ენახათ სხვებს, ვრცელდებოდა მთელს ბანაკში, კითხულობდნენ სადისკუსიო კლუბში და ხანდახან გადასცემდნენ რადიოთი. რაც უფრო დიდი იქნებოდა პუბლიკა, მით მეტი გავლენა ექნებოდა ნაწერს ავტორზე. რატომ? როდესაც ადამიანი იკავებს პოზიციას, რომელიც თვალსაჩინოა სხვებისთვის, ის ცდილობს ბოლომდე დაიცვას და შეინარჩუნოს საკუთარი პოზიცია, რათა გამოჩნდეს კონსისტენტური სხვების თვალში.

კიდევ ერთი მიზეზი იმისა, რის გამოც წერილობითი ვალდებულება ასეთი ეფექტურია, არის ის, რომ მოითხოვს მეტ ძალისხმევას, ვიდრე ვერბალური. აღსანიშნავია, რომ რაც მეტი ძალისხმევა იქნება დახარჯული ვალდებულების აღებაზე, მით უფრო მეტად მოახდენს გავლენას პიროვნების მიერ დაკავებულ პოზიციაზე. აღმოჩნდა, რომ ვალდებულება უფრო ეფექტურია ადამიანების წარმოდგენების, თვითშეფასების და მომავალი ქცევის შესაცვლელად, როდესაც არის აქტიური, საჯარო და მის შესასრულებლად დიდი ძალისხმევაა საჭირო. თუმცა, ვალდებულება უნდა აკმაყოფილებდეს კიდევ ერთ მოთხოვნას. იმისთვის, რომ გავიგოთ

მისი არსი, საჭიროა უფრო დეტალურად განვიხილოთ ჩინელი კომუნისტების იდეოლოგიის შეცვლის მეთოდები.

ზემოთ შევეხეთ ჩინელი კომუნისტების ერთ-ერთ მეთოდს, რაც გულისხმობდა პროკომუნისტური ესეების კონკურსის ჩატარებას ტყვე ჯარისკაცებს შორის. ჩინელებს სჭირდებოდათ, რომ ამ კონკურსებში რაც შეიძლება მეტ ამერიკელს მიეღო მონაწილეობა. თუ ჩინელების მიზანი იყო, რაც შეიძლება მეტი ტყვე ამერიკელის ყურადღება მიეპყროთ, რატომ იყო პრიზები ასეთი უმნიშვნელო? რამდენიმე დამატებითი სიგარეტი და ახალი ხილი – ეს იყო სულ, რაც გამარჯვებულს ერგებოდა. რა თქმა უნდა, საკონცენტრაციო ბანაკში ამ პრიზების მნიშვნელობაც დიდი იყო, მაგრამ ჩინელებს შეეძლოთ, უფრო გულითადად დაეჯილდოებინათ ტყვეები, მაგალითად, მიეცათ მათთვის თბილი ტანსაცმელი ან უპირატესობა ახლობლებთან მიმოწერაში, ან ბანაკის ტერიტორიაზე თავისუფლად მოძრაობის უფლება. თუმცა ჩინელი კომუნისტები სპეციალურად იყენებდნენ უმნიშვნელოდ მამოტივირებელ ჯილდოებს. პრინციპი ასეთი იყო, მათ სურდათ, რომ ტყვეებს გაეთავისებინათ მათი საქციელი და არ მიეწერათ ის სხვა, გარე ფაქტორებზე, როგორიცაა თუნდაც რაიმე მნიშვნელოვანი პრიზი, რითაც თავის გამართლება შეიძლებოდა. მათ იცოდნენ, რომ არ არის საკმარისი მხოლოდ ვალდებულების დაკისრება ადამიანებზე, რომ ის „ხარისხიანად“ შესრულდეს, საჭიროა აიძულო ადამიანები, რომ საკუთარ თავზე აიღონ პასუხისმგებლობა ამ ვალდებულების აღსასრულებლად ჩადენილ ქმედებებზე და მათ შედეგებზე, მათ უნდა გააცნობიერონ, რომ ეს მათ უნდათ და არ ჰქონდეთ საშუალება, რომ თავი იმართლონ გარეშე ფაქტორების მოშველიებით, ანუ, თუ ტყვეები ჩათვლიდნენ, რომ პრიზი ნამდვილად არ იყო მათი ქმედების განმსაზღვრელი, ისინი იფიქრებდნენ, რომ იგი მათი შინაგანი მისწრაფებიდან გამომდინარეობს (ამ შემთხვევაში, ანტიამერიკული „საქმიანობა“) და უფრო ადვილად და შედარებით ძირეულად შეიცვლიდნენ იდეოლოგიას.

უკვე ვიცით, რომ ჩინელ კომუნისტებს ტენდენცია ჰქონდათ, ჩაეტარებინათ კონკურსები საუკეთესო პოლიტიკური ესეს გამო-

სავლენად, რითაც აიძულებდნენ ხალხს საკუთარ თავზე აეღოთ პასუხისმგებლობა და პირნათლად შეესრულებინათ ვალდებულებები.

სოციალური მეცნიერებების წარმომადგენლებმა დაასკვნეს, რომ ჩვენ ვიღებთ შინაგან პასუხისმგებლობას ჩვენ მიერ არჩეული ქმედებების გამო მაშინ, როდესაც ვფიქრობთ, რომ გარეშე ფაქტორების ზემოქმედების გარეშე გადავდგით ესა თუ ის კონკრეტული ნაბიჯი. სწორედ მსგავსი გარეშე მოქმედი ფაქტორია მნიშვნელოვანი პრიზი, მის მისაღებად გადავდგამთ რელევანტურ ნაბიჯებს, მაგრამ შინაგან პასუხისმგებლობას ჩვენს ქმედებაზე არ ვიგრძნობთ, რადგან მას გარე ფაქტორის მოქმედებას მივაწერთ. შედეგად, ჩვენ არ ვიგრძნობთ თავს დაკავშირებულად ამ ვალდებულებასთან. მსგავსი პრინციპია ძლიერი შიშის შემთხვევაშიც, თუ ჩვენ რაიმეს გავაკეთებთ ძლიერი ზეწოლის პირობებში, ნამდვილად ადვილად დავუთმობთ შიშის წყაროს, მაგრამ ამასთან, ჩადენილი ქმედების გამო, არ ავიღებთ სერიოზულ პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე, იმიტომ, რომ მას მივაწერთ ზეწოლას და არა საკუთარ სურვილს თუ შეხედულებას. ეს გამოიწვევს წუთიერ მორჩილებას, მაგრამ არა ვალდებულების გაშინაგნებას.

ამ ტაქტიკას დიდი მნიშვნელობა აქვს ბავშვების აღზრდის დროს. არავითარ შემთხვევაში არ უნდა „მოვისყიდოთ“ ან დავემუქროთ ბავშვს, როდესაც გვინდა, რომ მან გააკეთოს რამე ისეთი, რისიც, ჩვენი აზრით, შინაგანად უნდა სწამდეს. ასეთი წნეხი ბავშვის ქცევის ჩვენს სურვილებთან წინააღმდეგობაში მოსვლას უფრო განაპირობებს, ვიდრე დათანხმებას. ამასთან, თუ გვინდა, რომ ბავშვმა განაგრძოს იმ პრინციპით და იმ ვალდებულებების პირობებში მოქმედება მაშინაც კი, როდესაც ჩვენ მის გვერდით არ ვიქნებით, მოქმედების გეგმა იმგვარად უნდა დავსახოთ, რომ ბავშვმა საკუთარ თავზე აიღოს შინაგანი (უკვე გაცნობიერებული და გაშინაგნებული) პასუხისმგებლობა იმ ქმედებებზე, რასაც ჩვენ მისგან მოველით. ჯონათან ფრიდმანის ექსპერიმენტის გაცნობის შემდეგ შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ რამდენიმე მარტივი წე-

სი, როგორ უნდა მოვიქცეთ და როგორ არ უნდა მოვიქცეთ ბავ-შვებთან ურთიერთობის დროს.

ფრიდმანს უნდოდა გაერკვია, შეძლებდა თუ არა ის 7-9 წლის ბიჭების დარწმუნებას იმაში, რომ საინტერესო და მომხიბლველი სათამაშოთი თამაში ცუდია, თუ მათ 6 კვირით ადრე ჩააწოდებდა ამ დებულებას. თავიდან, მკვლევრის აზრით, ბიჭებს საკუთარი თავი უნდა დაერწმუნებიათ, რომ ამ აკრძალული სათამაშოთი თა-მაში ცუდია, ანუ, მათ თავად არ უნდა მონდომებოდათ ეს სათამა-შო. ფრიდმანის აზრით, ეს დარწმუნება დაეხმარებოდა ბავშვებს, თავი შეეკავებინათ ამ სათამაშოთი თამაშისგან მომავალში. მაგ-რამ როგორ უნდა დააჯერო პატარა ბიჭს, რომ ცუდია სათამაშო რობოტის თამაში, რომელიც არის ძალიან მიმზიდველი და მრა-ვალფუნქციური?!

ფრიდმანმა იცოდა, რომ ადვილი იქნებოდა ბავშვების თანდა-თანობითი დამორჩილება. ერთადერთი, რაც მას უნდა გაეკეთები-ნა, იყო ის, რომ დამუქრებოდა ბიჭებს სასტიკი სასჯელით, თუ ისინი ამ აკრძალული სათამაშოთი ითამაშებდნენ. ფრიდმანი თვლიდა, რომ მისი მეთვალყურეობის ქვეშ მყოფი ბიჭების ძალიან მცირე ნაწილი გარისკავდა რობოტთან თამაშს. ის მართალი იყო. ფრიდმანი აჩვენებდა ბიჭებს ხუთ სათამაშოს და ეუბნებოდა, რომ რობოტით არ უნდა ეთამაშათ და თუ ითამაშებდნენ, ის ძალიან გაბრაზდებოდა და დასჯიდა მათ. ამის შემდეგ ის ოთახიდან გადი-ოდა და მეთვალყურეობის გარეშე ტოვებდა ბავშვებს. 22 ცდისპი-რი ბიჭიდან 21 არც მიკარებია რობოტს. ამ პრინციპით „მუქარა“ მუშაობდა მანამ, სანამ ბავშვებს ეგონათ, რომ დაიჭერდნენ ფაქ-ტზე და დასჯიდნენ. ასეთი შედეგი ფრიდმანმა ვერ გაითვალისწი-ნა. მას უნდოდა გაეგო, იმუშავებდა თუ არა მუქარა მაშინაც, რო-დესაც ის არ იქნებოდა ბავშვებთან. ეს რომ გაეგო, ფრიდმანმა თავისი ახალგაზრდა ასისტენტი ქალი გაუშვა ბავშვებთან თავისი სტუმრობიდან სკოლაში 6 კვირის შემდეგ. ასისტენტს გაჰყავდა კლასიდან ბავშვები სათითაოდ და ატარებდა ექსპერიმენტს. ის არც კი ახსენებდა ფრიდმანთან ნაცნობობას, ისე შეჰყავდა ბიჭები სათამაშოებიან ოთახში და ატარებდა ხატვის ტესტს. თანაშემწე

ეუბნებოდა ბავშვებს, რომ სანამ ის ტესტის შედეგებს ანგარიშობდა, მათ შეეძლოთ ეთამაშათ ნებისმიერი სათამაშოთი ოთახში. საინტერესო იყო, რომ 77% ბავშვების ირჩევდა სწორედ იმ რობოტს, რომელიც სულ რაღაც 6 კვირის წინ მათთვის აკრძალულ ხილს წარმოადგენდა. აღმოჩნდა, რომ ფრიდმანის მუქარა გაქრა, მაშინ, როდესაც მას ზურგს არ უმაგრებდა სასჯელის შიში.

ექსპერიმენტის მომდევნო სერიაში მან ოდნავ შეცვალა პროცედურა. ამ შემთხვევაში ექსპერიმენტის ყველა პირობა იგივე იყო, მხოლოდ ის არ აშინებდა ბავშვებს სასჯელით. ოთახიდან გასული მკვლევარი მონაწილეებს აკვირდებოდა ცალმხრივი სარკიდან და მიიღო ზუსტად იგივე რეზულტატი, რაც პირველი ცდის დროს, მხოლოდ ერთი ბიჭი შეეხო აკრძალულ სათამაშოს. თუ კვლევის ამ ეტაპზე განსხვავება 0-ის ტოლი იყო, 6 კვირის შემდეგ იგი უკვე აშკარა გახდა. მიუხედავად იმისა, რომ ბავშვებს ჰქონდათ თავისუფალი არჩევანი, ეთამაშათ ნებისმიერი სათამაშოთი ოთახში, მხოლოდ 33%-მა აირჩია რობოტი, იმის გაუთვალისწინებლად, რომ სხვა სათამაშოები ხარისხითაც და მომხიბლველობითაც გაცილებით ნაკლებ დონეზე იყო, ვიდრე რობოტი.

პირველ შემთხვევაში ბიჭები დაარწმუნა ფრიდმანის მუქარამ, რომ ამ სათამაშოთი თამაში არ შეიძლებოდა. მათ გაიგეს, რომ ამის გაკეთება არ შეიძლებოდა მაშინ, როდესაც მათ ქმედებას შეიძლებოდა მოჰყოლოდა სასჯელი.

მეორე შემთხვევაში კი, მუქარის არარსებობის პირობებში, ბავშვებში თვითონ მივიდნენ იმ გადაწყვეტილებამდე, რომ დაეჯერებინათ ფრიდმანისთვის. მას შემდეგაც, რაც 6 კვირა გავიდა, ფრიდმანის არყოფნის პირობებში, ისინი ერთგულნი დარჩნენ თავიანთი პირველი გადაწყვეტილების, რადგან ჩათვალეს, რომ ასე მოიქცნენ იმიტომ, რომ მათ არ უნდოდათ ამ რობოტით თამაში და არა იმიტომ, რომ ეს ვინმემ შთააგონა. მათ თავი დაირწმუნეს, რომ თვითონ გადაწყვიტეს ამ სათამაშოს უარყოფა პირველ შემთხვევაში და, შესაბამისად, მეორე შემთხვევაში დარჩნენ კონსისტენტური პირველი ქმედების.

იმ რამდენიმე მიზეზის გამო, რაზეც ზემოთ ვისაუბრეთ, ადამიანებს, რომლებსაც სურთ სხვების ქმედებები თავიანთ სასარგებლოდ გამოიყენონ, უყვართ ვალდებულებები, რომლებიც შინაგან რწმენებს ეფუძნება. პირველ რიგში, იმიტომ, რომ ერთხელ ჩამოყალიბებული შინაგანი არჩევანი გენერალიზდება სხვადასხვა სიტუაციაშიც და არ არის დამოკიდებული იმაზე, თუ რა სიტუაციაში ჩამოყალიბდა პირველად. მეორე მიზეზი კი ის არის, რომ ის ინარჩუნებს გავლენას ადამიანის ქცევაზე ხანგრძლივი დროის განმავლობაში.

ვალდებულებებს, რაც შინაგან ცვლილებებს იწვევს, კიდევ აქვს ერთი უპირატესობა – ასეთი ვალდებულებები, ასე ვთქვათ, ქმნიან საკუთარ საყრდენ წერტილს. „დამთმობლობის პროფესიონალებს“ არ სჭირდებათ ზედმეტი ძალისხმევა იმისთვის, რომ ჩვენში მომხდარი ცვლილებები გაახანგრძლიონ. აქ იმუშავებს მისწრაფება თანმიმდევრულობისკენ, ქცევის კონსისტენტურობისკენ. მას შემდეგ, რაც ადამიანები თავს თვლიან პატრიოტებად, ისინი უკვე ავტომატურად იწყებენ სამყაროს სხვანაირად ხედვას. ისინი მუდამ დაარწმუნებენ თავს, რომ სწორი არჩევანი გააკეთეს, მუდამ მოიფიქრებენ საკუთარი ქმედების გამამყარებელ არგუმენტებს. ყურადღებას გაამახვილებენ იმ მომენტებზე და არგუმენტებზე, რომლებსაც ადრე არც კი ამჩნევდნენ. მთავარი კი ის არის, რომ თუ საწყის სტიმულს მოვაცილებთ, ისინი მაინც ინარჩუნებენ განწყობას და იწყებენ უკვე ახალი არგუმენტის მოყვანას, რომ, მიუხედავად საწყისი სტიმულის არარსებობისა, ისინი მაინც ისე მოიქცეოდნენ, როგორც მოიქცნენ.

მუდმივად ვცდილობთ სხვადასხვა განმარტების მოშველიებას იმისთვის, რომ გავამართლოთ ჩვენი არჩევანი, რამაც გარკვეული ვალდებულება დაგვაკისრა. ექსპლუატატორი ინდივიდი ადვილად შეძლებს ამ ხერხით ჩვენს დაყოლიებას დათმობაზე, მას შემდეგ კი, რაც არჩევანს გავაკეთებთ, ის მოაშორებს საწყის სტიმულს და უკვე ჩვენი გადაწყვეტილება გვაიძულებს, ვიმოქმედოთ თანმიმდევრულად და დავრჩეთ საწყისი არჩევანის კონსისტენტური.

მას შემდეგ, რაც ასე თუ ისე მიმოვიხილე ვალდებულებაზე დაშენებული კონსისტენტურობა, როგორც გავლენის იარაღი და მისი მოქმედების მექანიზმი, წარმოგიდგენთ ფსიქოლოგების მიერ შემოთავაზებულ საშუალებებს ამ გავლენის თავიდან ასაცილებლად. პირველ რიგში, იმისთვის, რომ წინააღმდეგობა გავუწიოთ გავლენას, უნდა ვისწავლოთ ყალბი კონსისტენტურობის გავლენის ამოცნობა, აუცილებლად უნდა შევეწინააღმდეგოთ ისეთი პირობების დადებას და ვალდებულებების საკუთარ თავზე აღებას, რაც რეალურად ჩვენს სურვილებს ეწინააღმდეგება. ამ დროს უნდა გადავხაზოთ სოციალური მოწონებისკენ მიდრეკილება და უნდა მოვიქცეთ ისე, როგორც ჩვენ ვფიქრობთ, რომ სწორი იქნება. ამ შემთხვევაში, თუ ვისწავლით წინააღმდეგობის გაწევას და ყალბი სიტუაციების ამოცნობას, სადაც აშკარად ჩვენით მანიპულირებას ცდილობენ, გავლენის მოხდენის ალბათობა საგრძნობლად დაბალი იქნება.

კვლევის შედეგების ანალიზი

ახლა კი განვიხილოთ ჩემ მიერ ჩატარებული მინიკვლევის შედეგები და შევაფასოთ, როგორ იქცევიან ქართველი სტუდენტები ისეთ სიტუაციებში, როდესაც საქმე ეხება ვალდებულებებს და მასზე დაშენებულ კონსისტენტურობას.

კვლევის პირველი ამოცანა იყო, გვეკვლია, როგორ გამოხატავენ ქართველი სტუდენტები ვალდებულების გრძნობას, მაგრამ სანამ ამ საკითხს გავცემთ პასუხს, დაახლოებით შევაფასოთ, მოპასუხეების რამდენი პროცენტი გრძნობს ხოლმე თავს ვალდებულად ჩვეულებრივ, ცხოვრებისეულ სიტუაციებში. გამოკითხულთა 85% პასუხობს, რომ გრძნობს თავს დავალებულად სხვადასხვა სიტუაციაში და ეს გრძნობა მათთვის უსიამოვნოა, შესაბამისად, პირველი ამოცანის პასუხად შეიძლება ჩაითვალოს პასუხი შეკითხვაზე, როგორ იქცევიან უსიამოვნო გრძნობის თავიდან ასაცილებლად. ამ შეკითხვაზე გამოკითხულთა 64% ამბობს, რომ

„ცდილობს სამაგიერო გადაუხადოს“ პირს, რომლის წინაშეც თავს ვალდებულად გრძნობს.

მეორე ამოცანის მიხედვით უნდა შევაფასოთ, როგორ გამოხატავენ კონსისტენტურობას ქართველი სტუდენტები. ეს საკითხი რამდენიმე სიტუაციური მაგალითის მიხედვით შევისწავლე. მაგალითად:

1. წარმოიდგინეთ, ზაფხულში,ზღვის სანაპიროზე თქვენთან ახლოს დამსვენებელს, სანამ ის ადგილზე არ იყო, მოპარეს მობილური ტელეფონი. როგორ მოიქცევით თქვენ?

2. წარმოიდგინეთ, ზაფხულში, ზღვის სანაპიროზე თქვენ გვერდით მჯდომმა დამსვენებელმა დაგიბარათ, თვალყური გედევნებინათ მისი ნივთებისთვის მისი არყოფნისას. როდესაც მან დატოვა ადგილი, ხედავთ, რომ იპარავენ მის მობილურ ტელეფონს. როგორ მოიქცევით?

მოცემულ მაგალითებში იყო ერთადერთი განსხვავება: ერთ შემთხვევაში პოტენციური დაზარალებული უბარებდა „მეზობელს“ თვალყური ედევნებინა მისი ნივთებისთვის, მეორე შემთხვევაში – არა. პასუხზე, „გავეკიდები ქურდს და ვეცდები, დავუბრუნო ნივთი დაზარალებულს“ პირველ შემთხვევაში გამოკითხულთა დაახლოებით 70%-მა უპასუხა, რომ გაეკიდება ქურდს, მეორე შემთხვევაში კი, როდესაც არ იყო გაფრთხილებული „მეზობელი“, გამოკითხულთა მხოლოდ 18% იყო თანახმა გაკიდებოდა ქურდს და ეცადა ნივთის დაბრუნება მფლობელისთვის. როგორც ჩანს, გაცილებით მძაფრია პასუხისმგებლობის გრძნობა, როდესაც თავად განვაცხადებთ დასტურს, რაიმეს გაკეთებაზე. სწორედ ეს ფაქტი ჩანს ფრიდმანის ექსპერიმენტების მეორე სერიაში, როდესაც ბავშვებმა თავისთავად თქვეს უარი პირველ შემთხვევაში „აკრძალული“ რობოტის თამაშზე. მათ თავად მიიღეს გადაწყვეტილება, არავის არაფერი აუკრძალავს, ისინი თითქოს თავად მივიდნენ დასკვნამდე, რომ არ უნდოდათ ეს სათამაშო და დარჩნენ თავიანთი პირვანდელი გადაწყვეტილების კონსისტენტურნი. ზემოთ მოცემულ შეკითხვებთან ამ ფაქტის კავშირი გამოიხატება სწორედ გადაწყვეტილების მიმღები სუბიექტით და, რაც

მთავარია, შედეგით, ანუ, ადამიანებმა, რომელმაც პირველ ჯერზე თანხმობა განაცხადეს ნივთებისთვის თვალი ედევნებინათ, აიღეს ერთგვარი პასუხისმგებლობა და გაიშინაგნეს, რომ ეს მათი მოვალეობაა, მათი სურვილია და ქურდის გამოჩენის შემდეგ სწორედ მათ ეკისრებათ ვალდებულება, აასრულონ დანაპირები და დარჩნენ თავიანთი გადაწყვეტილების კონსისტენტურნი.

კვლევის შედეგების მიხედვით შეგვიძლია ვიმსჯელოთ, რომ კვლევის ჰიპოთეზა გამართლდა და ქართველი სტუდენტების ქცევაზე ვალდებულება და კონსისტენტურობა მოქმედებს როგორც გავლენის იარაღი და სიტუაციურად ცვლის მათ ქცევას.

დასკვნა

ადამიანები მიდრეკილნი არიან იყვნენ კონსისტენტურნი თავიანთ სიტყვებში, რწმენებში, ატიტუდებში, ერთ-ერთი მიზეზი ის არის, რომ ეს თვისება საზოგადოებაში კარგადაა დაფასებული. კონსისტენტურობა მოქმედებს როგორც „მენტალური მოკლე ჩართვა“, რაც გვიადვილებს ყოველდღიური გადაწყვეტილებების მიღებას და ზოგავს ჩვენს კოგნიტურ რესურსს.

ინტერნეტგამოკითხვით დადასტურდა პოსტულატი ვალდებულების და კონსისტენტურობის გრძნობის, როგორც გავლენის იარაღის მოქმედების შესახებ ქართველი სტუდენტების მაგალითზე. კიდევ ერთხელ გამოვლინდა, რომ გაშინაგნებული ვალდებულება „მოუწოდებს“ ადამიანს მოიქცეს ისე, რომ ყოველი მომდევნო ქმედება წინას ლოგიკურ გაგრძელებას წარმოადგენდეს.

კონსისტენტურობა, როგორც აღვნიშნე, იმ შემთხვევაში მოქმედებს, თუ მას საფუძვლად უდევს ვალდებულება, რაც ადამიანისთვის მნიშვნელოვან პიროვნულ ღირებულებებთანაა დაკავშირებული. თუ ადამიანი შეძლებს აგვაღებინოს ვალდებულება, ის შეძლებს აღგვძრას საკუთარი ინტერესების საპირისპიროდაც კი კონსისტენტურობით მანიპულირების მეშვეობით.

იმისთვის, რომ შევამციროთ გავლენის მოხდენის ალბათობა, აუცილებელია დავხელოვნდეთ ყალბი კონსისტენტურობის ამოც-

ნობაში, რომელიც ეფუძნება ვალდებულების გრძნობას. არ ვიყოთ მიდრეკილნი, საკუთარ თავზე ავიღოთ ისეთი ვალდებულებები, რისი გაკეთებაც რეალურად ჩვენს სურვილებს ეწინააღმდეგება და მხოლოდ იმიტომ ვკისრულობთ, რომ დადებითი შთაბეჭდილება დავტოვოთ გარშემომყოფებზე. უნდა ვიყოთ განსაკუთრებით სენსიტიურები სიტუაციური ცვლადების მიმართ და უნდა განვასხვაოთ ისინი პიროვნული, შინაგანი ცვლადებისგან, უნდა განვასხვაოთ ვალდებულების გამომწვევი გარეგანი და შინაგანი სტიმულები. როდესაც ამას შევძლებთ, გვექნება ძალა იმისა, რომ შეევწინააღმდეგოთ პიროვნულ მისწრაფებას, ვიყოთ მოწონებულნი საზოგადოებაში და ამის გამო დავუთმოთ სხვას ისეთი რამ, რასაც სხვა შემთხვევაში არ დავთმობდით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Роберт Чалдини, Психология влияния (2001), 4-е международное издание, Санкт-Петербург.
2. PhilipZimbardo and Cindy X. Wang, Resisting influence, Cialdini's Principles of Social Influence, წყარო – http://www.licifereffect.com/guide_cialdini-intro.htm
3. Dr. Marshall Soules, Malaspina University-College, 2007 INFLUENCE: THE PSYCHOLOGY OF PERSUASION, წყარო – http://www.mediastudies.ca/articles/influence.htm

გამომცემლობის რედაქტორები მარინე გიორგობიანი
ცირა ჯიშკარიანი
დაკაბადონება ხათუთა ბადრიძე

0179 თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 14
14, Ilia Tchavtchavadze Ave., Tbilisi 0179
Tel 995(32) 225 14 32
www.press.tsu.ge